

N 3 2021

მასწავლებელი



მასწავლებელთა  
კრედიტული  
განვითარების  
ეროვნული  
ცენტრი

ISSN 1987-6149





ძვირფასო მასწავლებლებო!  
ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:  
„სხვა გაკვეთილების ცხრილი“



მასწავლებლის  
წიგნი

13

სხვა  
გაკვეთილების  
ცხრილი



# მასწავლებელი

№3(71), 2021

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

**მთავარი რედაქტორი:**  
ნატო ინგოროყვა

**რედაქტორები:**  
მანანა ბოჭორიშვილი,  
ნანა მაჭავარიანი

**რედაქციები:**  
ბერკა შუკაკიძე,  
მანანა რატიანი,  
მარია სიხარულიძე,  
ნათია ნაცვლიშვილი

**სტილისტი:**  
ირმა ტაველიძე

**დიზაინი:**  
ბესიკ დანელია

**მხატვარი:**  
მამუკა ტყეშელაშვილი

**კორექტორი:**  
ქეთევან ნიკოლეიშვილი

**ნომერზე მუშაობდნენ:**  
მაია ჯალიაშვილი, მაია ფირჩხაძე,  
ლელა კოტორაშვილი,  
თამთა დოლიძე, ქეთევან ოსიაშვილი,  
თამარ მურუსიძე, მეგი კავთუაშვილი,  
ლევან ალფაიძე, ნინო ლომიძე,  
შორენა ტყეშელაშვილი,  
ქეთევან კობალაძე, თამარ გეგეშიძე,  
თინათინ ზარდიაშვილი,  
გურამ მეგრელიშვილი,  
რუსუდან რუხაძე,  
გიტა თვალაბეიშვილი

**საკონტაქტო ინფორმაცია:**  
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.  
მისამართი:

თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,  
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებული შრიფტი:  
FutureBook Geo, ავტორი: კობა კურტანიძე,  
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედაქციის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1  
8-374

[www.tpdc.ge](http://www.tpdc.ge)

## ნატო ინგოროყვა



ეს წერილი ერთი პროექტისთვის დაიწერა. სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მადლიერებით იხსენებდნენ მათ მასწავლებლებს, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ადამიანებს ცხოვრებაში. წერილი სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა. რატომღაც მომინდა ეს ჩემი ნაფიქრალი თქვენთვის აქაც გამეზიარებინა.

მადლობა მასწავლებელს, რომელიც მინდოდა მყოლოდა.

ძვირფასო მასწავლებელო,

გმადლობთ, რომ იყავით სამართლიანი, რომ მისმენდით, რომ გიყვარდით, მპატიობდით, პატივს მცემდით, გქონდათ იუმორის გრძნობა, იყავით თვითირონიული. მეუბნებოდით, რომ არცოდნა სირცხვილი

არ არის, რომ შეცდომებიც მოსულა, რომ უნდა ვყოფილიყავი დამოუკიდებელი, თავისუფალი და ლალი. რომ ყველა გაკვეთილი საინტერესო იყო და ერთმანეთს არ ჰკავდა. არ მაყენებდით კუთხეში, არ მაგდებდით საკლასო ოთახიდან, არ იბარებდით მშობელს სკოლაში, არ მემუქრებოდით დირექტორის კაბინეტში მიბრძანებით, არ გამომატანეთ სკოლიდან შიშები, სტერეოტიპები და არასრულფასოვნების კომპლექსი. მასწავლეთ გამბედაობა, რომ დამესვა შეკითხვები და არ დამემალა, თუკი არ გეთანხმებოდით. მადლობა, რომ არ მემინოდა თქვენი, რომ მომმართავდით სახელით. ჩემი თავდაჯერებულობაც თქვენი ღვაწლია. მასწავლეთ, რომ ჩემი თხრობა ამეგსო შინაარსით და არ მაიძულებდით

ზეპირობას. გმადლობ, რომ არ ვარ ღირებულეზისგან ცარიელი, რომ არ ფიქრობდით ჩემს მაგივრად. მადლობა, რომ ვარ ბედნიერი. თქვენგან ვისწავლე, რომ ბედნიერება მთელი ცხოვრების პროცესია და არა შედეგი. მადლობა, რომ ამაცობთ ჩემით და ამბობთ, რომ თქვენი მოსწავლე ვიყავი, თქვენი აღზრდილი ვარ. დიან, გეთანხმებით, გადაჭარბებულია ჩემი მოლოდინები თქვენი პროფესიის მიმართ, დიდია პასუხისმგებლობაც და რისკიც. ძნელი პროფესიაა, დაუფასებელი, მაგრამ...  
გმადლობთ, რომ თუკი მკითხავენ, დავასახელო სამი ადამიანი მაინც, ვინც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩემს ცხოვრებაში, თქვენ მათ შორის ხართ.

**გამოცდილება**

11

**ლელა კოტორაშვილი**  
**პრაქტიკულ საქმიანობაში**  
**ასახული უწყვეტი განათლება**

დროთა განმავლობაში მასწავლებლის მადიებლობა პირად მაგალითად იქცევა მოსწავლისთვის. მას ცნობისმოყვარეობა უღვივდება. ჩვენ კი მეგზურად მივყვებით კვლევა-ძიების გზაზე და წარვმართავთ ცოდნის აგების პროცესს.

16

**თამთა დოლიძე**  
**მიზნობრივი წერა: სარეკლამო**  
**ბუკლეტი ექსპურსიისთვის**

მასწავლებელმა აქამდე დროის სიმციროს გამო დღის რეჟიმში ვერაფრით ჩატეული პრაქტიკული უნარების განვითარებაზეც უნდა გაამახვილოს ყურადღება. იმედია, თქვენც ეფექტურად გამოიყენებთ პანდემიურ გამოწვევებს, რადგან დაბრკოლების დარაბებს მიღმა, როგორც წესი, გაზაფხულია.

20

**თამარ მურუსიძე**  
**საჩუქრების შერჩევა**  
**მოსწავლეებისთვის**

მათემატიკის გაკვეთილზე მოსწავლეს სიტუაციური ამოცანის სახით თუ ნაცნობი კონტექსტის პრობლემას შევთავაზებთ, ის ინტერესით მოძებნის გამოსავალს ამ პრობლემიდან. სწავლის ეს ფორმა განსხვავდება ამოცანების უბრალო ამოხსნის პროცესისგან.

32

**ნინო ლომიძე**  
**თემა – ურთიერთობები**

სკოლაში მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოზარდის შემდგომ ურთიერთობებზე, დამოკიდებულებებზე გარშემო მყოფებისა და, საზოგადოდ, სამყაროს მიმართ, ამიტომ ამ მიმართულებით მუშაობა ფასდაუდებელი გამოცდილებაა, რომელიც მათ ლიტერატურის გაკვეთილებზე შეგვიძლია მივცეთ.



**მოსაზრება**

4

**მანია ჯალიაშვილი**  
**ოცნების გაკვეთილები**

რა შეიძლება გააკეთოს პედაგოგმა იმისთვის, რომ მოსწავლეებმა მეტი იოცნებონ? ვფიქრობ, შეიძლება, რამდენიმე თვეში ერთხელ თავს უფლება მისცეს და ჩაატაროს „ოცნების გაკვეთილები“.

23

**მეგი კავთუაშვილი**  
**სკოლისა და მშობლების**  
**წარმატებული კარტნიორობის**  
**გასაღები**

სწორად თუ გავიზრებთ, რა არის სკოლა, აღარ გაგვიჩნდება კითხვა, რა საჭიროა მშობელთა ჩართულობა: ეს არის სკოლისა და ოჯახის ერთობლივი და უწყვეტი პასუხისმგებლობა მოსწავლის მიღწევებისა და სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

26

**ლევან ალფაიძე**  
**მიეცით ბავშვებს უფლება,**  
**თვითონვე შეამჩნან თავიანთი**  
**გაკვეთილები**

უფროსების მიერ მოფიქრებულ „საბავშვო აქტივობებში“ პანდემიის გამო უცაბედად გარჩენილი პაუზა ბევრ ბავშვს შესაძლოა ბედნიერებადაც კი იქცეს.

40

**თამარ გეგუშიძე**  
**როცა მოსწავლეებელი აცდენს**

რა შეიძლება იყოს უფრო სევდიანი, ვიდრე გადაღლილი მასწავლებლის ცარიელი დღია, დასივებული თვალები და სრული უმწეობის განცდა, ბალიშიდან თავის აწევა, მალვიდარას გამორთვაც რომ არ შეუძლია?!

45

**გურამ მეგრელიშვილი**  
**შეცდომის უფლება**

მშობლებს და ალბათ მასწავლებლებსაც უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის შეცდომა და მარცხი მის ინტელექტსა და შესაძლებლობებთან კავშირში არ არის.

48

**რუსუდან რუხაძე**  
**313-ე ოთახი**

ინტერნეტი მეტ ცოდნას გაძლევს, მაგრამ ის ვერ გაქცევს ჭკვიან ადამიანად. ინტერნეტმა შეიძლება ზღვა ინფორმაციაზე მოგცეს წვდომა, მაგრამ ვერასდროს გეტყვის, მშობელთა კრებზე რა თქვა.





სასწავლო რესურსი

**7** | **მაია ფირჩხაძე**  
**„ხუთი გარეობა“ მიზნად**  
 გაჩერებით სწავლა ხელს უწყობს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, თვითშეფასებას, მოტივირებას, სოციალიზაციას, საინტერესო შემოქმედებითი პროდუქტების შექმნას.

ინტერნეტგაზეთი  
**www.mastsavlebeli.ge**

- 27** ელიზბარ ელიზბარაშვილი  
კალის ქირი
- 28** ირმა კახურაშვილი  
ეკოაქტივიზმი და ეკოშფოთვა მოზარდებში
- 29** ნასტასია არაბული  
ახალი ამბები – სივრცე ბავშვებთან სალაპარაკოდ
- 30** დიანა ანფიმიადი  
მე – პერსონაჟი  
აქტივობები შემოქმედებითი წერისთვის

სასწავლო რესურსი

**51** | **გიტა თვალაბიშვილი**  
**წიგნის კლუბი დამწყები მკითხველისთვის**  
 წიგნის კლუბი, თუნდაც ადრეულ ასაკში, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ბავშვის „კარგ მკითხველად“ ჩამოყალიბებისთვის. გირჩევთ, თქვენც სცადოთ!



ინტერვიუ

**34** | **შორენა ტყეშელაშვილი**  
**თვითზრუნვა მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია.**  
**ინტერვიუ ფსიქოთერაპევტთან**  
 თვითზრუნვა არსებითად მნიშვნელოვანია პროფესიული გადაწყვეტილების პრევენციისთვის, რადგან მასზე დიდწილად არის დამოკიდებული მასწავლებლის გამძლეობა სტრესებისადმი, ფსიქიკური ჯანმრთელობა და პროდუქტიულობა.

**42** | **თინათინ ზარდიაშვილი**  
**როგორია თქვენთვის კარგი სკოლა? ინტერვიუ მოსწავლეებთან**  
 როგორც ყველა მოსწავლე, ისე მასწავლებლებიც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან. ზოგი მზად არის, მოუსმინოს ბავშვს, ზოგი – არა. ზოგი მასწავლებელი შედის მოსწავლის მდგომარეობაში, ზოგიც – არა. ვიცი, რთულია, ყველა მოსწავლე ერთნაირად დაინტერესო, თუმცა ცდად მაინც ღირს.



განათლების ფსიქოლოგია

**18** | **ქეთევან ოსიაშვილი**  
**ჰიბრიდული სწავლება**  
 კარგი იქნება, თუ ჰიბრიდული სწავლების გაგრძელების საჭიროების შემთხვევაში ერთსა და იმავე პედაგოგს არ მოუწევს პირისპირ სწავლების პარალელურად ონლაინგაკვეთილების ჩატარება და მასწავლებლებს შორის მოხდება შრომის ერთგვარი განაწილება. ეს სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე დადებითად აისახება.

**37** | **ქეთევან კობალაძე**  
**რატომ უნდა ვისაუბროთ საკუთარ გრძნობებზე**  
 ადამიანებს, რომლებსაც არ უჭირთ საკუთარ გრძნობებზე საუბარი, გაცილებით უადვილდებათ ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვაც, რადგან მათ არ უწევთ გრძნობების დამალვა და იმის იმედად ყოფნა, რომ გარშემო მყოფები თვითონ მიუხვდებიან გულისნადებს.



მაია ჯალიაშვილი

# ოცნების გაკვეთილები

**ისტორიის  
გაკვეთილები  
მონშობს, რომ  
პიროვნული თუ  
სახელმწიფოებრივი  
დამოუკიდებლობისა  
და თავისუფლებისკენ  
სწრაფვას ოცნებები  
ასაზრდოებს. ამის  
მაგალითები უხვადაა  
როგორც მსოფლიოს,  
ისე საქართველოს  
წარსულსა თუ  
დღევანდლობაში.**

ჩვენს რეალისტურ და პრაგმატულ დროში ოცნებებისთვის თითქოს აღარ რჩება ადგილი,

რომანტიკოსობა ერთგვარ ნაკლადაც კი მიიჩნევა. ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ მოზარდებს ჰკითხავთ, არიან თუ არა რომანტიკოსები. მათ შორის ძალიან ცოტა აღმოჩნდება ისეთი, რომელიც თამამად იტყვის, რომ მეოცნებეა. გარემოებანი მათ ხელს უწყობენ მეტაფიზიკური სამყაროსადმი ამგვარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში.

მატერიალიზმის მეფეობა დღეს ისეთი შეურყეველია, როგორც არასდროს. ადამიანს ბავშვობიდანვე აჩვენებენ, რომ ყველაფერი წინასწარ უნდა იყოს დაგეგმილი და გათვლილი – ყოველდღიური განრიგები, გაკვეთილის გეგმები, პროექტები, ცხრილები, ექსელის უჯრებში გამოშვებული კვირის დღეები. ასე იქმნება ერთგვარი რობოტიზებული ციფრული თაობა, რომელიც ადგენს და ანგარიშობს თვეებს, დღეებსა და წუთებს. ყველაფერი დროა! დრო ფულია! დრო უნდა საზოგადოებაში ადგილის მოპოვებას, წარმატებას, ფინანსურ კეთილდღეობას... მაგრამ ბედნიერებას სჭირდება ოცნება, რომლის დაბადებას არაფერი უნდა, გარდა მატერიალურის არტახებისგან ცოტა ხნით მაინც თავის დახსნისა, ირაციონალურის შეგრძნებისა, ერთი სიტყვით, იმის გახსენებისა, რომ ადამიანი, უპირველესად, სულიერი არსებაა. სული კი ელექტრონულად არ ფორმატდება, ციფრული მატარებლებით ვერ იმძრავებს, მას სასუნთქად და სასიცოცხლოდ ოცნება სჭირდება. შეიძლება და, გურამ დოჩინაშვილის ცნობილი ფრაზა ასე გადაგვეკეთებინა: „დედამიწას ოცნება ატრიალებს“. თანაც ისე არაფერი ჰგავს ერთმანეთს, როგორც სიტყვები: სიყვარული და ოცნება. ისინი ერთმანეთს ბადებენ და აძლიერებენ. ერთის დასუსტება მეორესაც დააუძლურებს.

კაცობრიობის ისტორიაში მომხდარი სასიკეთო პოლიტიკურ-კულტურული ცვლილებები, ყველა დიდი აღმოჩენა ნებისმიერ სფეროში ოცნების

ფრთაშესხმაა. „მე მაქვს ოცნება“, – სწორედ ამ სიტყვებით დაიწყო მარტინ ლუთერ კინგმა 1963 წლის 28 აგვისტოს თავისი ცნობილი საჯარო გამოსვლა ვაშინგტონში გამართულ მიტინგზე, რომელსაც 200 ათასზე მეტი ადამიანი ესწრებოდა და რომელმაც, როგორც ისტორიამ შეაფასა, ამერიკა შეცვალა. კინგი ათასობით გულანთებულ ადამიანს საოცარი ენერგეტიკით დამუხტულ სიტყვებს ეუბნებოდა საყოველთაო თანასწორობაზე, ადამიანის უფლებებსა და სამართლიანობაზე. ის რეფრენივით იმეორებდა ფრაზას „მე მაქვს ოცნება“ და მსმენელებში აღვიძებდა სიყვარულს, რწმენასა და იმედს, რომ შესაძლებელი იყო რასობრივი თუ სხვა ტიპის დისკრიმინაციის დაძლევა, მშვიდობის, ბედნიერების მოპოვება, სიცოცხლით გახარება.

ისტორიის გაკვეთილები მოწმობს, რომ პიროვნული თუ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისკენ სწრაფვას ოცნებები ასაზრდოებს. ამის მაგალითები უხვადაა როგორც მსოფლიოს, ისე საქართველოს წარსულსა თუ დღევანდლობაში. მეოცე საუკუნის ახალგაზრდობამ აიტაცა ჯონ ლენონის ცნობილი სიმღერა „Imagine“, რომელშიც ავტორი ისეთ დროზე ოცნებობდა, როდესაც ადამიანებს ვერ გაყოფდა და დააპირისპირებდა გერანაირი პოლიტიკურ-რელიგიური შეხედულებები, კულტურული განსხვავებულობა. იგი სადა, გულში ჩამწვდომი სიტყვებითა და მელოდიით აცხადებდა ჰუმანიზმით გამსჭვალულ უკეთეს მსოფლიოზე ოცნებას და სხვებსაც შთააგონებდა.

სტივ ჯობსმა, როდესაც სტენფორდის უნივერსიტეტის სტუდენტებს თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას უზიარებდა და წარმატების საიდუმლოს უმხელდა, ესეც უთხრა: მიჰყევით თქვენს გულსა და ინტუიციას, ყველაფერი დანარჩენი უმნიშვნელოა. რა თქმა უნდა, მან კარგად იცოდა გონების, რაციონალური აზროვნების ფასი, მაგრამ, როგორც ჩანს, გულს, ინტუიციას უდიდეს შთააგონებელ ძალას

ანიჭებდა. უფრო მეტი იოცნებეთო, – ამიტომაც უთქვამს ერთი ცნობილი კომპანიის ხელმძღვანელისთვის, რომელიც წარმოების გაფართოებას გეგმავდა და მას მიმართა რჩევისთვის.

ილონ მასკი, რომელიც მარსზე ადამიანის ცხოვრებას უკვე აღარ მიიჩნევს ფანტაზიად და ამისთვის კონკრეტულ პროექტებს ახორციელებს, ყველას ურჩევს, იოცნებონ, რადგან ეს წარმატების საწინდარია. ოცნება ჯერ აღამაზებს რეალობას, მერე კი ცვლის. ოცნება მცდელობებს ამრავლებს, თუმცა მარცხის რისკიც იმატებს. ადამიანმა მორიგ წარუმატებლობას არ უნდა შესწიროს ოცნება, თავი არ უნდა დაისაჯოს და კიდევ სცადოს, დარწმუნებულია, რომ მცდელობას არასოდეს შეწყვეტს, რადგან, როგორც რუსთველი ამბობს: „ბედი ცდაა“. „დიდი ოცნებით გასხივოსნებული“ უნდა იყო, როგორც გიორგი ლეონიძე იტყოდა. ეს ადამიანის პრივილეგიაა. მართალია, ხშირად ეს „ოცნება“, გალაკტიონ ტაბიძეს თუ დავესესებთ, „საგანთა უარით ნახაზი“ იქნება, მაგრამ გარისკვა ღირს!

საქართველოსა და მთელ მსოფლიოში არსებული ყოველდღიური პოლიტიკურ-სოციალური დაძაბულობა, რომელიც ინტერნეტის საშუალებით მოსწავლეებამდეც აღწევს, ქმნის ხანგრძლივად განუმუხტავ ველებსა და სივრცეებს. ისეთი საშიში ქაოსის შეგრძნება ჩნდება, თითქოს პანდორას ყუთი ყოველდღე თავიდან იხსნება და იქიდან უამრავი ჭირი ამოიფრქვევა. რა თქმა უნდა, ყოველთვის ასე იყო, მაგრამ ინფორმაციის ეს უზღვევი ნაკადი წინათ ადამიანამდე ასეთი სისწრაფით ვერ აღწევდა, შესაბამისად, მეტი იყო სიმშვიდის კერა. ახლა კი წამებში ვრცელდება ინფორმაცია, განსაკუთრებით – უარყოფითი, დამთრგუნველი, არაადამიანური სისასტიკის ამსახველი.

უამრავი მედიასააგენტო ყალბი ამბების მოგონებასაც არ ერიდება, ოღონდ მკითხველი იშოვოს. ეს ყოველივე კი განსაკუთრებით უარყოფითად მოზარდის ფსიქიკაზე მოქმედებს. ძალადობისა და აგრესიის გარემო თავის გადარჩენის იმგვარ იმპულსებს წარმოშობს, როგორც ცხოველთა სამყაროშია. იმედგაცრუების შიში ოცნების სურვილსაც კლავს. ამგვარად, ადამიანი თითქოს თავს იცავს, რომ მშვიდად იყოს, ოცნების მსხვერვაში გული არ ატკინოს. ამიტომ ჩანს, რომ ადამიანი ნელ-ნელა გადაეჩვევა ოცნებასაც. ყოველ შემთხვევაში, ის მთავარი, უპირველესი აღარ არის.

TED-ის ცნობილ ინტერნეტპლატფორმას აქვს ასეთი განყოფილება: „ჩვენ, ადამიანები“, – სადაც საინტერესო სტატიები ქვეყნდება. ლუვი ჯონსი, ბესტსელერის „მე შენ გადანაშაულებ – თვითგაუმჯობესების გზამკვლევი“ (2016 წ.) ავტორი, მედიაწინგინერების სპიკერი, თავის წერილში: „ოცნება გეჭირდება მაშინაც, როცა ის შეუძლებელი გვეჩვენება“ – აღნიშნავს, რომ ხანდახან მოსწავლეები უნივერსიტეტზე ოცნებასაც კი ვერ ბედავენ, რადგან ეს შეუძლებლად მიჩნიათ; წინასწარვე წარმოდგენილი აქვთ მარცხი, რომელიც რაციონალურად აქვთ გათვლილი. ამიტომაც იქმნება მომავალი ცხოვრების ნაცრისფერი ვერსიები და რეალობაც ფერადოვნებისგან დაცლილი დგება. ავტორი საუბრობს თავის გამოცდილებაზე: თუ როგორ უბიძგა მეგობარმა, ბლოგი შეექმნა, როგორ დაწერა ტექსტი სათაურით „ჩათვალე წერილად, რომელიც არასოდეს დამიწერია“. მასში წერდა სასკოლო ცხოვრების გამოცდილებაზე, გამოცდებზე, პრობლემებსა და ოცნებებზე. ამ მცდელობამ დაანახვა, რომ მეტი შეეძლო, ამიტომ სკოლის დამთავრების შემდეგ უფროსკლასელის ბლოგი წაშალა და ახალი მრავალფუნქციური ვებ-





**რა შეიძლება გააკეთოს პედაგოგმა იმისთვის, რომ მოსწავლეებმა მეტი იოცნებონ? ვფიქრობ, შეიძლება, რამდენიმე თვეში ერთხელ თავს უფლება მისცეს და ჩაატაროს „ოცნების გაკვეთილები“.**

პლატფორმა შექმნა. თავს პროფესიონალ „სიმ-ვიდის დამრღვევს“ უწოდებს, ირონიითა და კომიზ-მით გადალახავს ცხოვრებისეულ უსიამოვნებებს და სხვებსაც შთააგონებს. თავსაც ხუმრობით ასე აცნობს მკითხველს: „პოპულტურის პრიმადონა. გონებამახვილობის ალქაჯი. ალიტერაციების თაყვანისმცემელი“. დიდხანს ეშინოდა ეთქვა, რომ შემოქმედია, მაგრამ იოცნება, შიში დაძლია და ახლა თამამად ამბობს, რომ მწერალია.

რა შეიძლება გააკეთოს პედაგოგმა იმისთვის, რომ მოსწავლეებმა მეტი იოცნებონ? ვფიქრობ, შეიძლება, რამდენიმე თვეში ერთხელ თავს უფლება მისცეს და ჩაატაროს „ოცნების გაკვეთილები“.

- მიზანი:**
- 🍏 მოსწავლეებს ოცნებამ გაუღვიძოს წყურვილი ახლის ძიებისა;
  - 🍏 გაუქარწყლოს შიში გაუკვალავ გზებზე სიარულისა;
  - 🍏 დაბადოს მათში ახალი, თამამი იდეები;
  - 🍏 განუვითაროს შემოქმედებითი უნარები.
- აქტივობები:**
- 🍏 მასწავლებელი მოუყვებს მოსწავლეებს ცნობილ მეცნიერთა თუნელოვანთა ოცნებებზე, იმაზე, თუ როგორ აქციეს შეუძლებელი შესაძლებლად.
  - 🍏 მოსწავლეებსაც დაავალოს მსგავსი ინფორმაციის მოძებნა და პრეზენტაციის სახით წარდგენა.
  - 🍏 თავის ოცნებებზეც მოუყვებს, არა აუცილებლად ახდენილზე და არა მხოლოდ ბავშვობის დროინდელზე.
  - 🍏 მოსწავლეებს მისცეს შესაძლებლობა, ყველაზე შეუძლებელ ოცნებებზეც კი თამამად ისაუბრონ.

კარგი იქნება, მოსწავლეებმა თავიანთი საოცნებო იდეები პრეზენტაციის სახით წარმოადგინონ ყველა საგანში: ბიოლოგიაში, მათემატიკაში, ქიმიაში, ფიზიკაში, ისტორიაში, ქართულ თუ უცხოენასა და ლიტერატურაში.

შეიძლება, „დააპროექტონ“ თავიანთი ოცნებები და ისე წარმოადგინონ.

თანამედროვე მოსწავლეები ბევრ დროს უთიმობენ ვირტუალურ გარემოს, თითქოს მთელმა სამყარომ კომპიუტერში, მობილურ ტელეფონსა და სხვა გაჯეტებში გადაინაცვლა. ამან ერთმანეთს დააშორა და გააუცხოვა ადამიანები, რომლებსაც შენიღბვის მეტი სურვილი გაუჩინა. ასეთი გაკვეთილი კი „გახსნის“ საკუთარ თავში ჩაკეტილ მოსწავლეებსაც, მეტ სილაღესა და სითამამეს შესძენს. რა თქმა უნდა, ინტროვერტს ექსტრავერტად ვერ გადააქცევს, მაგრამ სხვადასხვა ფსიქოლოგიური ტიპის ორ ადამიანს ერთმანეთთან დასაახლოებელ კიდე ერთ გზას გაუკვალავს.

ფსიქოლოგები ოცნებას „დღის ზმანებას“ უწოდებენ და მის ნაირგვარობაზე მსჯელობენ. ზოგიერთი კვლევით კი დასტურდება, რომ მოსწავლეები, რომლებიც ოცნებობენ, ნაკლებად აგრესიულნი, უფრო შემწყნარებელნი და შემოქმედებითნი არიან. ისინი უფრო იოლად, თავისუფლად, ლაღად ეჭიდებიან იმგვარ ამოცანებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, მათ ძალებს აღემატება.

ლინკოლნი თავისი შვილის მასწავლებელს სწერდა: „ასწავლეთ, დატკბეს ცაში მონავარდე ფრინველების, ყვავილებისა და მწვანე მდელოების ცქერით“. ბუნებით ტკობა ოცნებების მასაზრდოებელია, რადგან სწორედ ასეთ წუთებში გრძნობს ადამიანი თავისუფლებას. ანდაზა, „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“ ერთგვარი დალოცვაა, რომ იოცნებოს ადამიანმა.

ხელოვანი განსაკუთრებული სიმძაფრით შეიგრძნობენ ოცნების აუცილებლობას, რადგან მატერიალურ-ტექნიკური პროგრესი თითქოს ყოფიდან განდევნის უნიადაგო, ყოფასთან დაუკავშირებელ ოცნებას. ღმერთო, რატომ გამოძირე ბულალტრების საუკუნეშიო, – მოთქვამდა კონსტანტინე სავარსამიძე, კონსტანტინე გამსახურდიას მთავარი პერსონაჟი რომანიდან „დიონისოს ღიმილი“.

ფილიპ დიკმა მკითხველს რომანის სათაურით დამინტრიგებელი კითხვა დაუსვა: „ოცნებობენ ანდროიდები ელექტრონულ ცხვრებზე?“ მკითხველი რწმუნდება, რომ ოცნებობენ, თანაც არა მხოლოდ ელექტრონულ, არამედ რეალურ ცხვრებზე და სხვა ცხოველებზეც, რომლებზე ზრუნვაშიც ადამიანებს ყველაზე მეტად მიემსგავსებიან. სხვანაირად შეუძლებელია იყო ადამიანი, თუნდაც ხელოვნური.

„ის, რაც უფრო დიდ ალტაცებას მგერის, – გავიფიქრე მე, – არის მისი ერთგულება ყვავილისა, ვარდზე ოცნება, რომელიც ჩირალდანივით ანთია მის სულში მაშინაც კი, როცა სძინავს... და ჩემთვის აშკარა გახდა, რომ იგი უფრო სათუთი იყო, ვიდრე მეგონა, მივხვდი, რომ ჩირალდანს უნდა გაუფრთხილდე, თორემ ქარის ერთ შემოქროლას შეუძლია ჩააქროს იგი...“, – წერს სენტ-ეგზიუპერის ალტერეგო, „პატარა უფლისწულის“ გმირი, მფრინავი, უდაბნოში მოულოდნელად რომ შეხვდა ოქროსთმიან ბიჭუნას, ალევორიულად – საკუთარ დაკარგულ, მატერიალურ სამყაროში ჩაძირულ სულს.

ოცნება მართლაც ჩირალდანია, რომელიც ყოველთვის უნდა ენთოს. გაბრიელა მისტრალისთვის „ოცნება არის ღვთაებრივი უბრალოება“ („ხელოვანის 10 მცნება“), ამიტომაც ურჩევს მასწავლებელს: „იყავი გულანთებული. ლამაზრები რომ ანთო, ცეცხლი უნდა გქონდეს გულში“. ამ ცეცხლს კი მხოლოდ ოცნებით ნასაზრდოები შთაგონება თუ დაანთებს.







მაია ფირჩხაძე

# „ხუთი გარეობა“ მიზნამდე

სწავლა/სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს შორის გამორჩეულია გარეობებით სწავლა. მისი მთავარი ფუნქციაა, გაუღვივოს ბავშვებს წიგნისადმი ინტერესი და განუვითაროს გააზრებული კითხვის უნარი; ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების სტიმულირებას და მოიცავს გავრეცხვითი პრაქტიკულად ყველა ეტაპს (გონებრივი იერიში, გაგება-გააზრება და რეფლექსია).

### გარეობებით სწავლა რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს მოიცავს:

**პირველი ეტაპია კითხვისთვის მომზადება:**

- შერჩეული ტექსტი უნდა იყოს თნობითი ხასიათის.
- ტექსტი აუცილებლად უნდა შეიცავდეს პრობლემას, რომელიც აშკარად არ იკითხება, შეფარულია.
- წინასწარი მომზადების ეტაპზე მასწავლებელმა ყურადღებით უნდა წაიკითხოს ტექსტი და იპოვოს ოპტიმალური მომენტი „გარეობისთვის“; გამოყოს მოსწავლეებისთვის უცნობი სიტყვები, რომლებსაც განმარტება სჭირდება და მიაგნოს იმ მნიშვნელოვან, საკვანძო საკითხებს, რომლებზეც უნდა გაამახვილოს მოსწავლეთა ყურადღება.

მასწავლებლის მიერ შერჩეული „გარეობები“ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ერთგვარი „რიგი“, რომლის ერთ მხარეს უკვე ნაცნობი ინფორმაციაა განთავსებული, ხოლო მეორე მხარეს – სრულიად უცნობი ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია, სერიოზული გავლენა მოახდინოს მოვლენათა შეფასებაზე.

ცალკეულ „გარეობაზე“ მოსწავლემ შეიძლება შეიცვალოს შეხედულებები, მაგრამ ამას გააკეთებს არა სხვისი მოსაზრების გავლენით, არამედ საკუთარი დაკვირვების საფუძველზე.

ამავე ეტაპზე, გონებრივი იერიშის დროს, მასწავლებელი წამოჭრის და განიხილავს გავრეცხვითი/თემის მხოლოდ სათაურს ან ეპიგრაფს, რომელიც ახლავს ტექსტს და მაქსიმალურადაა მიახლოებული ძირითად თემასთან. ამ დროს მასწავლებელმა შეიძლება დასვას შემდეგი ტიპის შეკითხვები:

„რატომ აქვს ასეთი სათაური ტექსტს?“, „რა შემთხვევაში შეიძლება ასე იყოს დასათაურებული ისტორიული ამბავი?“, „როგორ შეიძლება განვითარდეს

მოვლენები, რას შეიძლება ველოდეთ ამ სათაურის შემდეგ?“, „რომელი მსგავსი მოვლენა გაგახსენათ ამ სათაურმა?“ – და ა.შ.

ტექსტის სათაურის/ეპიგრაფის განხილვა შეიძლება მრავალნაირად წარიმართოს. მაგალითად:

- მასწავლებელმა ისაუბროს საკუთარ დამოკიდებულებაზე – რა ასოციაციას უჩენს თავად მას გავრეცხვითი/თემის სათაური, იმ განცდებზე, რომლებიც ეუფლება ხოლმე მსგავსი საკითხების განხილვის დროს.
- შეიძლება „იდეების რუკის“ გამოყენებაც, რომელზეც ბავშვები მაქსიმალურად ბევრ მოსაზრებას ჩამოწერენ ტექსტის სათაურიდან/ეპიგრაფიდან გამომდინარე განცდებისა და ტექსტის მოსალოდნელი შინაარსის შესახებ.

მეორე ეტაპი ტექსტის უშუალოდ „გარეობებით“ კითხვაა. მასწავლებელი წინასწარ დაყოფს ტექსტს აზრობრივ ნაწილებად, ანუ მოაწყობს იმდენ „გარეობას“, რამდენი აზრობრივად დასრულებული ნაწილისგანაც შედგება ტექსტი.



კითხვისას, თითოეული „გარეობის“ მიზნის შესაბამისად,

**ცალკეულ „გარეობაზე“ მოსწავლემ შეიძლება შეიცვალოს შეხედულებები, მაგრამ ამას გააკეთებს არა სხვისი მოსაზრების გავლენით, არამედ საკუთარი დაკვირვების საფუძველზე.**

მიმდინარეობს ტექსტიდან გამომდინარე კითხვების დასმა და ეს მეორდება იმდენჯერ, რამდენი ნაწყვეტიც ანუ რამდენი „გაჩერებაცაა“ ტექსტში. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ გაჩერებაზე მასწავლებელი სვამს ორ აუცილებელ შეკითხვას:

- ა. „იმ ვარაუდებიდან, რომლებიც საწყის ეტაპზე გამოთქვით, რომელი გამართლდა და რომელი – არა?“
- ბ. „როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები ამის შემდეგ?“, „როგორ დასრულდება ეს ამბავი?“, „თქვენ როგორ დაასრულებდით?“


აუცილებელთა გვერდით მასწავლებელი სვამს სხვა შეკითხვებსაც, რომლებიც ნაწყვეტის გააზრებისთვის სჭირდება.

- მნიშვნელოვანია, რომ:  თითოეული „გაჩერება“ აჩენდეს მოლოდინს და იძლეოდეს წარმოსახვის საშუალებასაც – „რა შეიძლება მოხდეს შემდეგ?“
-  შეკითხვები კრიტიკული აზროვნებისკენ უბიძგებდეს მოსწავლეს, იყოს სხვადასხვაგვარი და აღქმის სხვადასხვა ასპექტს უკავშირდებოდეს. სასურველია, გამოვიყენოთ „მსხვილი და წვრილი შეკითხვები“ ან „ბლუმის გვირილა“ („ბლუმის კითხვები“).

მესამე ეტაპზე რეფლექსია. ამ დროს ტექსტი ისევ იკითხება თავიდან ბოლომდე და ანალიზდება გონებრივი იერიშის ეტაპზე წამოყენებული ყოველი იდეა.

მეოთხე ეტაპი ტექსტთან დაკავშირებული ფინალუ-

რი სამუშაოა. ის სრულდება მოსწავლეთა შემოქმედებითი სამუშაოთი – ესეც დაწერით, სინქვინით და სხვ. ამ დროს კლასი შეიძლება დაეყოთ ჯგუფებად და თითოეულ მათგანს განსხვავებული დავალება მივცეთ: ერთმა მისწეროს წერილი მთავარ მოქმედ პირს (ან მას, ვინც აინტერესებს), მეორემ ტექსტი წარმოადგინოს ცხრილის სახით, მესამე ჯგუფს შეუძლია, დაასურათოს ტექსტი და ა.შ.

- რეკომენდებულია:  „გაჩერებებით კითხვის“ დროს სამუშაო ტექსტი არ იყოს დიდი. უმჯობესია, ეს იყოს მცირე ფრაგმენტი რომელიმე ისტორიული წყაროდან, მოგზაურობის ჩანაწერები ან თუნდაც მიმდინარე საგაკვეთილო ტექსტის რომელიმე ნაწილი. თუ



გაკვეთილი მოცულობითია, უმჯობესია, გავაანალიზოთ პარაგრაფის ის ქვეთავი, რომელშიც შედარებით უხვადაა გადმოცემული ძირითადი მოვლენები.

წყაროს განხილვისას სასურველია, მასწავლებელმა გააკეთოს კომენტარი წყაროს ავტორის შესახებ (მოკლედ მოყვეს მის ბიოგრაფიას, აღწეროს წყაროს შექმნის პირობები, ისაუბროს წყაროს მნიშვნელობაზე მოცემული საკითხის შესწავლისთვის და სხვ.), გინაიდან ისტორიული წყაროები, როგორც წესი, „მიბმულია“ ავტორს.

„გაჩერება“ არ უნდა იყოს ბევრი. ერთი საგაკვეთილო პერიოდისთვის მისაღებია 3-4-5 „გაჩერების“ მოწყობა.

მაგალითად:



**კლასი:** VIII

**თემა:** გერმანული სახელმწიფოების ჩამოყალიბება ევროპაში. თემის ძირითადი მიზანია, მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ ცოდნა იმის შესახებ, როგორ შეიქმნა სახელმწიფოები ევროპაში, როგორ შეიქმნა ფრანკთა იმპერია.

**განიხილება ისტორიული შინაარსის ტექსტი „კარლოს დიდის ცხოვრება“.**

**მთლიანი ტექსტი:**

„კარლოს დიდმა (768-814) აღმოსავლეთში საქსების წინააღმდეგ ბრძოლას 30 წელი მონადომა. მან ისინი დაიმორჩილა და გააქრისტიანა. კარლოსმა ესპანეთში არაბების წინააღმდეგ საბრძოლველად პირინეის მთები გადაიარა. შემდეგ ესპანეთის დაპყრობა განიზრახა, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. კარლოსმა ფრანკთა სამეფოს შემოუერთა არაგონია, ნავარა და კატალონია და აღნიშნულ ტერიტორიებს ესპანეთის მარკა უწოდა. ამ ბრძოლაში მას ერთგული ჰერცოგი როლანდი დაეღუპა. ამ მოვლენას ეძღვნება ეპოსი „სიმღერა როლანდზე“. 800 წელს რომის პაპმა ლეო III-მ კარლოს დიდი იმპერატორად აკურთხა. კარლოსმა გააგრძელა მამის დაწყებული რეფორმები, ლანგობარდების სამეფო გაანადგურა და ფრანკთა სამეფოს მიუერთა. ჩაატარა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმა და ქვეყანა საგრაფოებად, საჰერცოგოებად და მარკებად დაყო. კარლოსის ბრძანებით, ფრანკთა იმპერიაში შეიქმნა სწავლულთა წრე – მეცნიერე-

ბათა აკადემია და შედგენილი იქნა ფრანკული (გერმანული) ენის გრამატიკა. კარლოსის დროს ფილოსოფიური აზროვნებისა და კულტურის განვითარებას „კაროლინგური აღორძინებად“ მოიხსენებენ. განათლების კაროლინგური რეფორმა ეფუძნებოდა თავისუფალი ხელოვნების აღორძინებას (ასტრონომია, მუსიკა, არითმეტიკა-გეომეტრია, ლოგიკა, რიტორიკა, გრამატიკა). კარლოსის გარდაცვალების შემდეგ, 814 წელს, ტახტზე მისი ვაჟი ლუი ღვთისმოსიში ავიდა, რომელმაც 843 წელს ვერდენის ხელშეკრულების საფუძველზე იმპერია თავის სამ ვაჟს გაუყო. ამ მოვლენამ დასაბამი მისცა სამი დიდი სახელმწიფოს: საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის შექმნას. ცნობები კარლოს დიდის მეფობის შესახებ მოგვცა ფრანკმა ისტორიკოსმა აინჰარდმა ნაწარმოებში „კარლოს დიდის ცხოვრება“.

**„გაჩერებები“:**

**პირველი გაჩერება:** „კარლოს დიდმა (768-814) აღმოსავლეთში საქსების წინააღმდეგ ბრძოლას ოცდაათი წელი მონადომა. მან ისინი დაიმორჩილა და გააქრისტიანა“.

**მეორე გაჩერება:** „კარლოსმა ესპანეთში არაბების წინააღმდეგ საბრძოლველად პირინეის მთები გადაიარა. შემდეგ ესპანეთის დაპყრობა განიზრახა, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. კარლოსმა ფრანკთა სამეფოს შემოუერთა არაგონია, ნავარა და კატალონია და აღნიშნულ ტერიტორიებს ესპანეთის მარკა უწოდა. ამ ბრძოლაში მას ერთგული ჰერცოგი როლანდი

**გაჩერებებით  
სწავლა ხელს უწყობს  
კრიტიკული და  
შემოქმედებითი  
აზროვნების  
განვითარებას,  
თვითშეფასებას,  
მოტივირებას,  
სოციალიზაციას,  
საინტერესო  
შემოქმედებითი  
პროდუქტების  
შექმნას.**



დაელუპა. ამ მოვლენას ეძღვნება ეპოსი „სიმღერა როლანდზე“.

**მესამე გაჩერება:** „800 წელს რომის პაპმა ლეო III-მ კარლოს დიდი იმპერატორად აკურთხა. კარლოსმა გააგრძელა მამის დაწყებული რეფორმები. ლანგობარდების სამეფო გაანადგურა და ფრანკთა სამეფოს მიუერთა. ჩაატარა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმა და ქვეყანა საგრაფოებად, საჰერცოგოებად და მარკებად დაყო“.

**მეოთხე გაჩერება:** „კარლოსის ბრძანებით, ფრანკთა იმპერიაში შეიქმნა სწავლულთა წრე – მეცნიერებათა აკადემია და შედგენილ იქნა ფრანკული (გერმანული) ენის გრამატიკა. კარლოსის დროს ფილოსოფიური აზროვნებისა და კულტურის განვითარებას „კაროლინგურ აღორძინებად“ მოიხსენიებენ. განათლების კაროლინგური რეფორმა ეფუძნებოდა თავისუფალი ხელოვნების აღორძინებას (ასტრონომია, მუსიკა, არითმეტიკა-გეომეტრია, ლოგიკა, რიტორიკა, გრამატიკა)“.

**მეხუთე გაჩერება:** „კარლოსის გარდაცვალების შემდეგ, 814 წელს, ტახტზე მისი ვაჟი ლუი ლვთისმომში ავიდა, რომელმაც 843 წელს ვერდენის ხელშეკრულების საფუძველზე იმპერია თავის სამ ვაჟს გაუყო. ამ მოვლენამ დასაბამი მისცა სამი დიდი სახელმწიფოს: საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის შექმნას. ცნობები კარლოს დიდის მეფობის შესახებ მოგვაწოდა ფრანკმა ისტორიკოსმა აინჰარდმა

ნაწარმოებში „კარლოს დიდის ცხოვრება“.

**გარდა იმ შეკითხვებისა, რომლებიც ტექსტის დამუშავების საწყის ეტაპზე –სათაურის განხილვისა და გონებრივი იერიშის დროს შეიძლება წარმოიშვას და რომლებზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, ცალკეულ „გაჩერებებზე“ შეიძლება გაჩნდეს ასეთი შეკითხვებიც:**

- 🍌 რა გავლენა მოახდინა გეოგრაფიულმა გარემომ ფრანკებზე, მათი ტერიტორიის ფორმირებაზე?
- 🍌 თქვენი აზრით, განათლების ასეთი სისტემა რამდენად სასარგებლო იქნებოდა ქვეყნისთვის? ცალკეული ადამიანისთვის? ადამიანთა ჯგუფისთვის?
- 🍌 რატომ დაერქვა კარლოს დიდის მიერ გატარებულ რეფორმებს „კაროლინგური რენესანსი“?
- 🍌 გაიხსენე განვლილი მასალა, როგორ აღიქვამდა ადრეული შუა საუკუნეების ადამიანი ეპოქას? რა ცვლილებები შეიტანა კარლოს დიდის რეფორმებმა ევროპელთა საზოგადოებაში?
- 🍌 შესაძლებელია თუ არა, მოყვანილი ფრაგმენტი ჩაითვალოს საისტორიო წყაროდ? რატომ?

და ა.შ.

**რეფლექსიისა და ფინალურ ეტაპზე მოსწავლეებს შევთავაზოთ ჯგუფური სამუშაო:**

**I-მა ჯგუფმა** მისწეროს წერილი კარლოს დიდს, გრაფ როლანდს

ან აინჰარდს (ინტერესის მიხედვით);

**II ჯგუფმა** ტექსტი წარმოადგინოს ცხრილის სახით;

**III ჯგუფმა** შეადგინოს კარლოს დიდის იმპერიის რუკა და რუკას დაურთოს ლეგენდა (შეიძლება მუშაობა ინტერაქციულ რუკაზეც).

**IV ჯგუფმა** შეიძლება დაასურათოს ტექსტი და ა.შ.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაჩერებებით სწავლა ხელს უწყობს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, თვითშეფასებას, მოტივირებას, სოციალიზაციას, საინტერესო შემოქმედებითი პროდუქტების შექმნას.



# პრაქტიკულ საქმიანობაში ასახული უნყვეტი განათლება




ლელა კოტორაშვილი

გერმანელი მწერლის მიხედვით ენდეს რომანი „დაუსრულებელი ამბავი“ ოთხი წლის წინ წიგნის ფესტივალზე აღმოვაჩინე და ჩემი რაჭველი მოსწავლეებისთვის ვიყიდე.

11 წლის ბასტიანს დედა გარდაცვლილი ჰყავს, ცოლის დაკარგვით გამოწვეული დარდის გამო მამას მისთვის არ სცალია. ბიჭს ბევრი პრობლემა აქვს: თანატოლები ჩაგრავენ, ჭარბი წონის გამო დასცილიან, სწავლაშიც ხელმოცარულია. ბასტიანი სკოლას ციხეს ადარებს. ამ სიმარტოვესა და გაუცხოებას კითხვით ებრძვის. „დაუსრულებელი ამბავი“ არის რეალობასა და ფანტაზიას შორის მიმოსვლა. ბასტიანს ამ მოგზაურობისას წონასწორობის შენარჩუნებას მალაზიიდან გატაცებული წიგნი ასწავლის.

„დაუსრულებელი ამბავის“ მიხედვით დავამზადე დიორამა და ლიტერატურულ კაფეში წარვადგინე. შემდეგ ჩემი მოსწავლე, 12 წლის მარიამი, დაინტერესდა, „დაუსრულებელი ამბავის“ შესახებ სლაიდშოუ აავო და მომდევნო ლიტერატურულ კაფეში თანატოლებს გააცნო. ფენტეზის უანრის რომანი სხვებმაც წაიკითხეს. ორი წლის შემდეგ წიგნის გერმანული გამოცემა შტუტგარტის ბიბლიოთეკაში აღმოვაჩინე. სასიამოვნოდ გამაკვირვა იმ ფაქტმა, რომ წიგნი ქართულ გამოცემლობას ზუსტად გერმანული გამოცემის მიხედვით უთარგმნია და გამოუცია, რადგან წიგნს აზრს სწორედ მისი განსხვავებული დიზაინი სძენს. „დაუსრულებელ ამბავს“ სურათი გადავუღე და წიგნიერების დონის ასამაღლებელი ვიქტორინისთვის მომზადებულ სლაიდშოუში ჩავსვი, საზაფხულო სკოლაში კი რაჭველი მოსწავლეებს ვაჩვენე. მიზნად დავისახე ლიტერატურის ძალის წარმოჩენა და კითხვის მულტიკულტურული მნიშვნელობის გააზრება – მალაღმთიანი სოფლის პატარა სკოლის მასწავლებლისა და მოსწავლე-

ების მიერ წაკითხული წიგნი როგორი მნიშვნელოვანია მწერლის სამშობლოში. ყოველივე ამას კი წიგნიერების რაობის გააზრებამდე მივყავართ, კერძოდ, იმისა, კითხვა და ლიტერატურა სხვა ქვეყნის კულტურული სამყაროს გასაცნობად საუკეთესო საშუალება რომ არის. ეს ამბავი იმით გაგრძელდა, რომ ჩემმა თბილისელმა მოსწავლემ მიხედვით ენდეს „დაუსრულებელი ამბავის“ რაჭულ-შტუტგარტული ისტორიის მოსმენის შემდეგ გერმანიაში იმოგზაურა და სკოლაში წიგნის გერმანული გამოცემით დაგვიბრუნდა. ვიცი, რომ მიხედვით ენდეს ლურჯ- და წითელმელნიანი რომანი კიდევ ბევრ ამბავში გაგვხვდეს.



წიგნის მიხედვით დამზადებული დიორამა

„დაუსრულებელი ამბავი“ – ქართული გამოცემა



**დროთა განმავლობაში  
მასწავლებლის  
მადიებლობა პირად  
მაგალითად იქცევა  
მოსწავლისთვის. მას  
ცნობისმოყვარეობა  
უღვივდება. ჩვენ კი  
მეგზურად მივყვებით  
კვლევა-ძიების გზაზე  
და წარვმართავთ  
ცოდნის აგების  
პროცესს.**

„Please, sir, I want some more!“ – ამ ფრაზას ჩარლზ დიკენსის ოლივერ ტვისტი ამბობს და მთავარი კონფლიქტიც აქედან იწყება, რომელიც პატარა ბიჭს გაბედულ თავგადასავალში ჩააბამს. წიგნი ხუთი წლის წინ სიმბოლურად ვიყიდე ჩემი პირველი ხელფასით. მაშინ ქალაქ ონში იყო გაზეთების ჯიხური, სადაც თბილისიდან ყოველკვირეულად წიგნებიც ჩამოდიოდა. შემოდგომის ერთ მზიან ხუთშაბათს კატიწვერას დათოვლილი მყინვარი მოახლოებულ ზამთარს გვამცნობდა. მასწავლებლები სკოლის წითელი ავტობუსით ონიდან უწერისკენ მივრახრახებდით. მე საგულდაგულოდ ჩამებლუჯა სქელტანიანი „ოლივერ ტვისტი“. მაშინ რას წარმოვიდგენდი, როგორ თავგადასავალს დაატრიალებდა ეს წიგნი ჩვენს ცხოვრებაში.

მაღევე პირველი ლიტერატურული კაფე გაემართეთ. წიგნის წარდგენის ფორმად პოსტერი

შევარჩიეთ. ჩემი არჩევანი „ოლივერ ტვისტი“ იყო. პოსტერზეც ოლივერი დაგზაბე და მცირე ინფორმაციულ ტექსტთან ერთად ფრაზაც „Please, sir, I want some more!“ დავწერე. წიგნმა მოგზაურობა დაიწყო და ხელიდან ხელში გადადიოდა. პირველი ხელფასით ნაყიდი წიგნი ორი წლის შემდეგ დამიბრუნდა. მოგზაურობის კვალიც მოიყოლა: ბავშვების სიყვარული და კითხვისას განცდილი ემოციები. თითქოს ოლივერ ტვისტთან ერთად ჩვენც დინების საწინააღმდეგოდ დავიწყეთ სვლა: ვებრძოდით შიმშესა და სირთულეებს, ვიღრმავებდით ცოდნას, ვსწავლობდით ერთმანეთისგან და, ოლივერის მსგავსად, თანდათან გამბედავები ვხდებოდით.

ორი წლის შემდეგ მოულოდნელად ლონდონიდან სოფელში სტუმარი გვეწვია. ქალბატონი ლელა ლონდონის ერთ-ერთ სკოლაში მათემატიკას ასწავლის. მედიათეკის ოთახში სიმბოლურ საჩუქრებს რომ გვაჩვენებდა, მოულოდნელად ბავშვები აყიჟინდნენ. საყოველთაო სიხარული ჩარლზ დიკენსის მოთხრობების კრებულმა გამოიწვია, რომლის ყდაზეც სწორედ ის ეპიზოდი იყო გაცოცხლებული, როცა მეგობრების წაქეზებით შეგულიანებული ოლივერი ზედახედეგელს ხის ჯამით მიადგება და ულუფის დამატებას სთხოვს. რაჭველი გოგო-ბიჭები კი ლონდონიდან ჩვენთვის ჩამოფრენილი, ნაქერალას ულელტეხილგადმოვლილი წიგნის ილუსტრაციას დაჰყურებდნენ და „Please, sir, I want some more!“-ო, ამბობდნენ.

ორი წლის შემდეგ სწავლა მაგისტრატურაში გავაგრძელე. ანგლო-ამერიკული რომანის ლექციებზე ჩარლზ დიკენსის შესახებ სულგანაბული ვისმენდი. უეცრად ლექტორმა ჩვენთვის საკრალურად ქცეული ფრაზა რომ ახსენა, ემოციების გამოხატვისგან თავი ვერ შევიკავე. მე და ჩემს მოსწავლეებს ახალწამოწყებული გვექონდა პროექტი სახელად „მომოწერილი მთა და ქალაქი“, რომლის ფარგლებშიც ერთმანეთს პირად წერილებს ვწერდით და ფოსტით ვუგზავნიდით. წერილებში წიგნებზე, სწავლაზე, ლექციებზე, ქალაქურ ცხოვრებაზე ვამახვილებდი ყურადღებას. ჩარლზ დიკენსის, ოლივერ ტვისტისა და ჩემი ლექტორის შესახებ საგანგებოდ მივწერე ბავშვებს. მიზანი ახლაც იგივე იყო: კითხვით წამოწყებული თავგადასავლების მნიშვნელოვნება, ჩვენი ინდივიდუალური ამბებით ცხოვრების გამრავალფეროვნება, ლიტერატურით სხვადასხვა სოციუმში თვითდამკვიდრება.



„დაუსრულებელი ამბავი“, გერმანული გამოცემა  
სტუტგარტის ახალი ბიბლიოთეკა






უწყვეტი განათლების შედეგად პრაქტიკული საქმიანობის ამსახველი კიდევ ბევრი მაგალითი შემიძლია აღვწერო, თუმცა სიღრმისეული გააზრებისა და ანალიზისთვის აუცილებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის მიმოხილვა.

მასწავლებლის ყოველდღიური რიტმი სწრაფი, მოუხელთებელი და უღმობელია, რაც მუდმივ შფოთვას იწვევს. შინაგან დაძაბულობას ხშირად მრავალი ფორმალური თუ არაფორმალური, დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საქმე, სამსახურებრივი და პირადი ვალდებულებები ქმნის.

ყოველივე ეს მართლაც გაუსაძლისი იქნებოდა, რომ არა კომფორტისა და სიამოვნების ის განცდა, რაც მუდმივ ძიებას, კვლევას, ჩვენი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებასა და უწყვეტ განათლებას მოაქვს.

უწყვეტი განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას გულისხმობს. შეგვიძლია, უწყვეტი განათლების სინონიმად სიტყვა „მაძიებლობა“ გამოვიყენოთ. განათლების სფერო მაძიებელს უწოდებს ახალბედა მასწავლებელს, რომელიც პროფესიაში დამკვიდრებამდე ამ სტატუსს ატარებს. თუმცა ჩემთვის მაძიებლობა უწყვეტი სტატუსია და მასწავლებლის საქმიანობა სწორედ მაძიებლობაზე დგას. მასწავლებლობა პიროვნული განვითარების, ემოციების მართვისა და ინტელექტის მუდმივი წრთობაა. რომ გავცეთ, უნდა მოვიპოვოთ. რომ ავივსოთ, უნდა ვიმოქმედოთ. შერლოკ ჰოლმსივით დედუქციურ მეთოდს მივყვებით თუ დეტალებისგან ავაგებთ ჩვენეულ სამყაროს, მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, გამადიდებელი შუშა მოვარგოთ თვალებს, პროფესიული ინტუიცია გავიმახვილოთ, შედეგად კი იდეები არასდროს გამოგველევა.

როგორც უკვე აღვნიშნე, უწყვეტი განათლება, მაძიებლობა, პრაქტიკულ საქმიანობას საინტერესო ხდის და სწავლა-სწავლების პროცესს მუდმივ წრებრუნვად აქცევს. აქ აუცილებლად უნდა დავსვათ კითხვა: რა მიზნით ვასწავლით? წარმატებული მომავლის შესაქმნელად თუ თვითშემეცნებისთვის, რომელიც თავისთავად ქმნის წარმატებულ მომავალს.



ჩემ მიერ დასმულ კითხვას ფრანგი მწერალი, მასწავლებლობის ოცდაათწლიანი გამოცდილების მქონე დანიელ პენაკი, რომანში „სკოლის სევდა“ ასე ეხმიანება:

„როცა ცხოვრება გვართმევს იმ როლს, რომელიც ასე კარგად მოვირგეთ და ვხდებით ისეთი, როგორც სინამდვილეში ვართ, ჩვენ ხშირად არარაობას ვემსგავსებით – ჩვენ არავინ ვხდებით. ეს განცდა ისეთი მტკივნეული და ისეთი მძაფრია, რომ მზად ვართ, სიცოცხლეც მოვისწრაფოთ. აი, აქ ვლინდება ჩვენი ალბრდის ნაკლოვანება, მთავარი ბზარი და დეფექტი“.

**უნყვეტი განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას გულისხმობს. შეგვიძლია, უნყვეტი განათლების სინონიმად სიტყვა „მაძიებლობაც“ გამოვიყენოთ. განათლების სფერო მაძიებელს უწოდებს ახალბედა მასწავლებელს, რომელიც პროფესიაში დამკვიდრებამდე ამ სტატუსს ატარებს.**

აღზრდის მთავარი დეფექტი კი სიხარულს მოკლებული, მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის დაგროვებაზე ორიენტირებული სწავლებაა, რომელიც ბავშვებს სკოლას აძულებს. სწავლის დაკავშირება თვითშემეცნებასა და სიხარულთან მოსწავლე-მასწავლებლის ცხოვრებას სწორ გეზს აძლევს. კვლავ ისმის კითხვა: როგორ მოვახერხოთ მასწავლებლებმა რუტინულ ყოველდღიურობაში ამ კონკრეტული მიზნისთვის აქტივობების მორგება? აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ სწავლების პროცესში ცნობის-მოყვარეობის როლზე, რომელიც მაძიებლობასთან დაგვაბრუნებს.

ცნობისმოყვარეობა, ახლის აღმოჩენისა და სწავლის სურვილი მასწავლებელს მუდმივ მაძიებლად აქცევს. ყოველივე ამას მასწავლებელი მოსწავლეებსაც უნდა გადასცემდეს.

ცნობისმოყვარეობის ფენომენის მეცნიერული კვლევა მეოცე საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. ის ყველა ცოცხალ ორგანიზმს ახასიათებს, განსაკუთრებით კი ბავშვებსა და კატებს (აქ ლუის კეროლის ელისი და მისი ფისო დინა გაგახსენდებათ).

ცნობისმოყვარეობის აღძვრას გარკვეული ძალისხმევა სჭირდება, თუმცა აქაც გარკვეული ზომიერების დაცვაა საჭირო. გადაჭარბებულმა ცნობისმოყვარეობამ შეიძლება არასწორი გზით წაიყვანოს მოზარდი. მართალია, სასწავლო პროცესში მასწავლებელმა უნდა აღძვრას ინტერესი, მაგრამ თავადაც უნდა იყოს მიბმული ამ პროცესს, რათა მოსწავლესთან კავშირი არ დაკარგოს.

ცნობისმოყვარეობის მოკლე განმარტება ასეთია: ადამიანი ცნობისმოყვარედ ითვლება, როცა დაინტერესებას იჩენს სიახლეების მიმართ და როცა ენთუზიზმს არ იმუშრებს თავისი ცნობის-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

ასე რომ, თვითშემეცნების გასაღვევებლად ცნობისმოყვარეობის აღძვრაა საჭირო, მერე კი წამოწყებული კვლევა-ძიების გაძლოლის დრო დგება. კვლევა-ძიებაზე ორიენტირებული სწავლება კონსტრუქტივიზმს გაგვახსენებს, სწავლების იმგვარ მოდელს, როდესაც მოსწავლე მასწავლებლის დახმარებით წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე აგებს ახალ ცოდნას.



სწორად წარმართული კონსტრუქტივისტული სწავლებისას სწავლა კმაყოფილებასა და სიხარულს იწვევს. ამ მოსაზრებას ამყარებს ამერიკელი ფსიქოლოგის მიჩაი ჩიქსენთმიჰის დინების თეორია (Flow Theory), რომელიც დაწვრილებით არის აღწერილი წიგნში „დინება: ბედნიერების ფსიქოლოგია“.

- მიჩაი ჩიქსენთმიჰის თეორიის მიხედვით:
- 🍌 სიამოვნებას უნდა იღებდეს კეთებისგან;
- 🍌 ზუსტად უნდა იცოდეს, რა გინდა და გქონდეს პროგრესისკენ მიმართული მიზნები;
- 🍌 შენს საქმიანობას უნდა ჰქონდეს მეყსეული უკუკავშირი (სხვა დაინტერესო, მოიზიდო, ჩართო);
- 🍌 გამოწვევა და მიზანი უნდა შეესაბამებოდეს შენს შესაძლებლობებს;
- 🍌 ძლიერ უნდა იყო ფოკუსირებული აწმყოზე.

ჩემი როგორც ქართულის მასწავლებლის მიზანი მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლებისთვის ზრუნვაა, რადგან სწავლა-სწავლების ეფექტიანობას სწორედ წიგნიერება განსაზღვრავს. საგულისხმოა ერთი მნიშვნელოვანი კვლევა, რომელიც არგუმენტად უნდა დავიმოწმოთ.

2015 წელს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის ჯგუფმა მათემატიკაში სახელმწიფო შეფასების ანგარიში მოამზადა. კვლევამ 16 სკოლის 4226 მოსწავლე მოიცვა. კვლევის ფარგლებში გამოიკვთა, რა შედეგები აქვთ ქართველ მოსწავლეებს საბაზო საფეხურის დასრულებისას, მე-9 კლასის ბოლოს. კვლევის შედეგად გამოვლინდა საინტერესო ფაქტი, კერძოდ, როგორ მოქმედებს წიგნიერება მათემატიკური უნარების განვითარებაზე. მასწავლებლების აზრით, დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლებას იმდენად დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენადაც წერა-კითხვის კარგად სწავლებას (სახელმწიფო შეფასება, მათემატიკა, 2015).

აღნიშნული კვლევა ამტკიცებს, რაოდენ მნიშვნელოვანია წიგნიერებაზე ზრუნვა და რომ სწორედ წიგნიერებაზე დგას სხვა უნარების განვითარება.

ვინაიდან ჩემ მიერ აღწერილი პრაქტიკული საქმიანობის კონკრეტული მაგალითები სწორედ წიგნიერების განვითარებისკენ არის მიმართული, სახელმწიფო შეფასების შედეგების გათვალისწინებით ვრწმუნდებით, რა სიღრმისეული როლი აკისრია მასწავლებლის ზრუნვას უწყვეტი განათლებისთვის, თვითგანვითარებისთვის (წიგნიერების მიმართულებით) და პირადი მაგალითის პრაქტიკულ საქმიანობაში წარმოჩენას, რის შედეგადაც მოსწავლეებიც მაძიებლები ხდებიან.

დროთა განმავლობაში მასწავლებლის მაძიებლობა პირად მაგალითად იქცევა მოსწავლისთვის. მას ცნობისმოყვარეობა უღვივდება. ჩვენ კი მეგზურად მივყვებით კვლევა-ძიების გზაზე და წარვმართავთ ცოდნის აგების პროცესს. უწყვეტი განათლება ერთიან ჯაჭვად აქცევს ცალკეულ რგოლებს და სწავლა-სწავლებაც სიამოვნებას, სიხარულს იწვევს. ყოველივე ამის შედეგად კი მიჩაი ჩიქსენთმიჰის თეორიის ძირითად მახასიათებლებს ადვილად აღმოვაჩინებთ როგორც ჩვენს, ისე ჩვენი მოსწავლეების ცხოვრებაში.

პ.ს. ორი წლის შემდეგ ჩემმა ათი წლის გოგონამ მამასთან ერთად შტუტგარტის ბიბლიოთეკა მოინახულა. გერმანიაში წასვლამდე მიხედე ენდეს „დაუსრულებელი ამბავი“ წაიკითხა და ქართული გამოცემა თან გაიყოლა. ისე მოხდა, რომ წიგნი ბიბლიოთეკაში დაკარგა. ბევრი ძებნის მიუხედავად, ვერ იპოვეს. მას შემდეგ სულ ვფიქრობთ, ნეტავ ვინ იპოვა ქართულ ენაზე დაბეჭდილი წითელყდიანი წიგნი ან სად მიუჩინა ადგილი?

ამ წიგნის ისტორია სათაურს ჰგავს – მის ირგვლივ ამბები არ სრულდება, როგორც ცნობისმოყვარეობაზე აგებული ურთიერთობა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ვერიკო ხელისუფალი, უწყვეტი განათლება თვითრეალიზებისთვის. ინტერნეტჟურნალი mastvlebeli.ge. 27 აპრილი, 2016
2. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, USAID G-PRIDE, 2015, თბილისი
3. სახელმწიფო შეფასება, მათემატიკა, IX კლასი. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. 2015. თბილისი
4. დანიელ პენაკი, „სკოლის სევდა“. თბილისი, „დიოგენე“, 2015
5. H.I. Day, Curiosity and The Interested Explorer. York University, NSPI Journal, May 1982





თამთა დოლიძე

# მიზნობრივი წერა: სარეკლამო ბუკლეტი ექსპურსიისთვის

**პანდემიამ სკოლა ძალიან შეცვალა, მისი დინამიკური, მრავალფეროვანი ყოველდღიურობა მდორე, ერთფეროვან რუტინად გარდაქმნა. ჯგუფური აქტივობების შეზღუდვამ მოსწავლე-მასწავლებლების ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო შემაჯამებელი აქტივობა – შემეცნებითი ტურებიც გააუქმა.**

წერის უნარებზე მუშაობა ბევრ დროს და მრავალმხრივ მიდგომას მოითხოვს. მიზნობრივ წერასთან დაკავშირებული დავალებები მოსწავლეებს ულვივებს მოტივაციას და უვითარებს ორიენტირებული წერის საბაზისო უნარებს. სანამ მოსწავლე სამუშაო პროცესის თვითდაგეგმვას მიეჩვენება, სასურველია, შევადაროთ ე.წ. ინსტრუქცია-ხარაჩოებით, რომლებიც მრავლად გვხვდება საგანმანათლებლო მეთოდურ თუ სასწავლო სახელმძღვანელოებში და შეგვიძლია, აქტივობის მიზნიდან გამომდინარე, კონკრეტულ თემას/ამოცანას შევუსაბამოთ. ქვემოთ სწორედ ამგვარი საყრდენების გამოყენებით მარტივი პრაგმატული ტექსტის შედგენაზე ვისაუბრებ.

პანდემიამ სკოლა ძალიან შეცვალა, მისი დინამიკური, მრავალფეროვანი ყოველდღიურობა მდორე, ერთფეროვან რუტინად გარდაქმნა. ჯგუფური აქტივობების შეზღუდვამ მოსწავლე-მასწავლებლების ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო შემაჯამებელი აქტივობა – შემეცნებითი ტურებიც გააუქმა. თუმცა ამ უსიამოვნო სიტუაციიდან რაღაც სარგებლის მიღებაც შეიძლება. მე და ჩემი მოსწავლეები ტურისტული კომპანიების ახალბედა თანამშრომლებად ვიქცით და ჩვენ-ჩვენი დედულეთ-მამულეთის პოპულარიზაციისკენ მიმართუ-

ლი სარეკლამო ბუკლეტების შექმნა ვცადეთ, ნამუშევრების პრეზენტაციის დღეს კი ვირტუალურად ვიმოგზაურეთ ერთ-მანეთის მშობლიურ მხარეებში.

პროექტზე მუშაობა გონებრივი იერიშით დავიწყე. მოსწავლეებს ვთხოვე, დაესახელებინათ, თუ რა ენატრებოდათ განსაკუთრებით სასკოლო ცხოვრებიდან. როგორც ვგარაუდობდი, უმეტესობამ ე.წ. გასვლითი ღონისძიებები დაასახელა. შემდეგ დაისვა მთავარი კითხვა: როგორ ვიმოგზაუროთ სახლიდან გაუსვლელად? გადავწყვიტე წიგნებს, ფილმებს, ფოტოალბომებს... ბოლოს გავიხსენეთ ადამიანები, რომლებიც ერთი დაუვიწყარი მოგზაურობის დაგეგმვაში მინც დაგვეხმარებოდნენ. აი, ასე „მევადექით“ ტურისტული კომპანიების ჩარაზულ კარებს და რადგან ხელმისაწვდომ საქმიანობათა ჩამონათვალიდან რეკლამის სფერომ ხმათა უმრავლესობა მოიპოვა, საზაფხულო-შემაჯამებელ პროექტზე მუშაობა აღნიშნულ მიმართულებასთან დაკავშირებული საწყისი უნარ-ჩვევების ათვისებით დავიწყეთ.

21-ე საუკუნეს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ სარეკლამო საქმიანობის აღზევების ხანა. სოციალური, პოლიტიკური თუ საინფორმაციო სასიათის რეკლამებითაა გაჯერებული ჩვენი საცხოვრებელი გარემო – ქუჩა, ტრანსპორტი, ტელევიზია,

ბექდური მედია, ინტერნეტი... ტერმინის მნიშვნელობას თუ დავუკვირდებით, რეკლამის ფრანგული შესატყვისი (გაპროტესტება, დამტკიცება, დაყვირება) ნათლად დაგვანახებს მის მიზანს. მაღალი კონკურენციის პირობებში, თვითდამკვიდრებისა და გაყიდვების პროცენტის გაზრდის მიზნით, რეკლამა ხშირად საჭიროების ილუზიასაც თავად ქმნის. აღნიშნული კონცეფციის თვალსაჩინო მაგალითია მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო რეკლამად აღიარებული California Milk Processor Board სლოგანით – „Got Milk?“ („რძე გაქვს?“). ამ სარეკლამო მესიჯის იდეა საგრძობლად შემცირებული გაყიდვების შედეგად წარმოიშვა. რძე საკმაოდ დამაჯერებლად იყო წარმოდგენილი გემრიელი საუბმის მთავარ კომპონენტად, შეკითხვის სახით ფორმულირებული სლოგანი კი ერთიორად ამძაფრებდა კომპანიის გზავნილს.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული არაერთი ნეგატიური შეფასების მიუხედავად, სწორედ წარმატებულმა სარეკლამო კამპანიამ აქცია „კოკა-კოლა“ მთელ მსოფლიოში ცნობილ და ერთ-ერთ ყველაზე გაყიდვად ბრენდად.

1971 წელს ბილ ბეკერის ავტორობით გადაღებული კლიპის მიზანი გამაჯრილებელი სასმლის მსოფლიოს ხალხთან საერთო ინტერესად წარმოჩენაა. მეტიც,

ეს ერთგვარად უნივერსალური პროდუქტი მათ საერთო ენის პოვნაში ეხმარება. სარეკლამო გზავნილი უდავოდ უნივერსალური და აქტუალურია. აღნიშნული კომპანია დღემდე უკვდავ ადამიანურ ღირებულებებზეა (შშვიდობა, ოჯახური მყუდროება, ადამიანური თანადგომა, საიმედოობის განცდა და ა.შ.) ორიენტირებული, რის მაგალითადაც 2020 წლის საახალწლო სარეკლამო რგოლიც გამოდგება.



ფორმაციო მასიდან მთავარი მესიჯების ამოკითხვა ვცადეთ.

მერე კი დადგა ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესის, ანუ მიღებული ცოდნისა და უნარების გამოყენების დრო. აქტივობა სასწავლო საფეხურის მიხედვით გავამარტივე/გავართულე. ციფრულ ტექნოლოგიებში ნაკლებად გააფუჭლ მოსწავლეებს მივართვე ბუკლეტის მზა ჩარჩო მკაფიო მინიშნებებით, რომელთა დახმარებითაც მოძიებული თემატური ინფორმაცია თუ ფოტომასალა სათანადო ველებში უნდა განეთავსებინათ. შედარებით გამოცდილებს თავიანთი ბუკლეტის დიზაინის შექმნაც ევალებოდათ. აქვე გაგიზიარებთ ბუკლეტის ყდას, რომელიც მოდელირების პროცესში გაკვეთილზე დავამზადე.

ლად უნდა ფლობდეს რეკლამის საუკუნეში დაბადებული ადამიანი. მართალია, ალებ-მიცემობა ერთ-ერთი უძველესი საქმიანობაა, მაგრამ ბოლო წლებში შოპინგის ციებ-ცხელება პიკს აღწევს. მერე რა, თუ არ გჭირდება ბოლო მოდელის სმარტფონი ან ახალი მანქანა - საჭიროების ილუზიის შექმნას წინ ვერაფერი დაუდგება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ხარისხიანი რეკლამა რეალური საჭიროების დროს პროდუქტების ზღვიდან შესაფერისი ერთეულის არჩევას გვიადვილებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ისეთ უსიამოვნო გარემოშიც კი, როგორც პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებია, სკოლამ ობიექტურად საჭირო და აქამ-

**სკოლამ აქამდე დროის სიმციროს გამო დღის რეჟიმში ვერაფრით ჩატეული პრაქტიკული უნარების განვითარებაზეც უნდა გაამახვილოს ყურადღება. იმედია, თქვენც ეფექტურად გამოიყენებთ პანდემიურ გამოწვევებს, რადგან დაბრკოლების დარაბებს მიღმა, როგორც წესი, გაზაფხულია.**

რეკლამის სამყაროში მცირე ექსკურსიის შემდეგ შემაჯამებელ პროექტზე მუშაობას შევეუდეთ. ჯერ რეკლამის ფორმებს (ბანერი, ბუკლეტი, მორბენალი სტრიქონი, ვიდეორგოლი) დავაკვირდით, მერე კი სლოგანის, ანუ ლაკონურად გადმოცემული მთავარი მესიჯის ეფექტურობა შევაფასეთ. აქვე ბოლო პერიოდის ყველაზე დასამახსოვრებელი სარეკლამო სლოგანებიც გავისხენეთ და ნიმუშების სახით სამუშაო დაფაზე განვათავსეთ.

სლოგანის მნიშვნელობის გააზრებისა და სარეკლამო ფორმატის შერჩევის შემდეგ ბუკლეტის დანიშნულებისა თუ ვიზუალური ეფექტების შესახებ საჭირო ინფორმაციის შეგროვება დავიწყეთ. მთავარ თვალსაჩინოებად ჩვენთვის სკოლის სარეკლამო ბუკლეტი გამოვიყენე. ამჯერად მომზარებლის თვალთ შევხედეთ სამად გაკეცილ ფერად მუყაოზე დატანილი სიტყვიერ თუ ფოტო მასალას და საერთო საინ-



ბუკლეტის შიდა მხარეს სამ სვეტად განვათავსე საქართველოს რამდენიმე მაღალმთიანი რეგიონის პეიზაჟები და მრავალფეროვანი გართობის ამსახველი ფოტოები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას აწვდიდა „ტურისტს“ და გარკვეულწილად პასუხობდა სლოგან-შეკითხვას: „რატომ მთაში?..“

ჩემი აზრით, სარეკლამო გზავნილის სწორად გაშიფვრა და მისი მომნუსხველი გავლენისგან თავის დაცვა ერთ-ერთი საჭირო უნარია, რომელსაც აუცილებ-

დე დროის სიმციროს გამო დღის რეჟიმში ვერაფრით ჩატეული პრაქტიკული უნარების განვითარებაზეც უნდა გაამახვილოს ყურადღება. იმედია, თქვენც ეფექტურად გამოიყენებთ პანდემიურ გამოწვევებს, რადგან დაბრკოლების დარაბებს მიღმა, როგორც წესი, გაზაფხულია.





ქეთევან ოსიაშვილი

# ჰიბრიდული სწავლება

**კარგი იქნება, თუ ჰიბრიდული სწავლების გაგრძელების საჭიროების შემთხვევაში ერთსა და იმავე პედაგოგს არ მოუწევს პირისპირ სწავლების პარალელურად ონლაინგაკვეთილების ჩატარება და მასწავლებლებს შორის მოხდება შრომის ერთგვარი განაწილება. ეს სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე დადებითად აისახება.**

მოზარდებისთვის იმდენად დამღლეელი და მოსაბეზრებელი აღმოჩნდა ერთწლიანი ონლაინსწავლება, რომ როცა დადგა დრო ჩვეულ სასწავლო გარემოში დაბრუნებისა, მათ სიხარული ვერ დამალეს.

როგორც ბევრი მშობელი აღნიშნავს, თუ ადრე დაძალბა უწყევდათ, რომ ბავშვი დილით დროულად ამდგარიყო და სკოლაში წასულიყო, ახლა პირიქით – მოზარდები დაჟინებით მოითხოვენ, რომ სახლში არ დატოვონ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ თანატოლებსა და პედაგოგებთან ურთიერთობას მონატრებული ბავშვები ჩვეულ გარემოში დაბრუნების ასეთ დიდ სურვილს გამოხატავენ, მშობლების გარკვეული ნაწილი, ბავშვის „უსაფრთხოების“ ინტერესებიდან გამომდინარე, უარს ამბობს შვილის სკოლაში გაშვებაზე და ითხოვს, რომ მან ონლაინრეჟიმში გააგრძელოს სწავლა.

ვფიქრობ, პირისპირ სწავლებაზე გადასვლისადმი მშობლების ასეთი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არავისთვის უნდა იყოს მოულოდნელი. ჯერ კიდევ სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა ერთი ნაწილი დაჟინებით მოითხოვდა, მოსწავლეთა სკოლაში დაბრუნება გარკვეული წესების დაცვისა და ბავშვის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის გარანტიით მომხდარიყო. მშობელთა მეორე ნაწილი ადრეც დიდ სიფრთხილეს იჩინდა და ახლაც ამჯობინებს, რომ თუ შვილის ჯანმრთელობას ოდნავი საფრთხე მაინც დაემუქრება, მის სწავლა-განათლებას მოაკლოს რამე, ვიდრე ერთგვარ რისკზე წავიდეს და შვილი სკოლაში გაუშვას. ასეთ მშობლებს ძალიან უჭირთ გადაწყვეტილების შეცვლა, მაშინაც კი, როცა რწმუნდებიან, რომ სკოლაში ბევრი რამ გაკეთდა ბავშვების უსაფრთხოებისთვის. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, იყო მოლოდინი

იმისა, რომ სკოლების გახსნის შემდეგ მშობელთა ერთი ნაწილი შვილის სკოლაში გაშვებას არ მოისურვებდა. სწორედ ამიტომ შემუშავდა სწავლების ჰიბრიდული მოდელი, როგორც პირისპირ სწავლებისა და ელექტრონული სწავლების კომბინაცია. სკოლები, კლასებში ბავშვების რაოდენობისა და თავად სკოლების ტექნიკური აღჭურვილობის შესაბამისად, ჰიბრიდული სწავლების სხვადასხვა ვარიანტს იყენებენ.

სამწუხაროდ, დღეს ყველა სფეროში და მათ შორის განათლების სისტემაშიც ადამიანები ვიძყოფებით რეალობაში, რომელიც ძალიან განსხვავდება იმისგან, რაც ერთი წლის წინ გვექონდა. მართალია, ბავშვები სკოლაში დაბრუნდნენ, მაგრამ სასწავლო გარემო, რომელიც იქ დახვდათ, ნამდვილად არ არის ისეთი, როგორიც ერთი წლის წინ დატოვეს. დღეს მათ უწყვეტ ბევრი ისეთი წესის დაცვა, რომლებზეც ადრე არ უფიქრიათ. ახალ გარემოსთან ადაპტირება, როგორც წესი, გარკვეულ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს, რაც, ბუნებრივია, თავის კვალს დააჩნევს სასწავლო პროცესს.

ის ბავშვები კი, რომლებიც პირისპირ სწავლების რეჟიმზე გადასვლის შემდეგ, მშობლების მოთხოვნის გამო, ისევ დისტანციურად აგრძელებენ სწავლას, ბევრად უფრო რთულ მდგომარეობაში არიან. რასაკვირველია, არც მათთვის დარჩენილა სასწავლო გარემო ისეთივე, როგორიც თუნდაც რამდენიმე კვირის წინ იყო და მათაც სჭირდებათ ამ ახალ გარემოსთან შეგუება. სულ ცოტა ხნის წინ, დისტანციური სწავლების დროს, ისინი მთელ კლასთან ერთად ერთგვარად იყვნენ სასწავლო პროცესში, ყველა ერთნაირ მდგომარეობაში იყო და ეს თითოეულ მათგანს უადვილებდა იმ სირთულეების გადალახვას, რომლებიც ბუნებრივად ახლავს ონლაინსწავლებას, ახლა კი შინ



დარჩენილი, უმცირესობაში მყოფი ბავშვები ეკრანიდან ადევნებენ თვალს საკლასო ოთახში მიმდინარე პროცესს, ერთმანეთთან შეხვედრით და ერთად ყოფნით განაღებულ, გალაღებულ, მხიარულ თანაკლასელებს და ბევრად უფრო დიდ დისკომფორტს განიცდიან, ვიდრე მაშინ, როდესაც ონლაინგაკვეთილში მთელი კლასი ერთად ერთვებოდა. ასეთი ბავშვები ვერც მაშინ გრძნობენ თავს კომფორტულად, როცა ონლაინგაკვეთილები თანაკლასელებისგან განცალკევებით უტარდებათ, რადგან ამ შემთხვევაში

სკოლაში დაბრუნება, მაგრამ ემორჩილებიან მშობლების ნებას, რომლებსაც აშინებთ პანდემიის პირობებში შვილების სკოლაში გაშვება. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მშობლების შიშმა შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს ბავშვის ემოციურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე და სრულიად გაუთვალისწინებელი პრობლემები წარმოშვას. ამდენად, კარგი იქნება, თუ უფრო მეტად დავფიქრდებით ჩვენი გადაწყვეტილებების სისწორესა და ეფექტიანობაზე.

უნდა ითქვას, რომ ჰიბრიდულმა სწავლებამ პედაგოგებიც სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა. ჰიბრიდული გაკვეთილი, რომლის დროსაც პედაგოგმა არც საკლასო ოთახში მყოფ ბავშვებს უნდა მოაკლოს ყურადღება და არც საგაკვეთილო პროცესში ონლაინ ფორმით ჩართულ მოსწავლეებს, საოცრად დიდი ფიზიკური და ფსიქიკური ენერჯის ხარჯვას მოითხოვს. საკლასო ოთახში გაკვეთილების ჩატარების შემდეგ მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილთან ონლაინგაკვეთილების ჩატარება არანაკლებ დიდი დატვირთვაა პედაგოგისთვის. გარკვეული ხნის განმავლობაში ასეთი რეჟიმით მუშაობა, დიდი ალბათობით, გამოიწვევს მასწავლებლების გამოფიტვას, პროფესიულ გადაწვას, რაც, ბუნებრივია, სასწავლო პროცესის ხარისხზე აისახება. ამდენად, კარგი იქნება, თუ ჰიბრიდული სწავლების გაგრძელების საჭიროების შემთხვევაში ერთსა და იმავე პედაგოგს

არ მოუწევს პირისპირ სწავლების პარალელურად ონლაინგაკვეთილების ჩატარება და მასწავლებლებს შორის მონდობა შრომის ერთგვარი განაწილება. ეს სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზეც დადებითად აისახება და თავად პედაგოგის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობაც გაცილებით მეტად იქნება დაცული.



მეგობრებს სრულიად მოწყვეტილები არიან, რაც ნამდვილად არ წაადგება მათ სოციალურ და ემოციურ განვითარებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღეს იმ ბავშვებს, რომლებიც ონლაინრეჟიმში აგრძელებენ სწავლას, გაცილებით მეტად სჭირდებათ დახმარება, ვიდრე მათ, ვინც სკოლაში დაბრუნდნენ. თანაც, როგორც მშობლებთან საუბარმა აჩვენა, შინ დარჩენილ ბავშვებს ძალიან უნდათ



თამარ მურუსიძე

# საჩუქრების შერჩევა მოსწავლეებისთვის

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის პროცესში მოსწავლე გამოიმუშავებს კოგნიტიურ სტრატეგიებს, რომლებიც მას ეხმარება უჩვეულო, მოულოდნელი და არარუტინული სიტუაციის ანალიზში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პრობლემის გადაჭრა ეფუძნებოდეს არასპეციფიკურ, ნაკლებად სტრუქტურირებულ სიტუაციას და არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ერთი სწორი პასუხით.**

ესგ-ის მიხედვით, სწავლებაში მიღწეულ ერთ-ერთ შედეგად შეიძლება პრობლემის გადაჭრა ჩაითვალოს. საგნობრივ ცოდნასა და უნარ-ჩვევებთან ერთად მოსწავლეებს პრობლემების გადაჭრის უნარიც უნდა განვუვითაროთ. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიაა.

მათემატიკის გაკვეთილზე მოსწავლეს სიტუაციური ამოცანის სახით თუ ნაცნობი კონტექსტის პრობლემას შევთავაზებთ, ის ინტერესით მოძებნის გამოსავალს ამ პრობლემიდან. სწავლის ეს ფორმა განსხვავდება ამოცანების უბრალო ამოხსნის პროცესისგან.

### რა არის პრობლემაური სიტუაცია/ამოცანა?

- სწავლების პროცესში მიწოდებული პრობლემაური ამოცანა არის ავთენტური, რეალური სიტუაციური ამოცანა. ის უნდა იყოს ერთგვარი გამოწვევა მოსწავლისათვის.
- პრობლემა მოსწავლეს უნდა აღუძრავდეს ინტერესს, რომ მას მართლაც მოუნდეს ამ პრობლემის გადაჭრა.
- მოსწავლეს არ აქვს ნაცნობი სტრატეგია, რომელსაც

- პრობლემის გადასაჭრელად პირდაპირ გამოიყენებს. მან ის უნდა შეიმუშაოს.
- ამოცანა უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის უნარ-ჩვევებსა და ასაკით განპირობებულ კოგნიტიურ შესაძლებლობებს.
- პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების იდეა უნდა გამომდინარეობდეს ესგ-ის საგნობრივი სტანდარტიდან.

- პრობლემაური ამოცანების სამი ტიპი:**
- ამოცანები, რომელთა ამოხსნისას საჭიროა გადაწყვეტილების მიღება;
  - ამოცანები, რომლებიც მოითხოვს სისტემის ანალიზსა და მოდელირებას;
  - ამოცანები, რომლებიც უკავშირდება რთული ვითარებიდან გამოსავლის ძიებას.

გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ ამოცანებში მოცემულია რამდენიმე ალტერნატივა და შეზღუდვა. მოსწავლეს მოეთხოვება ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ამ შეზღუდვებს დააკმაყოფილებს.

გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ამოცანა მით

უფრო რთულია, რაც უფრო კომპლექსურია მასში წარმოდგენილი ვითარება, ანუ რაც უფრო მეტია გასაანალიზებელი ინფორმაციის მოცულობა და შეზღუდვების რაოდენობა. ასეთ პირობებში საჭიროა სხვადასხვა წარმოდგენის ურთიერთდაკავშირება და მრავალი შეზღუდვის გათვალისწინება. თუმცა, საზოგადოდ, გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ ამოცანებში შეზღუდვები მკაფიოდ არის გამოკვეთილი, ამიტომ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება უფრო მარტივია.

- სისტემის ანალიზსა და მოდელირებასთან დაკავშირებული ამოცანები:**
- მოსწავლისგან მოითხოვს კომპლექსური ვითარების ანალიზს ამ ვითარების ლოგიკის გასააზრებლად.
  - ამ ტიპის ამოცანებში აღწერილია კომპლექსური სისტემები, რომლებშიც მონაწილეობს მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი (პარამეტრი, თვისება, მახასიათებელი). ამ კავშირების დინამიკურობის გამო პასუხი (ამოხსნა) შესაძლოა არ იყოს ერთადერთი. ამ სახის ამოცანები მრავლად გვხვდება ეკონომიკასა და სოციალურ

მეცნიერებებში. ხშირად საჭიროა წარმოდგენილი ვითარების ადეკვატური მოდელის შექმნა, რისთვისაც აუცილებელია პარამეტრების შერჩევა, მათ შორის – კავშირების იდენტიფიკაცია და მიღებული სურათის წარმოდგენა სიმბოლური ან/და რაიმე სხვა სახით.

რთული (პრობლემური) ვითარებიდან გამოსავლის ძიებასთან დაკავშირებული ამოცანები მოსწავლისაგან მოითხოვს სისტემის (მაგ., მოწყობილობის) კომპონენტების ამოცნობას და მათი მოქმედების ანალიზს, რათა მან შეძლოს ამ სისტემის გამართული ფუნქციონირების დარღვევის მიზეზების დადგენა.

**პრობლემის გადაჭრის ციკლი:**

- პრობლემის მიგნება და განსაზღვრა;
- პრობლემის ჩამოყალიბება და წარმოდგენა;
- პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების ორგანიზება და ცოდნის მოზილიზება;
- შესაძლო ალტერნატივების ან გადაჭრის გზების მოძიება;
- პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების შერჩევა;
- შერჩეული სტრატეგიის განხორციელება და პროგრესზე დაკვირვება;
- შედეგების შემოწმება და შეფასება.

პრობლემზე დაფუძნებული სწავლის პროცესში მოსწავლე გამოიმუშავებს კოგნიტიურ სტრატეგიებს, რომლებიც მას ეხმარება უჩვეულო, მოულოდნელი და არარუტინული სიტუაციის ანალიზში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრე-

ბით მნიშვნელოვანია, პრობლემის გადაჭრა ეფუძნებოდეს არასპეციფიკურ, ნაკლებად სტრუქტურირებულ სიტუაციას და არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ერთი სწორი პასუხით.

ამგვარ პრობლემასთან გამკლავება უფრო მეტად დაეხმარება მოსწავლეს რეალური ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში - ცხოვრებისეული პრობლემები ხომ უფრო კომპლექსურია, არ არსებობს მათი გადაჭრის ერთადერთი სწორი გზა. სწორედ ამგვარი უნარ-ჩვევების განვითარებაა პრობლემზე დაფუძნებული სწავლების ძირითადი მიზანი.

ჩვენს სკოლაში დირექცია ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს, ტრადიციულად, სასწავლო ნივთების ნაკრებით ასაჩუქრებს. ხშირად სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართული მოსწავლეებიც დაუსაჩუქრებია. ამიტომ კომპლექსური დავალება, რომელიც მეექვსეკლასელებს წარუვადგინე, მათთვის ნაცნობი კონტექსტიდანა და რეალური პრობლემის გადაჭრას გულისხმობს.

**სამიზნე ცნება:** მოქმედებები რიცხვებზე

**კლასი:** მე-6

**დრო:** 12-14 სთ

**საკითხები:** მოქმედებები წილადებსა და ათწილადებზე

სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

➤ არითმეტიკული მოქმედებები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. არითმეტიკული მოქმედებების თვისებათა ცოდნა ხელს უწყობს გამოთვლების შესრულებას. გამოთვლების შესრულებისას აუცილებელია მოქმედებათა თანმიმდევრობის დაცვა.

➤ არსებობს რიცხვების შეკრება/გამოკლებისა და გამრავლება-გაყოფის რამდენიმე სტრატეგია. შედეგი არ არის დამოკიდებული სტრატეგიის არჩევანზე.

➤ ზოგიერთ სიტუაციაში ზუსტი გამოთვლება საჭირო, ზოგიერთში კი მიხლოებითი გამოთვლაც საკმარისია.

**მათემატიკის გაკვეთილზე მოსწავლეს სიტუაციური ამოცანის სახით თუ ნაცნობი კონტექსტის პრობლემას შევთავაზებთ, ის ინტერესით მოძებნის გამოსავალს ამ პრობლემიდან. სწავლის ეს ფორმა განსხვავდება ამოცანების უბრალო ამოხსნის პროცესისგან.**

**კომპლექსური დავალების პირობა (ბარათის მოკლე აღწერა):**

საჩუქრების შერჩევა მოსწავლეებისთვის

სკოლის დირექციამ გადაწყვიტა, სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს საჩუქრები გაუკეთოს, რისთვისაც გამოყოფილი აქვს 4800 ლარი. სკოლაში 640 მოსწავლეა. სასწავლო ნივთების ასარჩევად სკოლის დირექციამ საკანცელარო მალაზიაში მოიძია ინფორმაცია ზოგიერთი სასწავლო ნივთის ღირებულების შესახებ.

დასახელება	რაოდენობა	ფასი (ლარი)
ბლოკნოტი	1	12
რვეული	1	0,9
ავტოკალამი	1	0,55
მარკერი	1	1,8
ფერადი ფანქრები	1	8,6
ფერადი ფურცლები	10	1,5
საქაღალდე	1	1,1



დასახელება	რაოდენობა	ფასი (ლარი)
საშლელი	1	0,5
სახაზავი ფანქარი	1	0,45
სტიკერი	1	4,05
მშრალი წებო	1	1,3
სახაზავი	1	1,5
ტრანსპორტირი	1	1,2
ფარგალი	1	3,75

დირექციამ გადაწყვიტა, თითოეული ბავშვისთვის შეიძინოს საქალაქო და მასში ჩაალაგოს არანაკლებ ხუთი ნივთისა, რომელთაგან ერთი აუცილებლად იქნება ან ბლოკნოტი, ან ფერადი ფურცლები, ან რვეული.

დაეხმარეთ სკოლის დირექციას, შეიძინოს რაც შეიძლება მეტი ნივთი თითოეული მოსწავლისთვის ისე, რომ თანხა მთლიანად დახარჯოს და თან ყველა მოსწავლეს ერთნაირი საჩუქარი გაუკეთოს.

**დავალება:**

1. განსაზღვრე, რა ღირებულების სასაჩუქრე ნაკრები შეხვდება თითოეულ მოსწავლეს.
2. რა ნივთებს ჩაალაგებ საქალაქოში?
3. შეამოწმე, აკმაყოფილებს თუ არა შენ მიერ შერჩეული ნივთები ამოცანის პირობის ყველა მოთხოვნას.
4. შეგეძლო თუ არა სხვა ნივთების არჩევა?
5. შენ რომ სკოლის დირექტორი იყო, რომელი სასკოლო ნივთების პაკეტს აჩუქებდი მოსწავლეებს? მოცემული ცხრილიდან აირჩიე 8 ნივთი.  
რა ღირებულების იქნებოდა საჩუქარი, სულ რა თანხას დახარჯავდა სკოლა?
6. გავიკეთებია თუ არა მეგობრისათვის ან ოჯახის წევრისთვის საჩუქარი?
7. როგორ არჩევ მეგობრისთვის ან ოჯახის წევრისთვის საჩუქარს და რას ითვალისწინებ მისი შერჩევისას?

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ეროვნული სასწავლო გეგმა  
<http://ncp.ge/ge/curriculum?subject=36&subchild=198>
2. მანანა ზოჭორიშვილი. პრობლემებზე დაფუძნებული სწავლა და მეტაკოგნიცია  
<http://mastsavlebeli.ge/?p=2174>;
3. მანანა სენიაშვილი. პრობლემებზე ორიენტირებული სამოდულო გაკვეთილის დაგეგმვა  
<http://mastsavlebeli.ge/?p=9345>.
4. ქეთი ცერცვაძე. მათემატიკის გზამკვლევი კურიკულუმის შედგენისათვის. დამხმარე რესურსი მასწავლებლებისათვის (მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით)  
<https://clck.ru/SkNrc>

**საკვანძო შეკითხვა:**

*როგორ ამარტივებს რეალური პრობლემების გადაჭრას რიცხვთა თვისებებისა და მათზე მოქმედებების ცოდნა?*

სამიზნე ცნების დამუშავების დასასრულს მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებები პადლეტის დაფაზე განათავსეს და თანმიმდევრულად ჩაატარეს პრეზენტაცია.

პადლეტის დაფას, განსაკუთრებით – ონლაინსწავლების დროს, ბევრი პედაგოგი იყენებს როგორც ინტერაქციულ

დაფას. მე პადლეტი მეხმარება, მოსწავლეთა ნამუშევრები, მაგალითად, კომპლექსური დავალებები, ერთ სივრცეში შევკრიბო და მოსწავლეებს იქვე მივცე უკუკავშირი.

ამრიგად, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება განსაკუთრებით ზრდის მოსწავლის მოტივაციას. მოსწავლეებს მოსწონთ დავალებები, რომლებშიც რეალური პრობლემები უნდა გადაიჭრას. სწავლა მათთვის უფრო საინტერესო და სახალისო ხდება.



# სკოლისა და მშობლების წარმატებული კარტნიორობის გასაღები



მეგი კავთუაშვილი

„ნეტავი ხელს არ მიშლიდნენ და ჩართულობას ვილა დაექვს?!“

„სკოლაში მოვიდოდეს მშობელი და შვილის ამბავს იკითხავდეს, რაღა მინდა! ჩაერთონ, ვინ უშლით ხელს?!“

პედაგოგებთან მშობელთა ჩართულობაზე საუბრისას ყველაზე ხშირად ეს ორი ფრაზა მესმის და ყოველ ჯერზე ვნატრობ, მქონდეს საკმარისი დრო და ენერჯია, რათა ავუხსნა მათ, რა შრომა აქვთ გასაწევი მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფისთვის.

სინამდვილეში საქმე გაცილებით რთულადაა.

მშობლებს ალელვებით შვილის სასკოლო ცხოვრება, მაგრამ მათ პასიურობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს.

- ❗ ზოგიერთმა მშობელმა არ იცის, როგორ იურთიერთოს შვილის სკოლასთან.
- ❗ ზოგიერთს კომუნიკაცია გამოსდის, მაგრამ ბავშვის ინტერესების სასარგებლოდ ვერ იყენებს ამ უნარს.
- ❗ ზოგიერთმა იცის, რა და როგორ უნდა გააკეთოს, მაგრამ არ აქვს საკმარისი მხარდაჭერა სასკოლო საზოგადოებისგან ან სხვა მშობლებისგან.
- ❗ ზოგიერთს აქვს მხარდაჭერა, მაგრამ არ აქვს საკმარისი დრო, ენერჯია ან მოტივაცია, რომ შვილების სასკოლო ცხოვრებაში ჩაერთოს.

მე ახლა ორი მიზანი მაქვს: ერთი – განსხვავებული კუთხით შეგახედოთ მშობელთა მონაწილეობის სარგებლიანობას და მეორე, მთავარი – მცირედით მაინც გაგაიადვილოთ მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობა.

თუ გავიხსენებთ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ადვილად მივხვდებით, რომ მშობლების გარეშე სკოლა ამ მიზნებს ვერ მიაღწევს და ვერც აღწევს. რატომ? იმიტომ, რომ სიტყვა „მშობლების“ უკან მილიონ-ნახევარი ადამიანი დგას. საზოგადოების უდიდესი აქტიური ნაწილი. თუ საზოგადოებრივი ღირებულებები განსხვავდება სასკოლო ღირებულებებისგან, მიზანს ვერ მიაღწევთ: *ვერ აღზრდით ტოლერანტ პიროვნებას; ვერ განუვითარებთ მოქალაქეობრივ აზროვნებას; ვერ დაამარცხებთ ბუღინგს; ვერ ასწავლით ჯგუფურ და ინდივიდუალურ მუშაობას; ვერ გამოუმუშავებთ ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების უნარებს; ვერ ასწავლით, რომ თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე.*

ეს ყველაფერი უნდა გააკეთოთ თქვენ, სკოლის თანამშრომლებმა. ეს არის სკოლის დანიშნულება, რომელიც მთავრობის დადგენილებით გამყარდა და ამ დადგენილებას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ჰქვია. ეს არის სკოლის მიზანი და არა ის, რომ მოსწავლემ ცალკეულ საგანში მაღალი ქულები მიიღოს, დეკლარაციული ცოდნა დააგროვოს და როგორმე/სადმე სტუდენტი გახდეს. სწორად თუ გავიზრებთ, რა არის სკოლა, აღარ გავვიჩნდება კითხვა, რა საჭიროა მშობელთა ჩართულობა: ეს არის სკოლისა და ოჯახის ერთობლივი და უწყვეტი პასუხისმგებლობა მოსწავლის მიღწევებისა და სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მშობლების ჩართულობა არ არის ადვილად ან ერთჯერადად მოსაგვარებელი საკითხი, მაგრამ სწორი სტრატეგიის შემთხვევაში არც ძალიან რთულია. რა არის ამისთვის საჭირო?

**მშობელი და მასწავლებელი ერთმანეთთან კომუნიკაციისას მხოლოდ ბავშვზე უნდა იყვნენ ორიენტირებულნი და არა საკუთარ თავზე, საკუთარ სურვილებსა და საკუთარ მორალზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში წარვმართავთ პროცესებს ეფექტურად და მივიღებთ შედეგს.**

1. თქვენი განწყობა – თუ გვერათ, რომ გავრ-  
დით მშობელთა მონაწილეობას, ამას აუცი-  
ლებლად შეძლებთ.
2. ცოდნა – თუ იცით, ეს როგორ გააკეთოთ,  
სასურველ შედეგს მიიღებთ.

იმისთვის, რომ სკოლის თანამშრომლებმა სიღრ-  
მისეულად გაიაზრონ მშობელთა ჩართულობის  
ყველა მექანიზმი, გთავაზობთ ჯონს ჰოპკინსის  
უნივერსიტეტის (აშშ) პარტნიორობის სკოლების  
ეროვნული ქსელის დირექტორის, დოქტორ ჯონის  
ეპშტეინის მიერ შემუშავებულ ჩარჩო დოკუმენტს

სახელწოდებით „წარმატებული პარტნიორობის  
გასაღები“.

ეპშტეინის ჩარჩოში ასახულია, როგორ შეიძლება  
გააძლიერონ სკოლებმა მშობლების ჩართულო-  
ბის კულტურა ექვსი სახეობის მიხედვით:

### 1. მშობელთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა კეთილდღეობისთვის

ოჯახების მხარდაჭერის მიზნით სკოლა გეგმავს  
საგანმანათლებლო აქტივობებს მშობლებისთ-  
ვის საინტერესო და აქტუალურ  
საკითხებზე. მაგალითად, სთავა-  
ზობს მშობლებს სემინარებსა და  
ტრენინგებს მშობლობის სტილის,  
ბავშვის ასაკობრივი განვითარების  
თავისებურებების, ცხოვრების ჯან-  
სალი წესის, ბავშვების ციფრული  
უსაფრთხოების ან სხვა აქტუალური  
საკითხების შესახებ. საგანმანათ-  
ლებლო აქტივობებში მშობლებთან  
ერთად ერთვებიან მასწავლებლები  
და სკოლის სხვა თანამშრომ-  
ლებიც. თუ სკოლას არ აქვს  
შესაძლებლობა, ტრენინგები  
მოიწვიოს, შეუძლია, უფრო  
მარტივ გზას დაადგეს და  
მშობლებს შესთავაზოს უკვე  
შექმნილი მულტიმედია  
მასალების ჯგუფური ან  
იდივიდუალური გაცნობა,  
ვიდეორესურსები იქნება ეს, ანიმაციები,  
საკითხავი ბლოგები თუ სახალისო  
ტესტები. ასეთი რესურსები არაერთ  
ქართულ ვებგვერდზე იძებნება. მათ  
შორისაა საგანგებოდ შექმნილი  
გვერდი [www.mshobeltaskola.ge](http://www.mshobeltaskola.ge)

### 2. სკოლასა და მშობლებს შორის ეფექტური კომუნიკაცია კომუნიკაციის დაწყება

ეფექტური კომუნიკაციის მიზნით  
სკოლა მოსწავლეთა ოჯახებისადმი  
მეგობრულ გარემოს ქმნის. სკოლის  
პერსონალი გადის ტრენინგებს, რათა  
მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობის  
უნარები გაიუმჯობესოს. სკოლა ამცირებს ბა-





რიერებს, თანამდებობაზე ნიშნავს მშობლებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირს, წინასწარ უთანხმებს მშობლებს მთელი წლის შეხვედრების განრიგს, რათა მოსწავლეთა ოჯახებმა დაგეგმონ თავიანთი დრო. სასკოლო სივრცეში აკრავენ, ვებგვერდებზე აქვეყნებენ მშობლებისთვის მამოტივირებულ პოსტერებს. სკოლის მიზანია, დაარწმუნოს მშობელი, რომ სკოლაში მას სიხარულით ელოდებიან და მზად არიან, თანამშრომლობისთვის სასურველი გარემო შექმნან. სკოლის თანამშრომლები იყენებენ შეტყობინებებს, შეხსენებებს, სატელეფონო ზარებს, Email-ს და კომუნიკაციის სხვა არხებს, რათა რეგულარულად მიაწოდონ ინფორმაცია მშობლებს მათი შვილების პროგრესისა და წარმატების შესახებ.

### 3. მშობელთა მოხალისეობის ხელშეწყობა

მშობელთა მოხალისეობის სისტემის ასაწყობად სკოლები ქმნიან სტრატეგიებს. გაწერილი სტრატეგიის ფარგლებში ისინი ყოველწლიურად ატარებენ გამოკითხვას, რათა მოიძიონ ინფორმაცია მოხალისე მშობლების შესახებ. კერძოდ, გაარკვიონ მათი ინტერესები, ნიჭი და ხელმისაწვდომობა. გამოკითხვის შედეგად შეკრებილი ინფორმაცია მონაცემთა ბაზაში გროვდება და მოხალისეთა აქტივობები ამის მიხედვით იგეგმება. იქმნება არაფორმალური ხასიათის მხარდაჭერის ქსელი, რომელშიც ყველა კლასიდან თითო მშობელი მაინც არის ჩართული. სკოლის შენობაში გამოყოფილია მშობლების ოთახი ან საოჯახო სივრცე მოხალისეობრივი მუშაობისთვის, შეხვედრებისა და საოჯახო რესურსებისთვის. რეგულარულად იმართება შეხვედრები მოსწავლეთა წინსვლის, თამაშების, შეკრებების მიმოხილვისთვის, რომლებზე დასასწრებადაც მშობლებს მოსაწვევებს უგზავნიან. ეს მოსაწვევები პერსონალურია და არა ზოგადი.

### 4. შინ მესტადინეობისას დახმარება

სკოლის თანამშრომლები ასწავლიან მშობლებს, როგორ დაეხმარონ შვილებს საშინაო დავალებს მომზადებაში და როგორ გახადონ ეფექტიანი შინ სწავლა. მაგალითად, როგორ მოაწყონ სამეცადინო სივრცე. ასევე – როგორ დაეხმარონ ბავშვს იმ უნარჩვევების განვითარებაში, რომელთა გაუმჯობესებაც სჭირდება; როგორ განიხილონ

შვილთან ერთად საშინაო დავალება. სკოლაში ბავშვებს ეძლევათ ინტერაქციული საშინაო დავალება, რომელიც მათ იმის წარმოჩენის საშუალებას აძლევს, რა ისწავლეს სკოლაში ყოფნის დროს.

### 5. მშობლების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

სკოლა მშობლებს თანაბარუფლებიან პარტნიორებად მოიხრებს და ცდილობს, ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართოს. სასკოლო პოლიტიკაში ცვლილებების შეტანამდე მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს მოსწავლეთა ოჯახებსა და თემთან. სკოლა წაახალისებს მშობელთა გააზრებულ ჩართულობას მშობელთა ოფიციალურ ორგანიზაციებში, სკოლის სამეურვეო საბჭოში, მრჩეველთა საბჭოში ან მშობელთა ლიდერობისა და მონაწილეობის კომიტეტში. სკოლა ეხმარება სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა მშობლებს, იცნობდნენ ერთმანეთს და თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან.

### 6. სკოლისა და თემის თანამშრომლობა

სწავლის ხარისხის ასამაღლებლად სკოლა ქმნის თემთან თანამშრომლობის სტრატეგიას. სკოლა, ოჯახი და თემის წარმომადგენელი მართავენ დისკუსიებს, ამყარებენ კავშირებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ჯანდაცვის ადგილობრივ ცენტრებთან, რათა მათი სერვისები სასკოლო საზოგადოებისთვის ადვილად ხელმისაწვდომი გახდეს. სკოლა თანამშრომლობს სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებთან, კულტურულ ჯგუფებთან, წაახალისებს თემში სკოლის ისეთი რესურსების გამოყენებას, როგორც არის ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი და სხვა.

რაც მთავარია, მშობელი და მასწავლებელი ერთმანეთთან კომუნიკაციისას მხოლოდ ბავშვზე უნდა იყვნენ ორიენტირებულნი და არა საკუთარ თავზე, საკუთარ სურვილებსა და საკუთარ მორალზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში წარგმართავთ პროცესებს ეფექტურად და მივიღებთ შედეგს.



გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://mshobeltaskola.ge/wp-content/uploads/2021/03/%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf>



თარგმნა ლევან ალფაიძემ

# მიეცით ბავშვებს უფლება, თვითონვე შექმნან თავიანთი გაკვეთილები

შონ დურამი\* და პიტერ გრეი\*\*, ორი წამყვანი ამერიკელი ფსიქოლოგი, რომლებიც ბავშვების თამაშის საკითხებს იკვლევენ, გვთავაზობენ ბავშვების გათავისუფლებას ზრდასრულთა მიერ შექმნილი სასწავლო გეგმებისგან, რაც შესაძლოა განათლების სისტემისთვის ესოდენ საჭირო ცვლილებების დასაწყისი გახდეს.

**დღეს გლობალურმა პანდემიამ და ვირუსმა დაგვაკეტინა სკოლები, დაგვახურვინა ბავშვებისთვის შექმნილი ყველა კლასგარეშე კურსი თუ აქტივობა, რომლებიც მოსწავლეების აქტიურობისა და საქმით დაკავებისთვის იყო მოფიქრებული.**

დღეს, როდესაც სკოლებისა და სკოლის შემდგომი პროგრამების დიდი ნაწილი დახურულია (პანდემიის გამო), ბავშვებს უფრო მეტი დრო და თავისუფლება აქვთ, მიჰყვნენ საკუთარ სურვილებს, ინტერესებსა და ინსტინქტებს. და, როგორც ჩანს, ეს ყველასთვის კარგია.

ჩვენ ათწლეულების განმავლობაში ვუზნობდით ბავშვებს ბავშვობას – რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მეტად. ბავშვებმა უნდა ითამაშონ და ასე, თავისებურად იკვლიონ გარე სამყარო საკუთარი ინიციატივით. სწორედ ამგვარად სწავლობენ ისინი ინიციატივის გამოჩენას, საკუთარი აქტივობებისთვის მიმართულების მიცემას, მისწრაფებათა აღმოჩენას და თავიანთი ცხოვრების წარმართვას. ამასთან ერთად, ეს ყველაფერი მათთვის თავშესაქცევია.

მაგრამ ჩვენ „მივითვისეთ“ მათი ცხოვრება ზრდასრული ადამიანების მიერ განსაზღვრული აქტივობებით – ვაიძულეთ სკოლაში მეტი დროის გატარება, მივეციტო მეტი საშინაო დავალება, უფროსების მიერ ორგანიზებული მეტი საქმე

ვაკეთებინეთ სკოლის გარეთ... ჩვენ ჩვენი ბავშვები ჩიის პარკში გამოვამწყვდიეთ, თანაც არა კომფორტულში, არამედ მრავალშრიან საკანში, რომლის შრეებიც ზრდასრულთა მიერ მოფიქრებული აქტივობებითა და გეგმებით არის მოქსოვილი და რომლებიც წინასწარ განუსაზღვრავენ ბავშვებს, როგორ დაარტყან ბურთს და რამდენი „შე“ დაიმსახუროს მოსწავლემ კლასში კარგად მოქცევისა თუ კითხვებზე სწორად გაცემული პასუხისთვის.

სწორედ ამ პერიოდში, როდესაც ბავშვის თავისუფლება (ან უფლება, – ლ.ა.), თვითონვე მოიფიქროს და მიჰყვეს საკუთარ აქტივობებს, სულ უფრო შეიზღუდა, გაუარესდა ბავშვებისა და მოზარდების მენტალური ჯანმრთელობაც. ბოლო წლებში მკვლევრებმა დოკუმენტურად დაადასტურეს, რომ რეკორდულ დონეს მიაღწია ბავშვებში შფოთვამ, დეპრესიამ და თვითმკვლელობის შემთხვევებმა; იმატებს მოზარდებისა და ახალგაზრდების დამოუკიდებელ ქცევასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებსაც ევახებიან ისინი სასწავლებლებში თუ სამუშაო ადგილებზე;

დაღმასვლას განიცდის შემოქმედებითი აზროვნების უნარი.

დღეს გლობალურმა პანდემიამ და ვირუსმა დაგვაკეტინა სკოლები, დაგვახურვინა ბავშვებისთვის შექმნილი ყველა კლასგარეშე კურსი თუ აქტივობა, რომლებიც მოსწავლეების აქტიურობისა და საქმით დაკავებისთვის იყო მოფიქრებული; ბავშვებს გაუჩნდათ უამრავი დრო, რომელიც შესაგებია და შესაძლებლობა, თვითონვე მოიფიქროს, თუ რით შეაგსონ ეს დრო. პანდემია მიიშველავა და ბავშვები, მოზარდობთან ერთად, მწვავედ განიცდიან მას. მაგრამ ბევრ ბავშვს უფროსების მიერ მოფიქრებულ „საბავშვო აქტივობებში“ პანდემიის გამო უცაბედად გაჩენილი პაუზა შესაძლოა ბედნიერებადაც კი ექცეს.

მოულოდნელად გაჩენილი „თავისუფალი დროის“ შესახებ უამრავი ისტორია გვესმის მშობლებისგან: ზოგმა ბავშვმა ველოსიპედის ტარება ისწავლა, ზოგმა გიტარა ან სხვა ინსტრუმენტი აიღო ხელში; ზოგმა, პირველად თავის სიცოცხლეში, ხატვას მიჰყო ხელი; ზოგი ბავშვი მშობელს სთხოვს, ასწავლოს საჭმელების კეთება ან სხვა საოჯახო საქმე.

\* შონ დურამი (Sean Durham) – ობორნის უნივერსიტეტის ბავშვთა ადრეული განათლების ასოცირებული პროფესორი და თამაშის სწავლების ასოციაციის (Association for the Study of Play) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.  
\*\* პიტერ გრეი (Peter Gray) – ბოსტონის კოლეჯის განვითარების ფსიქოლოგიის განყოფილების მკვლევარი, პროფესორი, ავტორი წიგნისა „სწავლის თავისუფლება“ (Free to Learn: Why Unleashing the Instinct to Play Will Make Our Children Happier, More Self-Reliant, and Better Students for Life), არასამთავრობო გაერთიანება Let Grow-ის (ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ბავშვის ცხოვრებაში მეტი თავისუფალი თამაშის აუცილებლობის საკითხებზე) დამფუძნებელი, ფსიქოლოგიის სასწავლო სახელმძღვანელოების ავტორი.



# განათლება -

## თავისუფლებაა!

[www.mastsavlebeli.ge](http://www.mastsavlebeli.ge)



მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელიც მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში დაიბადა და იმ დროს მოველინა ქვეყნიერებას, როცა სულ ცოტაა გვაკლდა მიწიერი სამოთხის აშენებამდე. რკინის ფარდის მიღმა ამბებს ძილისპირულად გვიკითხავდნენ და დიდი და ნათელი მომავლის იმედით ვათენებდით და ვალამებდით. ჩვენი შშობლებისგან განსხვავებით, ომ- და შიმშილგამოუვლელი თაობა ვიყავით. ჩვენი შშობლების თაობა არ მოსწრებია ომს, მაგრამ ახალნაომარი ქვეყნის კვალობაზე ბევრი შიმშილი და გაჭირვება ჰქონდა ნანახი. მათმა შშობლებმა კი დიდი ომის ქარტეხილი გამოიარეს... ჰოდა, ჩვენს ბავშვობაში იმ თაობად ვითვლებოდით, რომელსაც არც ომი ენახა და არც შიმშილ-სიშიშველე...

მერე ყველაფერი აირია. ჩვენი შშობლების თაობის ბელადებმა ვერ შეძლეს ამქვეყნიური სამოთხის აშენება. სულ ტყუილად დასცინოდნენ ანრი სენ სიმონს. მათაც თავზე ჩამოეცხთოთ სამოთხის ციხესიმაგრის კედლები და ყველა ერთად მოგვიყოლა ნანგრევებში... და ვიქცით ჩვენც „ომგამოვლილ თაობად“. არაერთ ომგამოვლილად... ის, რაც პაპებისგან გაგვეგონა ომზე, თვითონაც ვნახეთ. აი, ჭირის, ქოლერისა და ისპანკის შესახებ კი მათაც ჩვენსავით არაფერი იცოდნენ. ამ ყველაფერზე მათ თავიანთი ბებიები და პაპები უყვებოდნენ, ისევე როგორც ისინი გვიყვებოდნენ ჩვენ გადახდილი ომების შესახებ... და ყველას გვეჯეროდა, რომ ეს წარსულის მძიმე კომპარი იყო და ასეთადვე დარჩებოდა მარადუამიერ... ახლა კი სამივე თაობამ ვიცით, რა არის ომი.

უკვე წელიწადზე მეტი გავიდა და ამ სენს ჯერ კიდევ არ უჩანს დასასრული. ყოველ დღით შიშით

ვაპარებთ თვალს სტატისტიკისკენ. მსოფლიო რუკაზე გავრცელების არეალი იმდენად დიდია, რომ მხოლოდ ფართოდ გახედილი თვალებით თუ ჩაატევენ შებრაში. ვკითხულობთ, ვეძებთ, ვსწავლობთ ყველაფერს ვირუსებისა და ეპიდემიების შესახებ. ისტორიასაც წმირად ვიშველიებთ და ძველ

ბზინვარე, რბილი, ყველასთვის კარგად ნაცნობი მეტალის ჭირი. კალა ერთადერთი მეტალია, რომელსაც თურმე შეიძლება ჭირი შეეყაროს.

ცხადია, კალის ჭირი მუხანათობით სხვა პანდემიებთან ვერ მოვა, მაგრამ მის სინდისზეა მამაცი მკვლევრის რობერტ სკო-

ამ ფაზურ გარდაქმნას, კალის ჭირად მონათლულ ფენომენს, ემსხვერპლა სწორედ სკოტის ექსპედიცია. სამხრეთი პოლუსისკენ ფენით მიმავლებს, საწვავი ლითონის ჭურჭლით მიჰქონდათ. დაბალ ტემპერატურაზე ბიოდონები შედუღების ადგილას გაიხსნა, საწვავი



პანდემიებს ვიხსენებთ. თითქმის ყველა მათგანი გავიხსენეთ, ჩამოვთვალეთ, მათემატიკურ თუ სტატისტიკურ ფორმულებს მოვარგეთ, იქნებ ამ კვლევა-ძიებაში რაიმე იმედის მომცემს გადავეყაროთ, მაგრამ იმედი ჯერჯერობით ბუნდოვანია და დაახლოებით ასე უღერს: „თუ იუსტინიანეს ჭირმა, შავმა ჭირმა, ქოლერამ, ესპანურმა გრიპმა, მუცლის ტიფმა, ყვავილმა, ქათმის გრიპმა, ებოლამ და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენმა დოზანამ ჩაგვიარა და წავიდა, ეს კოვიდიც მათ გზას დაადგებაო“.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი ჭირი, რომელზეც არც ამდენს საუბრობენ და არც ამდენს წერენ. მის შესახებ ცოტამ თუ იცის. ეს კალის ჭირია. თეთრი,

ტის და მთელი მისი ექსპედიციის დაღუპვა 1912 წელს. მაინც რა არის კალის ჭირი? აღმოჩნდა, რომ ტემპერატურის დაწვევისას კალის მოცულობა იმატებს. იგივე მოსდის წყალსაც და ბევრ სხვა ნივთიერებასაც, მაგრამ კალას ამ მხრივ სწორი არ ჰყავს. მისი მოცულობა თითქმის 26%-ით შეიძლება გაიზარდოს და შესაბამისად შეიცვალოს ფაზური მდგომარეობაც. ამასთანავე, რაც უფრო მეტად ვაცივებთ, მით უფრო სწრაფად იცვლის კალა ფაზურ ფორმაციას. 33°C-ზე გარდაქმნა შეიძლება მყისიერად მოხდეს და რბილი, ჭედადი მეტალის ნაცვლად ნაცრისფერი ფხვნილი შეგვრჩეს ხელში.

დაიღვარა და ექსპედიცია ენერჯის წყაროს გარეშე დარჩა. ამ ამბავს მომდევნო ექსპედიციამ მოჰფინა ნათელი. მერე კი, როგორც ხდება ხოლმე, ჭორმართალი ერთმანეთში აირია. ზოგმა ნაპოლეონის არმიის დამარცხებაც კი კალის ჭირს მიაწერა – მოსკოვის მისადგომებთან ჯარისკაცებს ფარაჯის ლილები დაეშალათ და გაიყინნენო... არავინ უწყის, ამ ისტორიებში რამდენია სიმართლის წილი, მაგრამ დანამდილებით ვიცით, რომ კალის ჭირი არსებობს და მისგან თავის დაღწევა „ვაქცინაციით“ შეიძლება – საკმარისია, კალას ცოტაოდენი ბისმუტი შევურთოთ, რომ ის ყინვაგამძლე გახდება.



მოზარდების ეკოაქტივიზმი სოციალური ფენომენია. ზოგიერთი სპეციალისტი მას გრეტა ტუნბერგის სინდრომადაც იხსენიებს.

გრეტა ადრეული ასაკიდან დაინტერესდა ეკოლოგიური პრობლემებით და ყველაზე მნიშვნელოვან მიზნად პლანეტის გადარჩენა დასახა. ის უარს ამბობდა ცხოველური წარმოშობის საკვებზე, არ დაფრინავდა თვითმფრინავებით, არ ყიდულობდა ახალ ნივთებს, ვიდრე ძველი არ გაუცვდებოდა... დღეს გრეტას ათასობით მიმდევ-

შიშს იოლად ძლევს და უმწეობის განცდა არ იპყრობს.

ტერმინი „ეკოშფოთვა“ ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ პირველად 2017 წელს გამოიყენა და აღწერა როგორც ეკოლოგიური კატასტროფის ქრონიკული შიში. ეკოშფოთვა სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს ეკოაქტივისტ მოზარდებში, რასაც აშშ-სა და ევროპაში უამრავი ფსიქოლოგიური დახმარების ჯგუფი მოწმობს. ასეთ ჯგუფებში იკვლევენ შფოთვის მიზეზებს, ბენეფიციარები

ერთმა გამველემმა ჰკითხა, რატომ იყო პარლამენტთან და არა გაკვეთილებზე, მოზარდმა უპასუხა: „რამი მჭირდება განათლება, თუ მომავალი არ მექნება?“

პლანეტის გადამრჩენელ გოგონაზე ინფორმაციამ ათასობით მოსწავლეს უბიძგა, პარასკევობით სკოლა მიეტოვებინა და გაეცუფლიყო. ახლა მოძრაობა Fridays for future-ს 14 მილიონი მხარდამჭერი ჰყავს. გაჩნდა ახალი სოციალური ფენომენი – მოზარდთა ეკოაქტივიზმი. მთელი მსოფლიოს მოზარდები თანხმდებიან სოციალურ ქსელებში, რომ დანიშნულ დღესა და საათს პლაკატებით ხელში თავიანთი ქალაქების მოედნებზე შეიკრიბებიან და ხმამაღლა ისაუბრებენ არასწორად მცხოვრებ უფროსებზე, რომლებიც ანადგურებენ პლანეტას, არ ფიქრობენ კატასტროფებზე, ბავშვების მომავალსა და მათ დამახინჯებულ აწმყოზე. დედამიწისთვის ბრძოლა ახლა უფრო მეტია, ვიდრე მოზარდული პროტესტი. ეკოაქტივისტების აზრით, ბუნების დაცვა უტოლდება ადამიანის უფლებების დაცვას სუფთა ჰაერის, წყლის, ნიადაგისა და უსაფრთხო მომავლისთვის.

გრეტას დამსახურებით, ეკოპრობლემების აქტუალობამ ეკოლოგიისთვის ბრძოლა უფრო ტრენდული გახადა, განსაკუთრებით მათთვის, ვინც მას საქმიანად მიუდგა – ნარჩენების შეგროვების ორგანიზებით, პეტიციების გავრცელებით, ტექნიკური ინოვაციების შემუშავებით გაეროს და ცვლითი პრობლემების აღმოსაფხვრელად.

ახალგაზრდა ეკოაქტივისტების საქმიანობის გაშუქებას დრო დაუთმო არაერთმა სოლიდურმა მედიასაშუალებამ, მაგალითად, ისეთმა, როგორცაა The Guardian. ის ახლაც იღებს სამეცნიერო გრანტებს ამ საკითხების გასაშუქებლად, რომლებიც მოიცავს პრეზიდენტებთან შეხვედრებს, ეკოგანათლების ხელშეწყობას. 2019 წელს, Time-ის ვერსიით, გრეტა წლის ადამიანად დასახელდა.

რაც შეეხება ეკოშფოთვით აშლილობას, რომელიც დაავადებად ჯერ არ უღიარებიათ და მხოლოდ შფოთვითი ნევროზის ტიპად მიიჩნევა, ეს გრეტას პირადი პრობლემაც იყო. როგორც აღვნიშნეთ, ეკოშფოთვისკენ მიდრეკილია ის, ვისაც ძალიან აწუხებს ეკოლოგიური კრიზისი და გარემოს მდგომარეობა. წუხილი აჩენს პანიკურ შეტევებს, აკვიატებულ აზრებსა და უძილობას, აქვეითებს მადას. ეკოშფოთვა შეიძლება ვარიანტად დასახელდეს პანიკურ

შეტევასა და მწვევალებობის შორის.


რა გასაკვირია, რომ იმ ზღვა ინფორმაციაში, რომელიც გვამცნობს, როგორ მიექანება ჩვენი პლანეტა ეკოლოგიური კატასტროფისკენ, თავს დათრგუნულად და შეუძლოდ ვგრძობთ? რა გასაკვირია, რომ უამრავი ადამიანი კარგავს რაღაცის კეთების მოტივაციას? რომ ეკოპრობლემებთან შედარებით ყველა სხვა პრობლემა ფერმკრთალდება და უმნიშვნელო ჩანს? რისთვის უნდა ვახარისხოთ ნარჩენები, თუ სამყარო მაინც განწირულია?..

იელის უნივერსიტეტის მეცნიერებმა აშშ-ში ეკოშფოთვის კვლევის დროს დაადგინეს, რომ ამერიკელების 70% შემფოთებულია კლიმატის ცვლილებით, 29% – ძალიან შემფოთებული, ხოლო 51% თავს აბსოლუტურად უშფოთებულად გრძობს.

ეკოლოგიური პრობლემები ევროპელებსაც აწუხებთ. ბრიტანელების თითქმის 70 პროცენტს ეშინია, სუფთა სასმელი წყლის გარეშე არ დარჩეს და ელოდება, რომ მთავრობა და უყოყნებლივ იმოქმედებს გლობალური დათბობის პრობლემის მოსაგვარებლად. საფრანგეთში კი ეს პრობლემა მოსახლეობის 85%-ს ადარდებს.

შვედეთში საქმეიქამდეც კი მივიდა, რომ მთელ ერს აქამდე უცნობი დარღვევა – ფლიგსკამი (Fligskam) განუცხვიათ. ფლიგსკამი არის სარეცხვილისა და დანაშაულის მწვევე განცდა ფრენისას. თვითმფრინავი ატმოსფეროში დიდი რაოდენობით CO<sub>2</sub>-ს აფრქევს, რის გამოც პატოსანი შვედები სინდისის ქენჯნით იტანჯებიან. სუფთა გარემოს მხარდასაჭერად მათ გადაწყვიტეს, უარი ეთქვათ საჰაერო მიმოსვლაზე და ახლა უმეტესად მატარებლით მგზავრობენ, თან ცდილობენ, თვითმფრინავები ბიოსაწვავზე გადაიყვანონ. შვედები ბუნების წინაშე თავს იმდენად დამნაშავედ გრძობენ, რომ მოდის კვირეულები გააუქმეს. მათი აზრით, სამოსის კერვა და პოდიუმოშოუები ჭარბი წარმოების ხელშეწყობია, რაც რესურსების ფლანგვასა და გარემოს დაზიანებას განაპირობებს.

სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი წუხს გარემოს მდგომარეობაზე. ცნობილია, რომ კლიმატის მკვეთრი ცვლილება და სითბური ტალღები უარესებს ჯანმრთელობას, იწვევს სტრესს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ არანორმალური სითბო ტვინზე ცუდად მოქმედებს, აზიანებს ნეიროტრანსმიტერებს, რომლებიც ემოციების მოწესრიგებაზე აგებენ პასუხს.



ირმა კახურაშვილი

## ეკოაქტივიზმი და ეკოშფოთვა მოზარდებში

რი ჰყავს. თუმცა სპეციალისტების გარკვეულ ჯგუფს მიაჩნია, რომ რადიკალური ეკოაქტივიზმი საფრთხილია მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის, რადგან ის, გამონაკლის შემთხვევებში, სპეციფიკურ შიშს – ეკოშფოთვას იწვევს. შიშები ასაკობრივია და მრავალნაირი გამოვლინება აქვს. მათი უმეტესობა ადამიანის ქცევაზე დიდარადაა დასაყრდენი, მაგრამ არსებობს „დალიანი“ შიშიც, რომლის განაცხადის დახსნა ძნელია და ის სპეციალისტის ჩარევას მოითხოვს.

ასეთია ეკოკატასტროფებთან დაკავშირებული შიში – ის მოზარდის წარმოდგენაში მკაფიო სურათებს ხატავს და აიძულებს მას, წარმოიდგინოს გამოუსწორებელი ტრაგედია – დიდთოვლობით დანგრეული სახლი, გვალვით დაზარალებული ცხოველი, წყალდიდობით გარდაცვლილი ახლობელი, რაც მისთვის, საბოლოოდ, სამყაროს აღსასრულთან ასოცირდება.

ასეთ შიშს აძლიერებს საინფორმაციო ნაკადი. მოზარდებს თითქმის ყოველდღიურად უწევთ ახალი ამბების მოსმენა გამანადგურებელ ავსტრალიურ ხანძრებზე, იაპონურ ცუნამისათუ ამერიკულ ქარიშხალზე. თუმცა ამ ყველაფრის მსმენელმაყურებელი თუ ეკოგანათლებული და ცოდნით შეიარაღებულია,

ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. მათ ეხმარებიან ფსიქოლოგებიც.

2019 წელს გრეტა ტუნბერგმა გაეროს სამიტზე მსოფლიოს პოლიტიკოსებს მიმართა სიტყვით – „როგორ ბედავ?“ ის ახლაც მონაწილეობს კონფერენციებში. თავის გამოსვლებში პოლიტიკოსებს ბავშვებით მიმართავს, კიცხავს კიდევ იმისთვის, რომ მის თაობას სიმრედი მოპარეს და რომ თავიანთ მოვალეობებს არ ასრულებენ. მას მიაჩნია, რომ გლობალური დათბობის პრობლემა დეკოლოგიური კრიზისი ეგზისტენციალური საფრთხეა. გრეტას მთავარი მოთხოვნაა პარიზის 2015 წლის შეთანხმების განხორციელება, რომლის მიზანია ატმოსფეროში ნახშირორჟანგის ემისიის შემცირება. მკაცრი განცხადებებით გრეტა კლიმატის ცვლილების პრობლემებზე ყურადღების გამახვილებას ცდილობს. ის ნამდვილი გარემოს დამცველია, მოზარდებისთვის კი – ნამდვილი კერა.

გრეტას ეკოშფოთვა უამრავ მოზარდს ყოვას უადვილებს.

გრეტას ცნობადობის ისტორიაც მაშინ დაიწყო, როდესაც სკოლიდან შევედეთის პარლამენტის შენობასთან გადაინაცვლა და დედამიწის გადასარჩენი მოწოდებებით პლაკატები ააფრიალა. როცა ერთ-

ზედმეტი სიცხე ზრდის ტესტოსტერონის გამოუმუშავებას, რამაც შეიძლება აგრესიის, ძალადობის მატება გამოიწვიოს. კლიმატის ექსტრემალური ცვლილება განსაკუთრებით საზიანოა პოსტტრავმული სტრესისა და დეპრესიის მქონე ადამიანებისთვის.

ბევრი მოზარდისთვის აქტიური მოქმედება შფოთვისთან გამკლავების ტოლფასია, ამიტომ „შფოთვარე“ ადამიანები ხშირად აქტივობები ხდებიან.

როგორ უნდა მოიქცნენ ისინი, ვისთვისაც ეკოლოგიური კატასტროფები სამყაროს აღსასრულთან ასოცირდება? ფსიქოლოგთა რჩევით, მათ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გააცნობიერონ საკუთარი შფოთვის მიზეზები. შფოთვისთან გამკლავების ეფექტიანი გზა ნეგატიური აზროვნების კონსტრუქციული ჩანაცვლება.

აუსხენით მოზარდს, არ მიეცეს პანიკასიმის გამო, რომ ვერ გადაარჩენს ყველა მყინვარს დნობისგან, ვერ დაიცავს გადაშენების პირას მყოფ ყველა ცხოველს. ურჩიეთ, იზრუნოს ეკოლოგიაზე, ოღონდ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში. მშვიდი და გონივრული მოქმედება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მექანიზმია ეკოშფოთვის დასაძლევად. თუ მოზარდი ეკოაქტივიზმში აქტიურად ჩაება, მოუსმინეთ, რისი თქმა სურს ამით. დაეგვიზაროთ. კარგი იქნება, თუ მას გარემოს შესახებ სასარგებლო დასაინტერესო რესურსებით – წიგნებით, ფილმებით, ვებსაიტებით მოამარაგებთ. შეგიძლიათ, ერთად იზრუნოთ ნარჩენების დახარისხებაზე, უარი თქვათ ერთჯერადი ქურჭლებზე. კარგი იქნება, თუ მოზარდი თავად იმოქმედებს და შეცვლის თავის ცხოვრებას. მაშინ მისი პროტესტი გარემოსთვის პოზიტიურ ქმედებად გარდაიქმნება.

როგორც ჩანს, კორონავირუსის პანდემიამ გრეტა ტუნბერგის ოცნება რეალობად აქცია: უკვე ნაკლებად დავფრინავთ თვითმფრინავებით, ვზოგავთ ფინანსებს, თავს ვიკავებთ ზედმეტი საყიდლებისგან. თუ ეს სურთ, მოზარდებმა ამის შესახებ უფრო მეტი იცოდნენ, აჩვენეთ ფილმი „მე გრეტა ვარ“.

ძნელი სათქმელია, დღევანდელი ეკოაქტივისტი მოზარდები ზრდასრულობაშიც ასეთივე პასუხისმგებლობით მოეკიდებიან თუ არა გარემოს დაცვის საკითხებს, მაგრამ იმედია, ისინი დარჩებიან ადამიანებად, რომლებიც ავტომატურ რეჟიმში იმოქმედებენ ბუნების სასარგებლოდ; სასურველია, ეკოშფოთვის გარემო.

ბავშვობაში ხშირად მესმოდა ფრანა ილიას ლექსიდან, რომლის თანახმადაც, ყოველი დღის ბოლოს ადამიანმა თავის თავს უნდა ჰკითხო, იმ დღეს ვის რა არავის იყო არაპირდაპირი მოწოდება უფროსების მხრიდან, მოვეცე-ულიყავი კარგად და თავაზიანად, დაგზმარებოდი სხვებს, თუკი ამის საჭიროება იქნებოდა და ერთგვარი თამაშიც ჩემს თავთან – ძილის წინ გამეხსენებინა დღის ამბები და დამეჭირა მათში რაიმე სასიამოვნო, საინტერესო, საამაყო.


მერე გავიზარდე, ჟურნალისტი გავხდი. მე კი არა, ჩემი შვილიც გაიზარდა და უკვე წელიწადზე მეტია, საღამოობით, ძილის წინ, მეკითხება ხოლმე, რაზე ვიბუშავე იმ დღეს. თავიდან ზერელედ ვუყვებოდი ხოლმე დღის იმ ამბავს, რომელზეც ვემუშაობდი – არც მიფიქრია, რომ ამ ასაკის ბავშვისთვის პოლიტიკა შეიძლება ასე საინტერესო ყოფილიყო, ეკონომიკა – გასაგები და სამართლის საკითხები – ემოციური, მაგრამ სულ ტყუილად. თურმე ყველა ამბის მოყოლა შეიძლება ისე, რომ ბავშვებისთვის გასაგები იყოს და მეტიც, ძალიან სწორად შეუძლიათ ამოიცნონ ამბებში სისტემური ხარვეზები, უმნიშვნელო წვრილმანები, კეთილი და ბოროტი გმირები და ასევე კარგად ერთობიან, თუკი რთული ვითარებიდან გამოსავლის მოძებნას სთხოვ, ან პრობლემის გადაჭრის შესახებ აზრის გამოთქმას. არ არსებობს ამბავი, რომელსაც ზღაპარივით ვერ მოყვები და არაფერია ახალ ამბებში ახალი – ყველაფერი, რაც ხდება, ათასჯერ მაინც გაუვლია სხვადასხვა საზოგადოებას სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმით.

მოკლედ, ვინაიდან მოცემულობად გვაქვს, რომ დღემდე ერთი თემა მაინც მაქვს, რომელში გარკვევა და საზოგადოებისთვის მოყოლაც მევალება, დღის ბოლოს, ძილის წინ ამ ამბებს ბავშვებსაც ვუყვები. ესეც თამა-

შად გადაიქცა – რომ საინტერესო ამბავი მქონდეს, კარგად შევძლო მისი ადაპტირება ბავშვებისთვის, გაჩენილ კითხვებზე ვუპასუხო და დავანახო, როგორ ფუნქციონირებს ქვეყნები, სისტემები, ვირუსები, როგორ იბრძვიან ადამიანები ლუკმა-პურისთვის, სამართლისთვის, უკეთესი მომავლისთვის, ერთმანეთის გადასარჩენად, გარემოს დასაცავად, როგორი მრავალფეროვანია სამყარო და თან როგორი ადვილია

ამბების მოყოლით-მეთქი, ვფიქრობდი სკოლიდან სახლისკენ მომავალ გზაზე.

ჩვენ ხშირად გვსაყვედურობენ ხოლმე იმის გამო, რასაც ვაკეთებთ – ზოგს კრიტიკული კითხვა არ მოწონს, ზოგს – ინტერესი მის მიმართ, ზოგი ცუდი ამბების მოყოლის გამო ხალხის დაზავებაში გვადანაშაულებს და ზოგი ზედაპირულობაში – კრიტიკის ნაწილი სამართლიანია, ნაწილი ჩვენს გაჩუმებას ისახავს მიზნად და იმისთვის, რომ




იზოვო მსგავსებები სხვადასხვა დროსა და სივრცეში მიმდინარე პროცესებს შორის.

„მახარებს ის, რომ პირველი ბავშვები ვართ, რომლებიც ქალაქის ამბებს ვიგებთ, რადგან ჩვენი დედა ჟურნალისტია“, – ეს მესამეკლასელი მარია მისი ჩანაწერია დავალების რეკულში. უნდა დაეწერა, რა სწყინს და რა უხარია. წარმოგიდგინათ ალბათ ჩემი, მომუშავე დედის სიხარული, რომელსაც სულ სინდისი ქენჯნის, რომ ბავშვებისთვის ბევრი დრო არ რჩება, ზოგჯერ დასვენების დღეებშიც მუშაობს და ლამის საათებშიც, როცა იმ ათასი შესაძლო ვერსიიდან, რაც პატარა გოგოს სიხარულის მიზეზად შეიძლება დაეწერა სკოლაში, მაინც მაინც ეს დაწერა. უფრო საინტერესო ამბებს ვიპოვი, მეტს ვიფიქრებ, რის თქმა მინდა ამ

სამართლიანი შენიშვნა მიიღო და თავდასხმა ყოჩაღად დახვდეს, ალბათ საკუთარი თავი, პროფესია და პრინციპები უნდა გიყვარდეს, პატვის სცემდე შენს ღირებულებებს და ცდილობდე, არ გადაუხვიო სწორი გზიდან. აღმოჩნდა, რომ ამ გზაზე, ღირებულებების სადარჯიხე ბავშვები საუკეთესო მცველები, საუკეთესო მეგობრები არიან.

ახალი ამბებით თამაში ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილი გახდა და სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ მათი საშუალებით ადვილია ისტორიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის რიგი საკითხების განმარტება. ახალი ამბების გარჩევა მედიალიტივიზმის ელემენტარული უნარების განვითარებისთვის შეიძლება გამოიყენოს სწავლის დაწყებით საფეხურებში და წყაროებთან მუშაობა ისწავლო მათი დახმარებით. დისკუსია და მსჯელობა, საკუთარი პოზიციის დაცვა და არგუმენტის ჩამოყალიბება, სხვისი მოსმენა ისწავლო, ეთიკურ დილემებსაც კი შეიძლება გადაწყვეტილება მიიღო, სხვისი სივრცის პატივისცემის აუცილებლობაზე დაფიქრდეს და საზოგადო ინტერესზე – სულაც არ მგონია, რომ ცოტაა.





რამეწერდალაპარაკობსმოს-წავლე ყველაზე თავისუფლად და გახსნილად (რა თქმა უნდა, ბუნებრივ და დადებით გარემოში)? რა-საკვირველია, საკუთარ თავზე, ოჯახზე, ჰობიზე, საყვარელ საჭმელსა და მუსიკაზე. რატომ არ შეიძლება, ეს ცოდნა, ერთი მხრივ, შემოქმედებითი წერისაქტივობად გამოვიყენოთ, მეორე მხრივ, მოსწავლეს საშუალება მივცეთ, უკეთ გამოამუღავნოს თავისიშესაძლებლობები, დაბოლოს, მეტიგავიგოთ მისი პრობლემების, ხასიათის, დამოკიდებულების შესახებ?

გთავაზობთ რამდენიმე აქტივობას, სადაც მოსწავლე აღწერს საკუთარ თავს როგორც პერსონაჟს, ასრულებს საინტერესო და მხიარულ დავალებას და, ამავე დროს, უფრო მეტად უღრმავდება საკუთარ შესაძლებლობებს.

### აქტივობა პირველი მე – მწერლის პერსონაჟი

#### ნაბიჯი პირველი

მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ამოვარჩევთ რამდენიმე ლიტერატურულ პერსონაჟს, რომლებიც საკუთარ ამბავს მოგვითხრობენ. ვარიანტი ბევრია: რევამ ინანიშვილის მოთხრობები, დავით ჯავახიშვილის „ბიძია სევას ამბები“, ნარგიზა მეგლაძის „უცნობი ბიჭის დღიური“, ასტრიდ ლინდგრენის „მიო, ჩემო მიო“, ცოტა უფროსებისთვის – სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ ან თამთა მელაშვილის „გათვლა“.

#### ნაბიჯი მეორე

ვამზადებთ პერსონაჟთა გალერეას, ვარჩევთ ილუსტრაციას ან ეკრანიზაციას, ვხატავთ, დიორამებს ვაკეთებთ.

#### ნაბიჯი მესამე

პერსონაჟის რუკა—ვამზადებთ სხვადასხვა სახის კოგნიტიურ სქემებს, მათ შორის — პერსონაჟის რუკის სხვადასხვა ვერსიას, ვპასუხობთ კითხვებს: რა უყვარს, რას გრძნობს, რა მოტივაცია აქვს, როგორ იღებს გადაწყვეტილებას, რა აფერხებს და ა.შ.

#### ნაბიჯი მეოთხე

მე როგორც პერსონაჟი როგორ მოვეყვებოდი ამბავს; მე რომ ვიყო ამა თუ იმ წიგნის პერსონაჟი, რა შეიცვლებოდა წიგნში ჩემი

ხასიათის თავისებურებებისა თუ გემოვნების მიხედვით; როგორ შევცვლიდი წიგნის სიუჟეტს.

#### ნაბიჯი მეხუთე

ჩანაცვლე ილუსტრაცია: როგორი ვიქნები მე როგორც ამა თუ იმ წიგნის პერსონაჟი. დავხატოთ ან ამოვბეჭდოთ ილუსტრაცია და ჩავაწებოთ მოსწავლის ფოტო.

### აქტივობა მეორე მე – დაუნერული წიგნის პერსონაჟი

თუ წინა აქტივობა უკვე არსებულ წიგნში პერსონაჟის შეცვ-

რა ამბებში გავხვეოდა ამ წიგნის პერსონაჟი?

#### ნაბიჯი მესამე

ლიტერატურული დროდასივრცე როგორია დრო და სივრცე სხვადასხვა ჟანრის წიგნებში? რომელ დროსა და სივრცეში მოხდებოდა მოქმედება ჩემს წარმოსახვით წიგნში? რას შევცვლიდა ესა თუ ის დრო და სივრცე ჩემში როგორც პერსონაჟში?

ამ ეტაპზე შეიძლება მოვამზადოთ ლიტერატურული სივრცის რუკა, სამგანზომილებიანი ილუს-

თითოეული ნაწილი დაგვყოფს უფრო მცირე უკრებად, რომლებშიც გავანაწილებთ მოქმედების ადგილს, მიზანს, დაბრკოლებას, შეხვედრას, ნებისმიერ რამეს, რასაც შეიძლება ლიტერატურულ ნაწარმოებში შეხვდეთ.

III. ვირჩევთ სათამაშო ფიგურებს. ამ ფუნქციით შეგვიძლია გამოვიყენოთ ჭადრაკის ფიგურები, პლასტმასის სათამაშოები ან სულაც პლასტილინისა თუ თიხისგან გამოვძერწოთ პერსონაჟები, მივანიჭოთ სხვადასხვა ხასიათი, მაგალითად, გვყავდეს მებრძოლი, მოგზაური, ფილოსოფოსი; შეგვიძლია, გავანაწილოთ ისინი



ლას ითვალისწინებდა, ახლა სრულიად ახალი, დაუწერელი წიგნის პერსონაჟები ვხდებით.

#### ნაბიჯი პირველი

როგორი ვარ მე როგორც პერსონაჟი:

- ა. რა მიყვარს?
- ბ. როგორი ხასიათი მაქვს?
- გ. როგორი ვარ გარეგნულად?
- დ. როგორი გემოვნება მაქვს?
- ე. რის კეთება მიყვარს?
- ვ. რა გამომდის კარგად?
- ზ. რას ვგრძნობ?
- თ. რამე ვდარდობ, რა მიხარია?
- ი. ვინ არის ჩემი მეგობარი?

#### ნაბიჯი მეორე

ჟანრი წიგნისთვის, რომლის პერსონაჟიც ვიქნებოდი

- ა. რა არის ჟანრი, რა ჟანრის წიგნები ვიცი?
- ბ. რა გამოარჩევს თითოეული ჟანრის წიგნს?
- გ. როგორი ჟანრის წიგნების მკითხველი ვარ?
- დ. რომელი ჟანრის წიგნის პერსონაჟი ვიქნებოდი?

ტრაცია, დიორამა და სხვა.

#### ნაბიჯი მეოთხე

სამაგიდო თამაში „მე როგორც პერსონაჟი“ თამაშის მოსამზადებლად დაგვიჭირდება:

1. დიდი ზომის ფორმატი
2. ბარათები
3. მარკერი
4. ორი ცალი კამათელი
5. რამდენიმე სათამაშო ფიგურა

#### მომზადება:

I. **ფორმატი გავყოთ ოთხ ნაწილად:**

1. მოგზაურობა და ფანტასტიკა
2. ამბავი მეგობრობაზე
3. ამბავი სიყვარულზე
4. კონფლიქტური ამბავი (შეგიძლიათ, თავად მოიფიქროთ თემები სტრუქტურული დაყოფისთვის; თუ პოემას ასწავლით, პოემა იყოს ანეპოსი, ნებისმიერი რამ, რაც თქვენს სასწავლო მიზნებს მიემართება; თითოეული ნაწილი შეგიძლიათ მონიშნოთ ფერით, ილუსტრაციით ან წარწერით)

პროფესიის, ტემპერამენტის, გემოვნების მიხედვით.

IV. ბარათები დავახარისხოთ ფერებად და შინაარსებად:

- ა. ემოციები
- ბ. მოქმედება
- გ. დახმარება
- დ. გამოსავალი (და სხვა, თქვენი ფანტაზიის მიხედვით)

თამაშის პრინციპი: მოთამაშეები ირჩევენ სათამაშო ფიგურებს და სათამაშო დაფაზე, ანუ ფორმატის ფურცელზე, „დასაწყისის“ ბიჯთან განალაგებენ. თითოეული ისვრის კამათელს და შესაბამისი რაოდენობის ნაბიჯს გადადგამს უკრებში.

პერსონაჟი, რომელიც მოხვდება რომელიმე მოქმედების ადგილის, დროსა თუ სიტუაციის უკრებში, აიღებს ბარათს რომელიმე ემოციის ან მოქმედების გამოსახულებით. მას ევალება, მოგვითხროს პატარა ისტორია ამ კომპონენტების მიხედვით. შეგვიძლია, საუკეთესო ისტორიის დაწერა დავალებად მივცეთ.



**უფროსების მიერ მოფიქრებულ „საბავშვო აქტივობებში“ პანდემიის გამო უცაბედად გარჩენილი პაუზა ბევრ ბავშვს შესაძლოა ბედნიერებადაც კი ექცეს.**

გამოჩნდნენ ბავშვები, რომლებმაც დაიწყეს წიგნების კითხვა საკუთარი ინტერესების შესაბამისად, და განათლების კუთხით ეს ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე ის საკითხავი, რომელსაც მათ სკოლაში აძლევდნენ. ოჯახებმა თავიდან დაიწყეს იმ სიხარულის აღმოჩენა, რომელიც მოაქვს ერთად თამაშს, ერთად კითხვას ან უბრალოდ ერთად ყოფნას ყოველგვარი ვალდებულების გარეშე.

საკუთარ ცნობისმოყვარეობას, წარმოსახვას და შემოქმედებით მიდრეკილებებს.

ფსიქოლოგებმა უკვე დიდი ხანია იციან, რომ ბავშვები თავიანთ ცოდნას „აშენებენ“ პირდაპირი და აქტიური ქმედებებით, რომლებსაც მათივე ინტერესები და მისწრაფებები მართავს მათსავე გარემოში. ის, რასაც იზებირებენ როგორც საკლასო ოთახში მიმდინარე პროცესის პასუხი მონაწილეები, ბავშვებს

საკვარელი წიგნებითა თუ ფილმებით არის შთაგონებული;

დაფავასოთ ის უნარები და მოთმინება, რომლებსაც ამჟღავნებენ, როდესაც ტალახიდან ამოთხრილ ქიაცულას ვიზუალურად დამისჯივას აკვირდებიან. და, ღვთის გული-სათვის, მიცეთ უფლება შევირძინო, რასაინწავს, იყო ეზოში გაზაფხულის მშენიერდღეს და არაფერი აკეთო!

მოდ, მხარი დაუჭიროთ ბავშვების გენიალურ უნარს, ითამა-



ის, რასაც ახლა აღვწერთ, ერთგვარი „გადატვირთვის“ ლილაკია, რომელმაც შეიძლება ახლებურად გაგვაზრებინოს ბავშვების ნამდვილი საჭიროებები. პანდემიით გამოწვეული დაკეტვები ის შესაძლებლობაა, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და მშობლების ქცევასთან დაკავშირებული „საბავშვო ქცევის“ კორექტირებას.

ჩვენ, ზრდასრულებს, შეგვიძლია გავაცნობიეროთ, რომ იმ დროის უმეტესი ნაწილი, რომელსაც ბავშვები სკოლაში ატარებენ, დეკარგული და გაფლანგულია. ის, რასაც სკოლაში სწავლობენ ან ამასხვორდებათ, ბევრად უფრო ნაკლებ დროშიც შეიძლება დაისწავლონ, განსაკუთრებით მაშინ, თუ საშუალებას მიცემთ, თვითონვე მოუძებნონ მიმართულება

მალევე ავიწყდებათ. მოდი, მეტისმეტად ნუ გავვიტაცებს ციფრული გაცვეთილები, რომლებმაც სკოლებიდან სახლებში გადმოინაცვლა. ნაცვლად ამისა, ერთად ვუყუროთ, რას და როგორ სწავლობენ ბავშვები, როდესაც თავიანთ გაცვეთილებს თვითონვე ქმნიან;

დავაკვირდეთ, როგორ იფურჩქნება მათი წერა-კითხვის უნარი და განათლება ასფალტზე დაწერილ სიტყვებსა და წინადადებებში.

თვალი ვადევნოთ მათ გამოთვლებს, როდესაც ისინი ხეზე გასამართავი საბავშვო სახლის გეგმას ქმნიან;

ვნახოთ, როგორ თამაშობენ თავიანთსავე დადგმულ „სპექტაკლებში“, რომლებიც მათი

შონ და თვითონვე წარმართონ თავიანთი თვითგანსწავლა. მერე კი ერთად დაგზრუნდეთ სკოლებში და შევექმნათ ის წონასწორობა, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, დარჩნენ ბავშვებად, ხოლო ჩვენ, კომპეტენტურ მასწავლებლებს, შეგვადლებინებს, ვითანაშრომლოთ მათთან, გავკვალოთ სწავლის ის ბილიკები, რომლებზეც დაფასებული და გაცნობიერებული იქნება ბავშვების სოციალური, ემოციური, ფიზიკური და კოგნიტიური განვითარება. მოდი, მხარი დაუჭიროთ სწავლის ბუნებრივ გზებს და არ ჩაგვკოთ ისინი. ბავშვებისა და ბავშვობის სწორად აღქმით ჩვენ ხელს შეუწყობთ მათი შემოქმედებითობის, ცნობისმოყვარეობის, გამომგონებლობის და სხვა საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებას.





ნინო ლომიძე

# თემა – ურთიერთობები

როგორ ვრეაგირებთ სიტყვიერ შეურაცხყოფაზე? რა შეიძლება მოჰყვეს ამას? რას გრძნობს ადამიანი, რომელსაც აგდებულად მიმართეს, დასცინეს? როგორი უნდა იყოს რეაქცია? რა არის სწორი ან არასწორი? რა სიტყვებით გამოვხატავთ იმ ემოციურ მდგომარეობას, განწყობას, ფსიქოფიზიკურ მოცემულობას, რომელსაც სიტყვიერი შეურაცხყოფა იწვევს?

## 1. თემატური საკვანძო კითხვა – როგორ ვრეაგირებთ სიტყვიერ შეურაცხყოფაზე? რა შეიძლება მოჰყვეს ამას? რას გრძნობს ადამიანი, რომელსაც აგდებულად მიმართეს, დასცინეს? როგორი უნდა იყოს რეაქცია? რა არის სწორი და რა – არასწორი? რა სიტყვებით გამოვხატავთ იმ ემოციურ მდგომარეობას, განწყობას, რომელსაც სიტყვიერი შეურაცხყოფა იწვევს?

როგორ ვრეაგირებთ სიტყვიერ შეურაცხყოფაზე? რა შეიძლება მოჰყვეს ამას? რას გრძნობს ადამიანი, რომელსაც აგდებულად მიმართეს, დასცინეს? როგორი უნდა იყოს რეაქცია? რა არის სწორი და რა – არასწორი? რა სიტყვებით გამოვხატავთ იმ ემოციურ მდგომარეობას, განწყობას, რომელსაც სიტყვიერი შეურაცხყოფა იწვევს?

მეცხრე კლასში სიტყვის ზემოქმედების ძალას ვიკვლევდით.

მაინტერესებდა, რას ფიქრობდნენ მოზარდები იმაზე, თუ რა ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს სიტყვამ, რა რეაქცია შეიძლება მოჰყვეს სიტყვას, როგორ მოიქცეოდნენ, ვინმეს რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიეყენებინა მათთვის ან რამე ძალიან საწყენი ეთქვა.

სამუშაო თავიდანვე ისე დაგეგმე, რომ ამ თემისთვის ზედმიწევნით რამდენიმე გაკვეთილი დაგვეთმო. სახელმძღვანელო გვერდით გადავდეთ. მინდოდა, ამ კონკრეტულ პრობლემას ჩავლრმავებოდით და გვეკვლია

საკუთარი განწყობა-დამოკიდებულებები, სხვადასხვა ცხოვრებისეული სიტუაცია, თემატური მხატვრული ტექსტები.

გამოწვევის ფაზა სიტყვის ძალასა და ზემოქმედებაზე მსჯელობას, საუბარს, მოსაზრებების გაცვლა-გამოცვლას დაეთმო.

რას ნიშნავს „სიტყვის ძალა“?

რა ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს სიტყვამ ადამიანზე?

რა დადებითი ან უარყოფითი შეიძლება მოჰყვეს ნათქვამს?

რა ახსენდებათ თავიანთი გამოცდილებიდან?

მოსწავლეები ინტერესით ჩაერთნენ ამ ნაწილში და ბევრი საინტერესო რამ გაიხსენეს. საბოლოოდ წერილობით ვთხოვე ნაფიქრის მოწესრიგება და გაკვეთილი წერილობითი სამუშაოთი დავასრულეთ.

მეორე გაკვეთილზე რამდენიმე მოსწავლემ კლასს საკუთარი ნაზრები გააცნო. ხშირად ვიმეორებ ხოლმე, რომ შესრულებული წერილი სამუშაოს ხმამაღლა წაკითხვა მნიშვნელოვანია, რადგან მოსმენითაც ვსწავლობთ.

საერთოდ, ჩემი დაკვირვებით, კითხვისას და მოსმენისას ისევე

ვეუფლებით წერას, როგორც საკუთრივ წერილითი სავარჯიშოების შესრულებისას. სადღაც ამოვიკითხე და აბსოლუტურად ვეთანხმები – წერა სუნთქვასავითაა. სუნთქვა ჩასუნთქვასა და ამოსუნთქვას მოიცავს, წერა კი – კითხვას და საკუთრივ წერას. ჩასუნთქვა – კითხვა, ამოსუნთქვა – წერა.

ამის შემდეგ მოსწავლეებს გაკვეთილის გეგმა გავაცანი – იმ დღეს გაკვეთილზე უნდა მოგვესწრო ორი ტექსტის წაკითხვა, გაგება და მოკლედ გადმოცემა. ეს ტექსტები ჩვენი შემდგომი გაკვეთილების სამსჯელო მასალა იქნებოდა.

მოსწავლეებს სამუშაო ფურცლები დავურიგე. მათ ორი ტექსტის – იგავისა და იგავ-არაკის წაკითხვა ევალებოდათ. პირველ ეტაპზე ლექსიკურად დავამუშავეთ „იგავი მოხუც სამურაიზე“ და სულხან-საბას „ენით დაკოდილი“. მოსწავლეებს უნდა მოეჩვენათ ის მონაკვეთები, სიტყვები, წინადადებები, რომელთა აზრიც მათთვის გაუგებარი იყო.

მას შემდეგ, რაც ლექსიკურ და შინაარსობრივ დონეზე ყველაფერი გასაგები გახდებოდა, მოსწავლეებს ათი წინადადებით უნდა გადმოეცათ პირველი

**სკოლაში მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოზარდის შემდგომ ურთიერთობებზე, დამოკიდებულებებზე გარემომცემებისა და ზოგადად, სამყაროს მიმართ. ამიტომ ამ მიმართულებით მუშაობა ფასდაუდებელი გამოცდილებაა, რაც მათ ლიტერატურის გაკვეთილებზე შეგვიძლია მივცეთ.**

იგავის არსი და მოკლედ, რამდენიმე წინადადებით ესაუბრათ იგავ-არაკის მორალზე.

(პარალელურად, სასურველია, დამუშავდეს სამიზნე ცნება „ჟანრი“ და ამ ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები)

ამ სამუშაოს ისევ მსჯელობა და დისკუსია მოჰყვა. ამჯერად ვიკვლევდით იმას, როგორ

ერთ-ერთ წერილში ავტორი ურჩევდა დათვს, სიტყვებისთვის ნაკლები ყურადღება მიექცია. „არ ღირს ვილაცის ნათქვამი „მყარლო“ იმად, რომ თავი დაიზიანო. ნაჯახის ჩარტყმა რამ გაფიქრებინა? თუ კიდევ მოხდება ასეთი რამე, უბრალოდ არ მიაქციო ყურადღება. ყველას რატომ უნდა მოსწონდე? სულაც არაა აუცილებელი!“ – ეწერა წერილში.

ასრულებს პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასა და ურთიერთობაში. მოზარდს უნდა შესწევდეს უნარი, ამოიცნოს, გაიგოს, გამოხატოს საკუთარი და სხვათა გრძნობები, განივითაროს თანამშობის, თანაგანცდის, სხვადასხვა ემოციურ სიტუაციაში სათანადო რეაგირების უნარები.



მოიქცნენ ტექსტების პროტაგონისტები, რა იგრძნეს მათ, როგორ შეაფასებდნენ მოზარდები მათ ქცევას.

საშინაო დავალებად მოსწავლეებს წერილის დაწერა ვთხოვე:

აირჩიე ადრესატი (იგავიდან ან იგავ-არაკიდან) და მისწერე წერილი.

არ გამკვირვებია, რომ უმეტესობამ ადრესატებად დათვი და სამურაი აირჩია.

იყო მოხუცი სამურაის ქცევით აღფრთოვანებული შეძახილებიც: „მეც მასწავლე, ასე მშვიდად როგორ იტანდი იმ ყველაფერს. შენს ადგილას მაგრად გცემდი იმ უზრდელს, მაგრამ ახლა მიჩვენია, მეც შენსავით მოვიქცე“.

ვფიქრობ, მოზარდებისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი ემოციური მდგომარეობის ამოცნობა. სოციალურ-ემოციური სფერო დიდ როლს

სკოლაში მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოზარდის შემდგომ ურთიერთობებზე, დამოკიდებულებებზე გარემომცემებისა და, საზოგადოდ, სამყაროს მიმართ, ამიტომ ამ მიმართულებით მუშაობა ფასდაუდებელი გამოცდილებაა, რომელიც მათ ლიტერატურის გაკვეთილებზე შეგვიძლია მივცეთ.







შორენა ტყეშელაშვილი

# თვითზრუნვა მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია

## ინტერვიუ ფსიქოთერაპევტთან

ინტენსიური პროფესიული სტრესი შეიძლება მასწავლებლის გადანვის მიზეზად იქცეს, რაც სწავლა-სწავლების პროცესზეც აისახება და მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაზეც. ფსიქოთერაპევტი მაგდა მაჭავარიანი ჟურნალ „მასწავლებელს“ მასწავლებლების ფსიქოლოგიური კეთილდღეობის აუცილებელ ასპექტზე – თვითზრუნვაზე ესაუბრა და მათ რეკომენდაციები მისცა.

**ქრონიკული სტრესი იწვევს მასწავლებლების პროფესიულ გადანვას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სკოლიდან კადრების გადინებას. ამ სიტუაციაში გამოსავალია თვითზრუნვა, რომელიც პროფესიულ სტრესთან გამკლავების ეფექტური საშუალებაა.**

### რა არის თვითზრუნვა?

თვითზრუნვის იდეა სოკრატეს ბოლო პერიოდის ნაშრომებიდან იღებს სათავეს. სამწუხაროდ, ბოლო წლებში გავრცელებულმა ონლაინთვითზრუნვის ინდუსტრიამ თვითზრუნვის შესახებ არაერთი მითი წარმოშვა. ვინაიდან საქართველოში თვითზრუნვის ცნება ახლა მკვიდრდება, მნიშვნელოვანია, მისი არსი მკაფიოდ განისაზღვროს – ეს არის ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნება.

ყოველდღიურ ცხოვრებაში თვითზრუნვა გულისხმობს საკუთარ თავზე, საკუთარ საქმიანობებზე ფოკუსირებას და საკუთარ თავთან იმის გარკვევას, რა გვჭირდება კარგად ყოფნისთვის, რათა ვიყოთ პროდუქტიულები ჩვენს პროფესიულ საქმიანობაში, გვქონდეს რესურსი, რომ დავეხმაროთ სხვებს (ოჯახის წევრებს, კლიენტებს, პაციენტებს, მოსწავლეებს...) და ვიზრუნოთ მათზე, შეგვეძლოს ჩვენი პოტენციალის რეალიზება.

თვითზრუნვა სჭირდება ყველას, მაგრამ ის სასიცოცხლოდ აუცილებელია სტრესული პროფესიის წარმომადგენლებისთვის და მათთვის, ვისაც სხვაზე უწევს ზრუნვა. მასწავლებლობა, საზოგადოდ, ერთ-ერთ ყველაზე სტრესულ პროფესიად არის აღიარებული. ქრონიკული სტრესი იწვევს მასწავლებლების პროფესიულ გადაწვას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სკოლიდან კადრების გადინებას. ამ სიტუაციაში გამოსავალია თვითზრუნვა, რომელიც პროფესიულ სტრესთან გამკლავების ეფექტური საშუალებაა.

### რა იწვევს მასწავლებლის პროფესიულ გადაწვას და როგორ უნდა ამოიციოს მასწავლებელმა საგანგაშო ნიშნები?

თვითზრუნვის გარეშე მასწავლებელი ვერ იზრუნებს მოსწავლეთა საჭიროებებზე, მათ განათლებასა და განვითარებაზე. თვითზრუნვის იგნორირების გარდაუვალი შედეგია მასწავლებლის პროფესიული გადაწვა.

მართალია, პროფესიული გადაწვა უფრო მეტად ახალბედა მასწავლებლებს ემუქრებათ, მაგრამ არც ვეტერანი მასწავლებლები არიან დაზღვეულნი. ერთ-ერთი თანამედროვე კვლევა გვიჩვენებს, რომ მასწავლებლების 40-50% პროფესიას პირველი ხუთი წლის განმავლობაში ტოვებს. განმაპირობებელი ფაქტორი მრავალია, თუმცა, კულტურული განსხვავებების მიუხედავად, უმთავრესია ცხოვრებისა და სამუშაოს ბალანსის უკიდურესი დარღვევა და გარდაუვალი ინტენსიური პროფესიული სტრესი.

მასწავლებლის პროფესიული გადაწვის მანიშნებელია სკოლისა და მოსწავლეების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ზრდა, საქმიანობის მოზებრება, სამსახურში წასვლის წინ შფოთვა, ემოციური გამოფიტვა და უენერგიობა, გუნება-განწყობილების დაქვეითება, ძილის/კვების დარღვევა, თავის ტკივილი, ჰიპერტენზია და სხვა ფსიქოსომატური სიმპტომები, კონცენტრაციის და თვითრეგულაციის სირთულე, დისციპლინასა და კლასის მართვაზე ნაკლები ზრუნვა, მოსწავლეების სწავლის სტანდარტის დაწევა, მოსწავ-

ლებების გაგებისა და მათი თანაგანცდის უნარის შემცირება, საკუთარი საქმიანობისადმი გულგრილობა, გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების სირთულე, კოლეგებისგან იზოლირება, მუდმივად საქმით გადატვირთულობის განცდა, კრეატიულობისა და პროდუქტიულობის კლება.

**პანდემიის დროს მასწავლებლები აღმოჩნდნენ ყველაზე სტრესულ და სწრაფად ცვალებად სიტუაციაში, რამაც მათგან ფსიქოლოგიური ძალების მობილიზება და თვითკონტროლი მოითხოვა. როგორ აისახა ეს ყველაფერი მათზე?**

რა თქმა უნდა, პანდემიამ მასწავლებლებისთვის არაერთი დამატებითი სტრესორი გააჩინა. მაგალითად, ონლაინსწავლებაზე გადასვლა

ერთი მიმდინარე კვლევის (Hedy Teglasi et al., 2021) წინასწარი მონაცემების მიხედვით, გამოიკვეთა შემდეგი აქტუალური საკითხები: სწავლების ახალ მოთხოვნებთან შეგუება, პირადი საზრუნავი, დისტანციური სწავლების პროცესში მრავალი ვალდებულების დაბალანსების სირთულე, ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის სირთულე, ურთიერთობის დეფიციტი და სხვა. რაც შეეხება მასწავლებლების გუნება-განწყობილებისა და ემოციური სტაბილურობის შეფასებას, კვლევის მონაცემებით, მათ გამოცდილებაში პოზიტიური აფექტის საშუალო მაჩვენებელს ნეგატიური აფექტი სჭარბობს. ძალზე საგულისხმო იქნება აღნიშნული კვლევის დასრულების შემდეგ გამოტანილი დასკვნები, რომლებიც უფრო სარწმუნო წარმოდგენას შეგვიქმნის



ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც მოითხოვს ტექნოლოგიის გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას, სიახლეებისადმი ადაპტაციის უნარს, მოქნილობას და კიდევ უფრო მეტად ზრდის პროფესიულ სტრესს.

მასწავლებლებზე პანდემიური სიტუაციის გავლენა არაერთი კვლევის საგანია. ერთ-

იმის შესახებ, თუ როგორ აისახება პანდემიის სტრესი მასწავლებლებზე.

**მასწავლებლის გადაღლა მოსწავლეებთან ურთიერთობასა და სწავლა-სწავლების პროცესზეც აისახება. როგორ უნდა იზრუნოს მასწავლებელმა საკუთარ ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე?**

**თვითზრუნვა  
არსებითად  
მნიშვნელოვანია  
პროფესიული  
გადანვის  
პრევენციისთვის,  
რადგან მასზე  
დიდწილად არის  
დამოკიდებული  
მასწავლებლის  
გამძლეობა  
სტრესებისადმი,  
ფსიქიკური  
ჯანმრთელობა და  
პროდუქტიულობა.**

სავსებით გეთანხმებით, გადაღლილი და სტრესის ქვეშ მყოფი მასწავლებელი მუდმივად გაღიზიანებულია და მოსწავლეებთან ურთიერთობისას ხშირად ავტორიტარული ან პასიურია, უჭირს თვითრეგულაცია და შესაძლოა ფიზიკურად თუ ემოციურად ძალადობდეს მოსწავლეებზე ან, პირიქით, მათი ძალადობის მსხვერპლად იქცეს. რა გასაკვირია, რომ ჰიპერაღვნიების ან ჰიპოაღვნიების მდგომარეობაში მყოფ მასწავლებელს უჭირდეს მოსწავლეებთან ჯანსაღი ურთიერთობის დამყარება და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვა.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: როგორ იზრუნოს მასწავლებელმა საკუთარ თავზე, რომ აიძალდოს ფსიქოლოგიური კეთილდღეობის განცდა?

გამოყოფენ თვითზრუნვის სხვადასხვა ტიპს: ფიზიკურს, ფსიქოლოგიურს/ემოციურს, სოციალურს, სულიერს და პროფესიულს/აკადემიურს. თვითზრუნვის ტიპების მიხედვით ხდება თვითზრუნვის სტრატეგიების კატეგორიზაცია. თვითზრუნვის სტრატეგიები მიმართულია ადამიანის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური, სულიერი და პროფესიული/აკადემიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ. ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კარგად ყოფნის განცდის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია თვითზრუნვის ტიპებს შორის ბალანსის დაცვა. სასურველია, მასწავლებელი დაბალანსებულად ზრუნავდეს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ/ემოციურ, სოციალურ თუ სულიერ მდგომარეობაზე, ასევე საკმარის ყურადღებას აქცევდეს პროფესიული საქმიანობისა და მუშაობისა და ცხოვრების დაბალანსებას.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ თვითზრუნვის სტრატეგიები ყველასთვის საერთო არ არის – ჩვენი ყველანი უნიკალურები ვართ, განსხვავებულია ის გზებიც, რომლებიც ფსიქიკური სიჯანსაღისა და კეთილდღეობისთვის გვჭირდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, თითოეულმა მასწავლებელმა დაუთმოს დრო საკუთარ თავს, საკუთარ საჭიროებებში გარკვევასა და თვითზრუნვის იმ სტრატეგიების აღმოჩენას, რომლებიც მის კარგად ყოფნას განაპირობებს.

**როგორი იქნება პროფესიონალის რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ასამაღლებლად?**

მასწავლებლების თვითზრუნვის მნიშვნელობას მეტაფორულად კარგად გამოხატავს თვითმფრინავის წესი – ჟანგბადის ნიღაბი პირველად ზრდასრულმა რომ უნდა გაიკეთოს და მერე ბავშვს

გაუკეთოს. არადა, ისინი, ვინც სხვაზე ზრუნავენ, განსაკუთრებით მასწავლებლები, ხშირად აიგნორებენ საკუთარ თავზე ზრუნვის საჭიროებას.

თვითზრუნვისთვის დროის გამოყოფას არ სჭირდება მასწავლებლის დღის განრიგის გადაწყობა. გადატვირთული დღის განმავლობაში სულ მცირე დროის გამოყოფაც საკმარისია (მაგალითად, ტრანსპორტიდან ოდნავ მოშორებით გადმოსვლა და სამსახურამდე 15 წუთი ფეხით გასეირნება). ზოგადი რეკომენდაცია თვითზრუნვის საკუთარი უნიკალური სტილის გაცნობიერება და ყოველდღიურად პატარა-პატარა ნაბიჯების გადადგმა თვითზრუნვისკენ:

1. დააკვირდით, რომელი აქტივობები გაგრძნობინებთ თავს კარგად, გმატებთ ხალისსა და მხნეობას, გავსებთ ენერჯით (მაგალითად, დღის განმავლობაში 10-20-წუთიანი შესვენებების დროს საყვარელი აქტივობების შესრულება, ფეხით გასეირნება, სუნთქვითი ვარჯიშები, თვითრეფლექსია, მედიტაცია, თვით-თანაგანცდა (self-compassion), ოჯახური სადილი, მეგობართან საუბარი, ინტენსიური ემოციების შეგრძნება და გადაამუშავება დღიურის წარმოებით/თერაპიით, სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის საზღვრის გავლება (მაგალითად, არავითარი მუშაობა ღამით და შაბათ-კვირას) და ა.შ.
2. აირჩიეთ თვითზრუნვის ერთი აქტივობა და მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად შეასრულეთ.
3. დაუთმეთ დრო რეფლექსიას – დააკვირდით, როგორ გრძნობთ თავს, რა პოზიტიურ ცვლილებებს ამჩნევთ.
4. გადადით თვითზრუნვის მომდევნო აქტივობაზე და გაიმეორეთ იგივე პროცესი.

თვითზრუნვა არსებითად მნიშვნელოვანია პროფესიული გადაწყვის პრევენციისთვის, რადგან მასზე დიდწილად არის დამოკიდებული მასწავლებლის გამძლეობა სტრესებისადმი, ფსიქიკური ჯანმრთელობა და პროდუქტიულობა.

თუ მასწავლებელი ამჩნევს, რომ უჭირს საკუთარ თავზე ზრუნვა ან თვითზრუნვის ტიპებს შორის ბალანსის დაცვა, პროფესიული გადაწყვის სიმპტომებით იტანჯება და ეს აწუხებს, გამოსავალია ფსიქოთერაპია, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი გააცნობიერებს, რა უშლის ხელს თვითზრუნვაში და აღმოაჩენს, რა სჭირდება კარგად ყოფნის განცდისთვის.







ქეთევან კობალაძე

# რატომ უნდა ვისაუბროთ საკუთარ გრძნობებზე

ადამიანებს, რომლებსაც არ უჭირთ საკუთარ გრძნობებზე საუბარი, გაცილებით უადვილდებათ ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვაც, რადგან მათ არ უწევთ გრძნობების დამალვა და იმის იმედად ყოფნა, რომ გარშემო მყოფები თვითონ მიუხვდებიან გულისნადებს.

სამწუხაროდ, ადამიანების არცთუ მცირე ნაწილს ეუხერხულება არა მხოლოდ საკუთარ გრძნობებზე საუბარი, არამედ მათი მოსმენაც, ვინც თავის გრძნობებსა და განცდებზე ლაპარაკობს. სწორედ იმიტომ, რომ გრძნობებზე საუბარი აუცილებელია, ზავშვებმა მცირე ასაკიდანვე უნდა ისწავლონ გრძნობებისა და განცდების ვერბალურად გამოხატვა. მათ მხარი უნდა დაუჭირონ, უპირველეს ყოვლისა, მშობლებმა, პედაგოგებმა, თანატოლებმა, მეგობრებმა, და-ძმებმა. მხარდამჭერთა წრე საკმაოდ ფართოა და საბოლოოდ ნებისმიერი ზავი და მოზარდი შეძლებს იმ ადამიანის პოვნას, რომელიც მოუსმენს მას და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარება.

მნიშვნელოვანია, ყველას ახსოვდეს, რომ გრძნობები არ შეიძლება იყოს სწორი ან არასწორი, ცუდი ან კარგი. გრძნობები უბრალოდ არსებობს და ჩვენ მათ განვიცდით ისე, როგორც შეგვიძლია.

ძვირფასო მშობლებო, აღმზრდელეო, მასწავლებლებო, შეგახსენებთ, რომ თქვენ კითხულობთ ნაწყვეტს წიგნიდან: „შენ უფრო ძლიერი ხარ, ვიდრე გგონია. შენი თვითშეფასების გზამკვლევი“. მისი ავტორები არიან გერშენ კაუფმანი (ამერიკელი ფსიქოლოგი). განათლება მიიღო კოლუმბიის უნივერსიტეტში. როჩესტერის უნივერსიტეტში მოიპოვა დოქტორის ხარისხი კლინიკურ ფსიქოლოგიაში. პროფესორის რანგში ლექციებს კითხულობდა მიჩიგანის უნივერსიტეტში. მუშაობდა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრში. არის მრავალი წიგნის ავტორი, რომელთაგან ყველაზე პოპულარულია „მორცხვობის ფსიქოლოგია“, ლევ რაფაელი (განათლება მიიღო ნიუ-იორკის ფორდემის უნივერსიტეტში. აქვს მაგისტრის ხარისხი სახვით ხელოვნებასა და სამწერლო

ხელოვნებაში. არის ფილოსოფიის დოქტორი) და პამელა ესპელანდი (განათლება მიიღო მინესოტაში, ქალაქ ნორტფილდში, კარლტონ-კოლეჯში. არის 200-ზე მეტი წიგნის რედაქტორი და თანაავტორი. ამჟამად ცხოვრობს მინეაპოლისში). დათუნას ვერსად უპოვია ზამთრის ხელთათმანები. მას ჰგონია, რომ ხელთათმანები სპორტის გაკვეთილის შემდეგ გასახდელში დარჩა, ამიტომ ეძებს მათ დაკარგული ნივთებისთვის განკუთვნილ ყუთში, რომელიც სკოლის კანცელარიაში დგას. მართლაც, დათუნა პოულობს თავის ხელთათმანებს. მან ზუსტად იცის, როგორ ნივთებს ეძებს და პოვნისთანავე იღებს მათ. სწორედ ასევე, – განმარტავენ ავტორები, – აცნობიერებენ ზავშვები და უფროსები საკუთარ გრძნობებს, გეგმებსა და მოთხოვნილებებს. ისინი

ზედმეტი კითხვების გარეშე იღებენ იმ რეალობას, რომელსაც განიცდიან. მაინც რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი საკუთარი სურვილებისა და გრძნობების გაცნობიერება, მათი მიღება? სურვილებისა და გრძნობებისთვის სახელის დარქმევა აპრიორი არ ნიშნავს მათ გამოყენებას. დათუნას თავისი ხელთათმანები დაკარგული ნივთების ყუთში რომ დაეტოვებინა, მათ ვეღარ გამოიყენებდა. ამიტომ მნიშვნელოვანია, გამოვიყენოთ ყველა გრძნობა, გეგმა და მოთხოვნილება. აქ არ იგულისხმება მხოლოდ მარტივი და უსაფრთხო გრძნობები და არც მხოლოდ ისინი, რომლებიც, სხვების აზრით, შენთვის შესაფერისია. დარწმუნებულები ვართ, – წერენ ავტორები, – რომ სირცხვილი ის გრძნობაა, რომლის

**ადამიანებს, რომლებსაც არ უჭირთ საკუთარ გრძნობებზე საუბარი, გაცილებით უადვილდებათ ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვაც, რადგან მათ არ უწევთ გრძნობების დამალვა და იმის იმედად ყოფნა, რომ გარშემო მყოფები თვითონ მიუხვდებიან გულისნადებს.**

**მოზარდა და ბავშვსაც აქვს უფლება, მოუსმინოს საკუთარ თავს და მიხედეს, სჭირდება თუ არა დახმარება. მთავარია, ახსოვდეს, რომ გრძნობები აუცილებლად ამოთქვას, გაახმოვანოს, თუნდაც პირად დღიურში ჩაინეროს ყველაფერი, რაც ანუხებს და რისი გაზიარებაც მისთვის მნიშვნელოვანია.**

განცდაც არავის მოსწონს, ამიტომ ყველა, დიდიც და პატარაც, სიამოვნებით დატოვებდა მას „დაკარგული ნივთების ყუთში“. მაგალითად, ხომ არ იძაბები, როდესაც გეფერებიან, თუნდაც ეს შენი მშობლები იყვნენ? – მიმართავენ ავტორები მოზარდებს, – მოფერება შენთვის კიდევ უფრო უსიამოვნო ხომ არ ხდება, როდესაც დედა შენი მეგობრების თვალწინ აკეთებს ამას? მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, პასუხი დადებითი იყოს, გულის სიღრმეში მაინც



გიყვარს მშობლის ჩახუტება და ხშირად ძალიანაც გაკლია მასთან ფიზიკური სიახლოვე. კიდევ იარსებებს რაღაც ოცნება, თუნდაც საყვირზე დაკვრა ან უცხო ენის შესწავლა, რომელიც ვერ აიხდინე, რადგან ბევრ დროსა და ძალისხმევას მოითხოვდა. ეს ყველაფერი ძალიან რთულია! შეგიძლია, შენი გრძნობები და მოთხოვნები უკანა პლანზე გადასწიო, მაგრამ, სამწუხაროდ, მიუხედავად ყოველგვარი მცდელობისა, მიჩქმალული გრძნობები მოგვიანებით ზედაპირზე ამოსვლას ცდილობენ და შესაძლოა პრობლემაც შექმნან. ექიმებისა და ფსიქოლოგების აზრით, ეს სწორედ იმის ბრალია, რომ თავის დროზე ახლანდელი ზრდასრულებიც ცდილობდნენ გრძნობების, მოთხოვნების დავიწყებას ან უარყოფას. როდესაც ადამიანები ასე იქცევიან, მათ ზუსტად აღარ იციან, ვინ არიან სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავს კარგავენ.

გიორგის უთანხმოება აქვს უფროს დასთან. ის ფიქრობს, რომ დედა მხოლოდ სალომეზე ზრუნავს. როდესაც და ტანვარჯიშზე მიდის, გიორგი შინ, პატარა მათესთან რჩება. სალომე სასკოლო სპექტაკლში მთავარ როლს ასრულებს, ამიტომ საოჯახო საქმეებში მშობლებს გიორგი ეხმარება. სალომე მუდამ უმაღლეს ქულა იღებს, გიორგი კი არც ისე კარგი მოსწავლეა. მშობლების მთელი ყურადღება სალომესკენ არის მიმართული. დედა ამჩნევს გიორგის დაძაბულობა და ეკითხება: „რა გემართება ბოლო დროს?“ „მგონია, რომ შენ სალომეს მეტი არავინ გაღელვებს. მშურს მისი“.

„შური ძალიან ცუდია. მით უფრო, საკუთარი დის არ უნდა გმურდეს!“ – ამუნათებს დედა გიორგის.

თუ გიორგი დაეთანხმება დედას, ეს ნიშნავს, რომ ის თავს შურიან და ბოლმინ ადამიანად ჩათვლის, რის გამოც, დიდი ალბათობით, მომავალში საკუთარი ემოციების დამალვას ეცდება. სინამდვილეში კი, – დარწმუნებულები არიან ავტორები, – ის, რასაც გიორგი განიცდის, დედის მხრიდან ყურადღების დეფიციტია. კარგი იქნებოდა, დედას გაეცნობიერებინა ეს, მაგრამ





ნშირად უფროსებიც ცდებიან სხვისი ემოციების შეფასებისას. გრძნობები არ შეიძლება იყოს სწორი ან არასწორი, ცუდი ან კარგი. გრძნობები ისეთია, როგორიც არის. და თუ ამას გააცნობიერებენ, ბავშვები და მოზარდები (და არა მხოლოდ ისინი) მათ ამოცნობასა და აღიარებასაც ისწავლიან. თუ ბავშვებსა და მოზარდებს ყურადღება აკლიათ, ეს არ ნიშნავს, რომ მათ ვინმესი შურთ. მაგრამ თუ მაინც შურთ, ესე იგი, შურთ და მორჩა. ვერავინ ვერავის აიძულებს, სხვა გრძნობა გაუჩნდეს, რადგან შენს გრძნობებში შენზე უკეთ ვერავინ გაერკვევა.

სალომესთვის ეს ყველაზე უარესი დღე იყო, რადგან საუკეთესო მეგობარი ნინი მთელი დღე ზედაც არ უყურებდა. მასწავლებლები უყურადღებობისა და გაფანტულობის გამო შენიშვნებს აძლევდნენ. ბიჭმა,

რომელიც მოსწონდა, გაიგო ეს ამბავი და მთელ სკოლას მოსდო. ამას ისიც დაემატა, რომ სრულიად გადაავიწყდა იმ საქველმოქმედო კლუბის შეკრებაზე დასწრება, რომლის პრეზიდენტიც თავად იყო. მამამ შეატყო შვილს უგუნებობა და მიზეზი ჰკითხა. „ძალიან, ძალიან მოწყენილი ვარ და ვნერვიულობ“. „უფ, კარგი რა, რა უნდა ჰქონდეს მოსაწყენი და სანერვიულო თორმეტი წლის გოგოს? ალბათ უბრალოდ დაიღალე“. სალომეს შეუძლია დაეთანხმოს მამას და თავის გრძნობებს არასწორი სახელი დაარქვას. ეს არჩევანი მომავალშიც აისახება მის ცხოვრებაზე, რადგან ყოველთვის, როცა მოიწყენს და განერვიულდება, გაიფიქრებს: „ეგ არაფერი, უბრალოდ დავიღალე“. შედეგად კი ვერ შეძლებს საკუთარ გრძნობებთან გამკლავებას, მათ მართვას.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ადამიანებმა ყოველთვის ყველაფერი უნდა იცოდნენ სხვის, თუნდაც შვილის გრძნობებისა და განცდების შესახებ, – განმარტავენ ავტორები, – მოზარდა და ბავშვსაც აქვს უფლება, მოუსმინოს საკუთარ თავს და მიხვდეს, სჭირდება თუ არა დახმარება, უნდა გაუზიაროს თუ არა ინფორმაცია, მაგალითად, ნათესავებს, მეგობრებს ან მასწავლებლებს. მთავარია, ახსოვდეს, რომ გრძნობები აუცილებლად ამოთქვას, გაანმოვანოს, თუნდაც პირად დღიურში ჩაიწეროს ყველაფერი, რაც აწუხებს და რისი გაზიარებაც მისთვის მნიშვნელოვანია.

წიგნის ავტორებს მიაჩნიათ, რომ აქ მოყვანილი მაგალითები, რომლებშიც სხვადასხვა გრძნობაზეა საუბარი, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ადამიანი ერთსა და იმავეს

განიცდის. მშობლებმა უნდა აუხსნან შვილებს ეს ყველაფერი. მოზარდებმა უნდა იცოდნენ, რომ არავის აქვს უფლება, წაართვას მათ გრძნობები. ისევე როგორც ვერავინ ვერავის შეაცვლევინებს გრძნობებს. ჩვენი გრძნობები მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის და ეს ძალიან კარგია.







თამარ გვეშიძე

# როცა მასწავლებელი აცდენს

**ხანდახან ყველა მასწავლებელი ხვდება, რომ ვერ გაუძლებს ვერც სკოლის კედლების თანაბარ, მონოტონურ გუგუნს, ვერც ათას გამომცდელ თვალს, ათობით შეკითხვას, კალმის წრიბინს... მხნეობას იკრებს, სკოლაში რეკავს და ამბობს, მაღალი სიცხე მაქვს, ვერ მოვალო. შესაძლოა, არც ახსოვდეს, რატომ გრძნობს თავს მოდიანოს მესხიერებადაკარგული პერსონაჟით, მაგრამ ზუსტად იცის, რომ ხანდახან ცუდად ყოფნაც შეუძლია.**

რა შეიძლება იყოს უფრო სევდიანი, ვიდრე გადაღლილი მასწავლებლის ცარიელი დილა, დასივებული თვალები და სრული უმწეობის განცდა, ბალიშიდან თავის აწევა, მალვიძარას გამორთვაც რომ არ შეუძლია?! ხანდახან ყველა მასწავლებელი ხვდება, რომ ვერ გაუძლებს ვერც სკოლის კედლების თანაბარ, მონოტონურ გუგუნს, ვერც ათას გამომცდელ თვალს, ათობით შეკითხვას, კალმის წრიბინს... მხნეობას იკრებს, სკოლაში რეკავს და ამბობს, მაღალი სიცხე მაქვს, ვერ მოვალო. შესაძლოა, არც ახსოვდეს, რატომ გრძნობს თავს მოდიანოს მესხიერებადაკარგული პერსონაჟით, მაგრამ ზუსტად იცის, რომ ხანდახან ცუდად ყოფნაც შეუძლია.

შემოდგომის მიწურული, თბილი, მზიანი დღე არ მოასვენებს და გარეთ გაიხმობს. სახლიდან გასვლისას, ყოველი შემთხვევისთვის, ქუდსაც დაიხურავს – რომ ვერ იცნონ, თუ ქუჩაში ნაცნობს გადაეყარა. ნაცნობი კი იმდენი ჰყავს, სხვები მთელი ცხოვრება რომ ვერ შეიძენენ. თანაც მათი რაოდენობა ყოველ წელიწადს 100-150-ით იმატებს. მათ ის არასდროს დაავიწყდებათ, რადგან მათი მასწავლებელია.

ზოგი ადამიანი ქუჩაში მთელი დღე ისე იხტი-ალებს, არავის მიესალმება, ის კი დღეში ათობით „გამარჯობას“ ამბობს, მათაც ესალმება, ვისაც ყოველდღე ხვდება და მათაც, ვინც წლებია არ უნახავს. სხვები შეხვედრებს მხოლოდ სამსახურში მართავენ, მისი შეხვედრები კი სამსახურის გარეთაც გრძელდება – ქუჩებში, მაღაზიებში, მატარებელში, სარეკრეაციო ზონებსა და კაფეებში. ღამის საათებშიც კი, როცა ბავშვებსა და მოზარდებს, წესით, უნდა ეძინოთ, თვალებს აცეცებს და ამოწმებს, ხომ არ მისწვდა ვინმეს მახვილი მზერა და ხომ არავინ შეამჩნია მისი მუხლებზე გადაქექილი ჯინსი. მოკლედ, მისი

ანგარიშით, ოც წელიწადში დაახლოებით 15 ათას ადამიანს ეცნობა. მათგან 10 ათასი მაინც მიესალმება შეხვედრისას. დანარჩენი სხვადასხვა მიზეზით თვალს აარიდებს (მაგალითად, იმიტომ, რომ ოდესღაც მასთან დაბალი ქულა მიიღო და გულში ჩაიტოვა, ან მშობელთან ერთადაა და შეხვედრა აფრთხობს, ან უბრალოდ გულზე არ ენატება). თავისუფლად გაეჯიბრება რომელიმე პატარა თეატრის მსახიობს, რომელსაც მაყურებელი ფილმებში - ვერა, მაგრამ სცენაზე ხედავს ყოველ შაბათ საღამოს, ოც საათზე.

სად შეიძლება წახვიდე მაშინ, როცა არავისთან შეხვედრა არ გასურს, მაგრამ გინდა, საკუთარ თავს ასიაშოვნო, დაისვენო და გალალდე? ალბათ, ისევ წყლის პირას. ასეთ დროს ლისის ტბა საუკეთესო ნავსაყუდელია. ვის არ უყვარს ლისის ტბაზე შემოდგომის ეს დრო?! ჯერ არც ისე ცივა, რომ თბილ ტანსაცმელში შეიყუყო, მაგრამ აღარც ზაფხულის სითბოა, ქარიც ხშირად გახსნებს თავს, უზარმაზარი ხეები კი შრიალებენ და შრიალებენ.

მთავარი ბილიკიდან გადაუხვევს და ტყეში შევა. „ტყეს“ ეძახის, თორემ იქვე პატარა მაგიდები ჩაუდგამთ. იმ მაგიდასთან ჩამოჯდება და ჩაის შეუკვეთავს პოეტი რომ ყოფილიყო, აუცილებლად დაწერდა ლექსს იმაზე, როგორ მოქმედებს ადამიანზე ფოთლების შრიალი, როგორ ეხმიანება მის განწყობას, მის შინაგან მუსიკას... მაგრამ პოეტი არ არის, უბრალოდ, მასწავლებელია.

– მააას?!

შეკრთა, თვალები დაჭყიტა. თავზე მოსწავლე წამოსდგომოდა.

– მას, როგორ ხართ?

**რა შეიძლება იყოს უფრო სევდიანი, ვიდრე გადაღლილი მასწავლებლის ცარიელი დილა, დასივებული თვალები და სრული უმწეობის განცდა, ბალიშიდან თავის აწევა, მალვიდარას გამორთვაც რომ არ შეუძლია?!**

– კარგად, – ესლა ამოლერდა. ხომ იცოდა, რომ ასე მოხდებოდა, სახლიდან არ უნდა გამოსულიყო.

– მას, გვითხრეს, რომ მაღალი სიციხე გქონდათ და ძალიან ცუდად იყავით, – გაცემას ვერ მაღავეს გოგონა, – ნამდვილად კარგად ხართ? – ტყუილი რომ ეთქვა, რას ისწავლიდა მისგან ეს ამაყი, ძლიერი და დამოუკიდებელი გოგო?

– დილით ძალიან ცუდად ვიყავი და ეს სიციხის ბრალი არ ყოფილა, – გოგონას თვალები გაუფართოვდა, – მაგრამ ნამდვილად არ შემეძლო მოსვლა, – დაიჯერა, – ხანდახან ადამიანებს ასეთი რამ ემართებათ.

– აქ ხშირად ამოვდივარ ხოლმე, მიყვარს აქაურობა, – ამბობს გოგონა.

– მეც ძალიან მიყვარს და ხშირად ვსტუმრობ.

– ვერ წარმოვიდგენდი, რომ აქ სერიოზული...

– მეც ვერ წარმოვიდგენდი, – გაულიმა და იგრძნო, დაძაბულობის ნასახიც აღარ დარჩენილიყო მასში. ალბათ, ადამიანებს, თუნდაც მოსწავლეებს

სა და მასწავლებლებს, ერთმანეთთან იმაზე მეტი რამ აკავშირებთ, ვიდრე ჰგონიათ.

სევდა, დაღლილობა და უმწეობის განცდა მაშინვე სადღაც გაქრა. ერთმანეთს უყურებდნენ და უხაროდათ, რომ ამ მზიანმა დღემ შეახვედრა, ამ უჩვეულო გარემოში, ტბის პირას, მაღალი ხეების ქვეშ... უხაროდათ, რომ ერთმანეთს იცნობდნენ, რომ ის მასწავლებელი იყო, გოგონა კი – მისი მოსწავლე. რომ შეეძლო, მისთვის მაგალითი მიეცა, რაიმე კარგი, ღირებული ესწავლებინა (დიდი ხანია, შეამჩნია, რომ მასა და მოსწავლეებს შორის ყოველთვის მყარდებოდა უცნაური კავშირი. სულ ერთი-ორი კვირა სჭირდებოდათ ერთმანეთის შესაფასებლად და ამოსაცნობად, მერე კი უსიტყვოდ ესმოდათ, უთქმელად მეგობრობდნენ და პატივს სცემდნენ ერთმანეთს).

ძილის წინ, როცა ამ დიალოგს იხსენებდა, კიდეც უფრო რწმუნდებოდა საკუთარი სიტყვების სიმართლეში – მოსწავლეები და მასწავლებლები ერთმანეთს კარგად არ იცნობენ, თორემ უამრავი რამ აერთიანებთო.





თინათინ ზარდიაშვილი

# როგორია თქვენთვის კარგი სკოლა?

ინტერვიუ მოსწავლეებთან

**როგორც ყველა მოსწავლე, ისე მასწავლებლებიც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან. ზოგი მზად არის, მოუსმინოს ბავშვს, ზოგი – არა. ზოგი მასწავლებელი შედის მოსწავლის მდგომარეობაში, ზოგიც – არა. ვიცი, რთულია, ყველა მოსწავლე ერთნაირად დაინტერესო, თუმცა ცდად მაინც ღირს.**

ჩემი მოსწავლეობის დროინდელი ისტორიით დავიწყებ:

მეთერთმეტე კლასში ვიყავი, როცა ბიოლოგიის ოლიმპიადის მესამე ტურში ათი მაქსიმალური ქულიდან მხოლოდ სამი ავიღე. ძალიან შემრცხვა ჩემი ბიოლოგიის მასწავლებლის, რომელიც ორი წელი მიღებდა თავისი სახლის კარს და რომლის ოჯახის ყველა წევრი ამ ხნის განმავლობაში სითბოთი და სიხარულით სავესტავლებით მხვდებოდა. ალბათ მიხვდებით, როგორ მერიდებოდა მასწავლებელთან მისვლის ორი გაცვეთილი გავაცდინე, მესამეზე ძალით მივათრევედი თავს. ვერ წარმომედგინა, მისთვის თვალეში როგორ უნდა შემეხედა. ალბათ ეს სახეზეც მეტყობოდა. მივედი და მასწავლებელთან ერთად დამხვდა მისი მეუღლე, რომელმაც მითხრა: „რა განერვიულებს? არ არსებობს ცუდი მოსწავლე. არსებობს ცუდი მასწავლებელი (თუმცა ჩემი ყველა მასწავლებელი საუკეთესო გახლდათ). ალბათ კარგად ვერ გასწავლა და შენც ვერ დაწერე“. იმ წუთებში ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ არსებობდა. გავთავისუფლდი სინდისის ქენჯნისგან, დავიჯერე, რომ ყველაფერი მასწავლებლის ბრალი იყო.

უკვე თექვსმეტი წელია, მასწავლებელი ვარ და ეს სიტყვები დღეში იმდენჯერ მახსენდება, რამდენჯერაც ჩემს მოსწავლეს რაღაც არ გამოუვა. ამ დროს ყურში ჩამესმის: „არ არსებობს ცუდი მოსწავლე“ და მეც, მოსწავლისთვის შენიშვნის მიცემისა თუ საყვედურის თქმის ნაცვლად, იმაზე ვიწყებ ფიქრს, რა ვერ გავაკეთე სწორად, რა შეეცვალაო. ეს პროფესიულ და პიროვნულ ზრდაში მესმარება.

ახალგაზრდების მოსმენა რომ ძალიან მნიშვნელოვანია, უდავოა. სწორად ვთხოვ მათ ჩემი შრომის შეფასებას. ზოგი თამამად გამოთქვამს აზრს, ზოგი თავს იკავებს. ამ სტატიის მომზადებისას მოსწავლეებს რამდენიმე კითხვა დავუსვი და მიწადა, მათი ნაზრევი თქვენამდე მოვიტანო (მათი ანონიმუზად დარჩენა არჩიეს).

## 1. როგორი ნარმოგედგინა სკოლა აპ მოსვლაგდე?

მეგონა, თანატოლებთან ურთიერთობის დამყარება გამიჭირდებოდა, რადგან, მათგან განსხვავებით, სკოლის მიმართ სერიოზული დამოკიდებულება მქონდა,

სათამაშო სივრცედ არ წარმომედგინა. **1** სკოლის შესახებ გარკვეული წარმოდგენა ბალშივე შემიქმნეს, ამიტომ რამე განსაკუთრებული მოლოდინი არ მქონია. **2** ეს თერთმეტი წლის წინ იყო, ალარც კი მახსოვს.

## 2. გამართლდა მოლოდინი?

**3** გამართლდა, მაგრამ განსხვავებულობა შევინარჩუნე. **4** უფრო რთული მეგონა, ვიდრე იყო, პირველი რამდენიმე კლასი მაინც. უფრო მზიარული აღმოჩნდა, თუმცა ჩემს შემთხვევაში პირველი დღეებიც განსხვავებული იყო და მრავალი უსიამოვნებით სავსე. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ნაწილობრივ გამართლდა.

## 3. სკოლის როგორი მოდელია შენთვის იდეალური?

**5** სკოლა, სადაც მასწავლებელი და მოსწავლე ითანამშრომლებენ; სადაც მასწავლებელი მყვირალა პერსონა არ იქნება. **6** ჩემი აზრით, ის საკითხები, რომელთა ცოდნაც ყველასთვის აუცილებელია,



გარკვეული დროით სკოლაში უნდა ისწავლებოდეს, საშუალო საფეხურზე კი უნდა ისწავლებოდეს არჩევითი საგნები. დიდი ყურადღება უნდა ექცეოდეს დისციპლინას. სასწავლო გარემო ყველა მოსწავლისთვის ერთნაირად სახალისო უნდა იყოს.

ჩემი აზრით, მოსწავლისთვის ამ კითხვის დასმა ცოტა აბსურდულია, რადგან ყველას პასუხი საკუთარ „მეზეა“ მორგებული.

რამ არის დასაწერგი. სკოლა უნდა იყოს ადგილი, სადაც თითოეული ადამიანი საკუთარი ინტერესების მიხედვით განვითარებას შეძლებს.

**4. როგორია შენს წარმოდგენაში კარგი მასწავლებელი?**

ეს არის მასწავლებელი, რომელიც ვითარდება და

მიუდგეს, კარგი ურთიერთობა დაამყაროს მათთან. კარგი მასწავლებელი აუცილებლად უნდა იყოს პროფესიონალი. საგნის კარგ ცოდნასთან ერთად, აუცილებელია, იცოდეს ბავშვის ფსიქოლოგია და მასთან სწორი ურთიერთობის დამყარება შეეძლოს. ითვალისწინებდეს ბავშვების აზრს და მათთან ერთად იღებდეს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. ღია უნდა იყოს ახალი შეთავაზებებისთვის და მუდმივად ცდილობდეს განვითარებას. ყველაფრის მცოდნედ და უშეცდომოდ არ მიაჩნდეს თავი, რადგან უშეცდომო არავინაა. რაც მთავარია, უნდა შეეძლოს უსაფრთხო



თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ თითოეულს არ უნდა ჰქონდეს საშუალება, თავისი პოტენციალის რეალიზება მოახდინოს. აუცილებელია, ძირითად საგნებთან ერთად იყოს დამატებითი წრეები და კლუბებიც, რომლებზეც ბევრ მოსწავლეს მიუწვდება ხელი. არაფორმალური განათლების ძირი ბევრი

ერთ დროს უკვე მიღებული, ფიქსირებული ცოდნით არ შემოიფარგლება.

კარგი მასწავლებელი ჩემთვის, პირველ რიგში, განათლებული ადამიანია. როგორც პიროვნება, ის უნდა იყოს გამგები და ტოლერანტი. იმავდროულად, შეეძლოს, ყველა მოსწავლეს თავისებურად

გარემოს შექმნა თითოეული მოსწავლისთვის, რათა მათ საკუთარი აზრის თამამად გამოხატვა შეეძლოს.

**5. რას ურჩევდი შენს მასწავლებლებს?**

არ განასხვავონ ბავშვები აკადემიური მოსწავლის მიხედვით, არ იყენენ ტოქ-

**ბევრი მასწავლებელი ცდილობს, რუტინული გაკვეთილები უფრო საინტერესო გახადოს და მიუხედავად იმისა, რომ კომფორტის ზონიდან გამოვყავარ, ამ იდეებს მაინც მივესალმები.**

სიკურები მოსწავლეებთან ურთიერთობაში.

ვურჩევდი, სწორად შესულიყვნენ მოსწავლის მდგომარეობაში. სკოლა, ჩემი აზრით, არ არის ადგილი, სადაც მხოლოდ მატერიალური განათლება უნდა მიიღონ, ბავშვის აღზრდა ჯერ ოჯახში და შემდეგ სკოლაში ხდება.

როგორც ყველა მოსწავლე, ისე მასწავლებლებიც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან. ზოგი მზად არის, მოუსმინოს ბავშვს, ზოგი – არა. ზოგი მასწავლებელი შედის მოსწავლის მდგომარეობაში, ზოგიც – არა. ვიცი, რთულია, ყველა მოსწავლე ერთნაირად დააინტერესო, თუმცა ცდად მაინც ღირს. ჩემი ბევრი მასწავლებელი ცდილობს, რუტინული გაკვეთილები უფრო საინტერესო გახადოს და მიუხედავად იმისა, რომ კომფორტის ზონიდან გამოვყავარ, ამ იდეებს მაინც მივესალმები. ჩემი რჩევა იქნება, ეცადონ, მოსწავლეები ერთმანეთს არ შეადარონ. რთულია, მაგრამ ინდივიდუალური უკუკავშირი აუცილებელია, რათა მოსწავლემ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე გაამახვილოს ყურადღება და არა ზოგადზე.

**6. სწავლების რომელ მოდელს ანიჭებ უპირატესობას – დისტანციურს თუ პირისპირ სწავლებას? რატომ?**

ადრეული ასაკის მოსწავლეებისთვის, ვფიქ-

რობ, საკლასო სივრცეში სწავლება ჯობია, რადგან ამ ასაკში მოსწავლემ სწავლის, წესრიგის ჩვენა უნდა გამოიმუშაოს, ხოლო მაღალი კლასის მოსწავლეებისთვის ონლაინსწავლებას ვამჯობინებ.

პირადად მე დისტანციური სწავლება მომწონს, რადგან უფრო მეტი თავისუფალი დრო მაქვს და ვფიქრობ, სწავლის ხარისხიც უფრო მაღალია.

პირისპირ სწავლებას ვამჯობინებდი, რადგან გარემო უფრო ოფიციალურია და კონცენტრირებაში მეხმარება. გარდა ამისა, ცოცხალი ურთიერთობები უფრო მიზიდავს. თუმცა ამჯერად დისტანციურ სწავლებაზე ვარ. სუბიექტური მიზეზების გამო ეს მოდელი ავირჩიე. ისეთ მოსწავლეებთან ვარ, სადაც კონკურენტული გარემოა და სხვადასხვა უნარის განვითარებისთვის კლასგარეშე აქტივობებს მეტ დროს ვუთმობ. თუ მოსწავლეს აქვს რესურსი და მონდომება, ჩემი აზრით, ორივე მოდელის ფარგლებში შეძლებს სწავლას.

**7. როგორ გეხმარება თანამედროვე ქართული სკოლა მოქალაქედ ჩამოყალიბებაში?**

ვფიქრობ, ნაწილობრივ მეხმარება, რადგან დროს უმეტესი ნაწილი შემავალი მებლებში გადის. თეორიული ცოდნის შემოწმება კარგია, მაგრამ ძალიან

დაბალ დონეზეა პრაქტიკული სამუშაოები.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი რამ დასახვეწია, მოქალაქედ ჩვენს ჩამოყალიბებაში სკოლები გადამწყვეტ როლს თამაშობს.

ჩემი აზრით, არ ეხმარება. დიან, შესაძლოა ცოდნას აწვდიდეს კონკრეტული საკითხების შესახებ, რაც ხშირად საერთოდაც არ არის აუცილებელი, მაგრამ აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებას ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება სჭირდება. აქ არ ვგულისხმობ ვგუფურ სამუშაოებს, როცა მხოლოდ ორი მოსწავლე აკეთებს დავალებას, ან კონკურსებს, სადაც ბავშვებს მათი სურვილის მიუხედავად წერენ. იგულისხმება აქტივობები, რომლებიც სწორედ მოსწავლეების სურვილის საფუძველზე იქმნება და მათში მონაწილეობის სურვილი და მოტივაცია უფრო მაღალია.





გურამ მეგრელიშვილი

# შეცდომის უფლება

ჩემმა მეგობარმა ოთარ მუზაშვილმა იცის ხოლმე თქმა: მშობლის მთავარი მოვალეობაა, შვილს ყოველგვარ სიტუაციაში გვერდით დაუდგეს და გაამხნეოსო.

მინდა, ამის თაობაზე ჩემი ნაფიქრი გაგიზიაროთ.

შარშან ჩემმა 9 წლის შვილმა მათემ სკოლის წიგნები დაკარგა. ვილაყას უთქვამს, ამის გამო დირექტორთან დაგიბარებენ, შენს მშობლებს ჯარიმას გადაახდევინებენ და დიდი აურზაური ატყდებაო.

ბავშვი ძალიან ნერვიულობდა, განიცდიდა, ვერ იხსენებდა, ბოლოს სად ამოალაგა წიგნები და ორშაბათის დადგომას ელოდებოდა, რომ საკლასო ოთახში მოეძებნა.

მთელი პარასკევი საღამო, შაბათი და კვირა უხალისოდ უყურებდა მულტფილმებს, თამაშობდა და გველაპარაკებოდა.

მივხვდი, რომ გადაჭარბებული პასუხისმგებლობის გრძობა მის პატარა სხეულს და გონებას უკიდურესად ტანჯავდა და რომ ეს ჩემი, მშობლის მიერ რომელიღაც მომენტში ნებით თუ უნებურად დაშვებული შეცდომის შედეგი იყო.

შვილების შეცდომებზე რეაგირება მნიშვნელოვანი უნარია, რომელიც მშობელს ზრდის როგორც პიროვნებას. შვილთან მიმართებით ბუნება ხანდახან ერთგვარ გამოცდას გვიწყობს და ამით გვაჩვენებს, რომ რაღაც ზადი გვაქვს, სადღაც გვიჭირს სრულყოფილების გზაზე და შველა გვჭირდება.

ეს გამოცდა ხანდახან უკიდურესად რთულ პერიპეტეებს მოიცავს (მაგალითად, ჰომოფობი

მშობლის შვილი ჰომოსექსუალი აღმოჩნდება) და ადრეულ ასაკში შვილთან დაშვებული უმცირესი შეცდომაც კი ზრდასრულობისას მნიშვნელოვან ჯაჭვურ რეაქციას იწვევს.

როგორ ვიქცევით, როდესაც ჩვენს შვილს თანატოლი სცემს, ან გამოცდაზე ჩაიჭრება, ან ფეხბურთის ჩემპიონატზე მისი კლუბი სამარცხვინოდ წააგებს, ან ჩვენი პატარა ონავარი ძვირფას ნივთს დაგვიღებენ?

მშობლის პასუხი თითოეულ მომენტზე უაღრესად მნიშვნელოვანია და ამ ფაქტორმა, როგორც უკვე ვთქვი, შეიძლება მომავალი თაობის ხასიათი, ქცევა, არჩევანი და ცხოვრებისადმი დამოკიდებულება განსაზღვროს, რადგან ადამიანის სიცოცხლე ხანმოკლეა, მაგრამ საკმაოდ გრძელი, რათა ის კიდევ ბევრჯერ სცემონ (პირდაპირი ან ირიბი მნიშვნელობით), ჩაიჭრას გამოცდაზე, წააგოს შეჯიბრება (თუნდაც სასიყვარულო) და კიდევ გააფუჭოს რაღაც.

სწორედ ის, თუ როგორ ედგა ასეთ წუთებში მშობელი გვერდით, განსაზღვრავს არჩევანს, რომელსაც ადამიანი პრობლემასთან შეჯახებისას გააყვებებს.

ვილაც შვილს ეტყვის, რომ ის გენიოსია და გამომცდელები იყვნენ უტივინოები, ვილაც მსაჯის მიკერძოებულობაზე იწუწუნებს, ვილაც განრისხდება, ჩემს შვილს ცემა როგორ გაუბედესო, ხელს მოჰკიდებს ბავშვს და მის თანატოლებთან საქმის გასარჩევად გავარდება. იქნებთან ისეთებიც, შვილებთან კონკრეტული ამბის დეტალურად განხილვას რომ არ დაიზარებენ.

მთავარია, გვანსოვდეს: როგორც უნდა მოვიქცეთ, ჩვენი რეაქცია აუცილებლად აისახება ბავშვის ფსიქიკაზე.

**შვილების შეცდომებზე რეაგირება მნიშვნელოვანი უნარია, რომელიც მშობელს ზრდის, როგორც პიროვნებას. შვილთან მიმართებით ბუნება ხანდახან ერთგვარ გამოცდას გვიწყობს და ასე გვაჩვენებს, რომ რაღაც ზადი გვაქვს, სადღაც გვიჭირს სრულყოფილების გზაზე და შველა გვჭირდება.**



სტენფორდის უნივერსიტეტის მკვლევრები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მშობლები, რომლებიც შვილებისგან ბევრს მოითხოვენ და მათ წარუმატებლობას რისხვით, წუხილით ან პრობლემისთვის თვალის არიდებით ხვდებიან, ბავშვებს დაბალი თვითშეფასებისთვის წირავენ, რაც მათ შემდგომ ცხოვრებაზე ტრაგიკულად აისახება.

მშობლებს და ალბათ მასწავლებლებსაც უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის შეცდომა და მარცხი მის ინტელექტსა და შესაძლებლობებთან კავშირში არ არის. შეიძლება, უკიდურესად ნიჭიერმა მოჭადრაკემ თავისზე სუსტ მეტოქესთან სულელურად წააგოს და ეს ტრაგედია არ არის; ბრწყინვალე პიანისტმა დასკვნით კონცერტზე მღელვარების გამო მიუტევებელი შეცდომები დაუშვას და არც ამით დაიქცევა ქვეყანა.

როგორ მოვიქცეთ, თუ ჩვენმა შვილმა წაიბორძიკა?



- ა. **დააკვირდით, როგორ რეაგირებს ბავშვი წარუმატებლობაზე.** თუ ის გულგრილია ან ყველაფრის მიმართ, შესაძლოა, ეს უკიდურესად დაბალი თვითშეფასების ან ფრუსტრაციის შედეგი იყოს. თუ ძალიან ბრაზობს და განიცდის, დეტალურად განიხილეთ მასთან ერთად, სად დაუშვა შეცდომა, დაგეგმეთ მომდევნო ცდა შედეგის გასაუმჯობესებლად.
- ბ. **ნუ ჩაიციკლებით მარცხზე, იფიქრეთ გამარჯვებაზე.** შეცდომების აღმოჩენა მნიშვნელოვანია, მაგრამ მომდევნო ცდაზე იმავე შეცდომაზე ფიქრი მხოლოდ ჭაობია. წაგებულ საჭადრაკო პარტიაში იმავე სვლის მოლოდინი და მის გადალახვაზე ფიქრი ისევე წაგებაა. დაშვებული შეცდომა გამოცდილებად უნდა იქცეს. გაამხნევეთ შვილი და უთხარით, რომ გამარჯვებაზე იფიქროს; თუ არ გამოუვა, კიდევ სცადის.
- გ. **პროცესი უფრო საინტერესოა, ვიდრე შედეგი.** ამ აზრს ბევრი კრიტიკოსი ჰყავს. მათ მიაჩნიათ, რომ შედეგია მთავარი და არა პროცესი, რასაც არ ვეთანხმები. თუ პროცესი სიამოვნებას არ გვანიჭებს, არც შედეგი ივარგებს.
- დ. **სწორად გაამხნევეთ.** ხშირად ბავშვს გამხნეების ნაცვლად ვიბრალუბთ: „ნუ გეშინია, ჩემო კარგო, მამიკო შენთანაა!“; „როგორ ვწუხვარ, რომ ამჯერად ვერ გაიმარჯვე!“; „შენი ბრალია, უაზრო შეცდომის გამო წააგე!“ – თუ ამ სამ ფრაზას შორის მართებულ ვარიანტს იპოვით, ესე იგი, სწორ გზაზე დგახართ.
- ე. **აუხსენით შვილს, რომ მის წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე არ არის დამოკიდებული, როგორი პიროვნებაა.** მოუყევით ცოცხალ მაგალითებს ისტორიიდან და გაამხნევეთ (მაგალითად, მე ვუყვები ხოლმე მოსწავლეებს, რა სამარცხვინოდ გაიქცა ჩინგიზ ყაენი კარვიდან და მიატოვა ცოლი, მერე კი გააანალიზა საკუთარი საქციელი, სწორი დასკვნები გამოიტანა და ნახევარი დედამიწა დაიპყრო). აუხსენით, რომ ადამიანის ცხოვრება ცდებისა და შეცდომების კასკადია და ნუ შეურიდებდებიან თავიანთ შეცდომებს, მაგრამ ნურც სიცოცხლეს შესწირავენ.
- ვ. **Helicopter Parenting.** არსებობს ასეთი ცნება ალბრდის ფსიქოლოგიაში. ვითომდა



**მშობლებს და ალბათ მასწავლებლებსაც უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის შეცდომა და მარცხი მის ინტელექტსა და შესაძლებლობებთან კავშირში არ არის.**

შვილის დახმარების მიზნით მისი გასაკეთებლის კეთებას ნიშნავს. ჩემს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ნაწერის გასწორებისას მიგრძნია შვილის გვერდით მჯდომი მშობლის სუნთქვა, ბავშვს რომ კარნახობს, რა და როგორ დაწეროს. ეს არასწორია. თქვენ უნდა დაეხმაროთ მოზარდს, თავად იპოვოს გამოსავალი, მაგრამ აუცილებლად უნდა დაუგეთ გვერდით ამ გზის ძიებისას.

**ბ. ხშირად უთხარით შვილს, რომ რაც უნდა მოხდეს მის ცხოვრებაში, თქვენ ის ყოველთვის გეყვარებათ.** ბევრი იფიქრებს, ეს დანაშაულისა და უპასუხისმგებლობის წახალისება იქნებაო. არა. დამნაშავე დასჯის შიშითაც გახდება დამნაშავე. აჩვენეთ, რომ თქვენი, მშობლის სიყვარული ღვთიური სიყვარულივით დიადა. მიეცით იმედი, რომ თუ წაიქცა, ერთი ადამიანი მაინც იარსებებს, ვინც მას გულში ჩაიკრავს და გვერდით დაუდგება.



კვირა საღამოს დეტალურად ავუხსენი შვილს, რა შეიძლება მოჰყოლოდა წიგნების დაკარგვას. მდგომარეობა გამოუვალი არ ყოფილა. ჯარიმის გადახდაც კი არ აქცევდა ჩვენს ცხოვრებას ტრაგედიადა და სულ რომ სკოლიდან გაერიცხათ ამის გამო, არც ეს იქნებოდა ცხოვრების დასასრული.

ვისაუბრეთ იმაზეც, რომ ეს წიგნები სახელმწიფოს საკუთრებაა, რომ მათ მოფრთხილება სჭირდება, რათა მომდევნო კლასმაც ისარგებლოს.

„არ ღირს ასე ნერვიულობა, შვილო. ადამიანს აქვს შეცდომის უფლება. ჩვენ არ ვართ რობოტები. მეტიც, რობოტიც კი უშვებს შეცდომას. შეცდომა ხშირად გვზრდის, ძალას გვმატებს. ნუ შეგეშინდება შეცდომის, მაგრამ ეცადე, იშვიათად შეცდე“.

აი, რა ვუთხარი ჩემს შვილს.

დაკარგული წიგნები კი მეორე დღეს საკლასო ოთახში ვიპოვეთ.





რუსუდან რუხაძე

# 313-ე ოთახი

**ინტერნეტი მეტ ცოდნას გაძლევს, მაგრამ ის ვერ გაქცევს ჭკვიან ადამიანად. ინტერნეტმა შეიძლება ზღვა ინფორმაციაზე მოგცეს წვდომა, მაგრამ ვერასდროს გეტყვის, მშობელთა კრებაზე რა თქვა.**

ჰატი სტაინბერგი მინეაპოლისის ერთ-ერთ უმაღლეს სკოლაში ჟურნალისტიკის მასწავლებლად მუშაობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ „ნიუ-იორკ ტაიმის“ საერთაშორისო პოლიტიკის მიმომხილველმა, პულიცერის პრემიის სამგზის ლაურეატმა ტომას ფრიდმენმა საყვარელ მასწავლებელს სტატია მიუძღვნა და გაიხსენა, რომ სტაინბერგი თავის მოსწავლეებს არა მხოლოდ ჟურნალისტიკის საფუძვლებს და გამართულად წერას, არამედ ყველაზე მნიშვნელოვანს - პროფესიულ ეთიკასა და საქმის უზადოდ შესრულებას ასწავლიდა.

სკოლის დამთავრებიდან ოთხი ათეული წლის შემდეგ ფრიდმენის მოგონებები კვლავ ჰატის პორტრეტს, მის დაუფიქრებელ გაცვეთილებს და იმ საკლასო ოთახს უტრიალებს, სადაც „ნიუ-იორკ ტაიმის“ პირველად წაიკითხა. 2001 წლის 9 იანვარს გამოქვეყნებული წერილის ბოლოს ის წარსულს აწმყოს უკავშირებს და გადასხვაფერებულ სამყაროში ბრძენი ადამიანებისა თუ ძირეული საკითხების მივიწყების მთავარ მიზეზად ციფრულ გლობალიზაციას მიიჩნევს. „ინტერნეტი მეტ ცოდნას გაძლევს, მაგრამ ის ვერ გაქცევს ჭკვიან ადამიანად.

ინტერნეტმა შეიძლება ზღვა ინფორმაციაზე მოგცეს წვდომა, მაგრამ ვერასდროს გეტყვის, მშობელთა კრებაზე რა თქვა. ფუნდამენტური საკითხების ჩამოტვირთვა შეუძლებელია. ისინი შეგიძლია მხოლოდ ატივით, ოღონდ ძველმოდურად, სათითაოდ, ისეთ სივრცეში, როგორც, მაგალითად, სენტ-ლუის-პარკის უმაღლესი სკოლის 313-ე ოთახია“.

ჩემი სკოლის მეოთხე სართულზეც იყო ერთი ასეთი კაბინეტი. კიბიდან მარცხნივ და მერე კიდევ მარცხნივ, ნავთისა და ნახერხის სუნით გაჟღერებული კორიდორს ერთ უსახურ საკლასო ოთახამდე მივყავდით. მის კედლებზე არც ქართველი მწერლების ფოტოები ეკიდა და არც მათი ფრაზები იყო გამოკრული, მაგრამ იმ ოთახზე მიზიდველი სივრცე მაშინ ჩემთვის არ არსებობდა. ლიკა კაჭარავა 55-ე საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის ყველაზე ახალგაზრდა მასწავლებელი გახლდათ. არ ვიცი, რა იყო მისთვის სკოლაში სწავლების მთავარი უინი და ამოცანა, მაგრამ ცხადია, სიტყვის, ფრაზის, ენისადმი ჩემი დამოკიდებულება სამუდამოდ სწორედ მაშინ შეიცვალა. ლიკას გაცვეთილი უინტერესო არასოდეს ყოფილა: მასთან

ერთად გკითხულობდით „ვეფხისტყაოსანს“ და სახარებას, ვსაუბრობდით ლმერთის სიკვდილზე ფილოსოფიასა და ლიტერატურაში, ქვეტექსტებსა და ალუზიებზე, დრამატურგიასა და ფერწერაზე. ყოველთვის მოუთმენლად ველოდი, „მეთავე სართულის“ მხატვრებსა და თავის ძმებზე, კარლოზე როდის წამოიწყებდა ლაპარაკს. იმას მაშინვე ვხვდებოდი, რომ ქართულის გაცვეთილზე მხატვრების ხსენება სულაც არ იყო თემიდან გადახვევა, მაგრამ ის კი მოგვიანებით გავაცნობიერე, რომ სახვით ხელოვნებაში ტექსტის ძიებამ და ამოკითხვამ პირველად სწორედ იმ პერიოდში გამიტაცა. თანაკლასელებისგან განსხვავებით, ლიკასთან სასაუბროდ და საურთიერთობოდ დამატებითი დროც მქონდა – ჩემი გაურკვეველი კალიგრაფიის გამო გაცვეთილების მერეც ხშირად დავრჩენილვარ, საკონტროლოსთვის დაწერილი თხზულება ხმამაღლა რომ წამეკითხა და, ლიკას რჩევით, კიდევ ერთხელ დავფიქრებულყავი, სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ფილოლოგიის ფაკულტეტზე ხომ არ გამეგრძელებინა.

ასე არ მოხდა...  
ორიოდე წლის შემდეგ, ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტ-



მა, კიდევ ერთი 313-ე ოთახი აღმოვაჩინე. დევის ბეჭვია ჩემს მეზობლად, მეორე სადარბაზოში ცხოვრობდა და წიგნების სათხოვნელად ხშირად ვსტუმრობდი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სახლშიც ბევრი წიგნი იყო, მათ შორის სამეცნიერო ლიტერატურას იშვიათად იპოვიდით. ძია დევისის ბინა ჩემთვის უცხო არ ყოფილა, რადგან მთელი ბავშვობა მის ქალიშვილებთან ვმეგობრობდი. ბეჭვიაების ოჯახში თავმეყრილები, თითქმის ყველა ოთახში ვთამაშობდით, გარდა წიგნის თარობით დახუნძლული კაბინეტისა. გავიდა წლები და ისე მოხდა, რომ დევისი და მე დავმეგობრდით და მათთან სტუმრობისას ჩემთვის ნაცნობი არცერთი ოთახის კარი აღარ შემიღია, ზღურბლზე გადაბი-

ჯებისთანავე მისი კაბინეტისკენ გავემართებოდი ხოლმე. ვიცოდი, მელოდა და დაპირებული წიგნიც უკვე თაროდან ჰქონდა გადმოღებული. პირველი, რასაც აუცილებლად შევაგლეხე თვალს, ჩემი საყვარელი რიგის ქურჩა იყო წაბლის ხეებით, რომელიც მისი სარკმლიდან მოჩანდა. შემდეგ ხელნაწერი ფურცლების უზარმაზარი დასტისკენ გავაპარებდი მზერას, საწერი მაგიდის მარჯვენა მხარეს მოწესრიგებული რომ ელაგა. წიგნს გამომიწოდებდა და სავარძელზე მანიშნებდა, დაჯექი, მომიყევი, შენკენ რა ხდებო. ჯერ ლექტორების ამბებს გამოვკითხავდი, რა ზნის ხალხია, გამოცდებზე ძალიან ხომ არ გაგვაწამებენ-მეთქი. ძია დევისი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიას

ასწავლიდა და ჩემს ლექტორებსაც კარგად იცნობდა, თუმცა არ მახსოვს, ვინმეზე აუფი ეთქვას. როგორც წესი, მასთან დიდხანს შევრჩებოდი ხოლმე და ათას რამეზე ვსაუბრობდით. არასოდეს გამჩენია განცდა, რომ საქმეს მოვაცდინე, ყოველთვის გულთბილად მმასპინძლობდა და ყურადღებით მისმენდა. განსაკუთრებით საქმისადმი მისი დამოკიდებულება და ფურცელთან ურთიერთობა მზიბლავდა. საწერ მაგიდასთან ყოველთვის კოსტიუმით იჯდა, მაგრამ არა საგარეო სამოსით, არამედ საშინაო, ძველი და შეამზანაგებული პიჯაკით. ალბათ სწორედ იმ ოთახში მითქვამს ყველაზე ხშირად, რომ არჩეული პროფესიით ბედნიერი ვიყავი და ძალიან მინდოდა, მეცნიერი გამოვსულიყავი.



**ფუნდამენტური  
საკითხების  
ჩამოტვირთვა  
შეუძლებელია. ისინი  
შეგიძლია მხოლოდ  
ატვირთო, ოღონდ  
ძველმოდურად,  
სათითაოდ, ისეთ  
სივრცეში, როგორიც,  
მაგალითად,  
სენტ-ლუის-პარკის  
უმაღლესი სკოლის  
313-ე ოთახია.**



არც ასე მოხდა...

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, რამდენიმე თვეში, „დილის გაზეთში“ კულტურის განყოფილების კორესპონდენტად დავეიწყე მუშაობა. ჩემი პირველი რედაქტორი თემურ მეტრეველი იყო, რომლის სახელს და გვარს „ბატონს“ დიდი ხანია აღარ ვურთავ. ერთხელ თათბირზე მკაცრად გაგვაფრთხილა, აღარ დავინახო სტატიებში გარდაცვლილები ბატონობით მოიხსენიოთ, ბატონყმობა ჩვენი მოგონილია, თორემ იმქვეყნად ყველა ერთიაო. თემურ მეტრეველმა 90-იან წლებში რამდენიმე გაზეთი დააფუძნა და მის მიერ შექმნილ ყველა რედაქციაში არა მხოლოდ მრავლად იყვნენ ახალგაზრდა უურნალისტები, არამედ მათ ყოველთვის გულისყურით უსმენდნენ, ენდობოდნენ და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ანდობდნენ. ყველაზე ღვთისნიერი ათეისტი რედაქციიდან რედაქციაში ილიას სურათს დაატარებდა და ახალი საქმის კეთებას კედელზე ლურსმნის მიჭედებით იწყებოდა.

სტატიის რედაქტირების შემდეგ არასოდეს დაზარებია, შენიშვნები უურნალისტთან ერთად განეხილა, საუკეთესო რჩევები მიეცა და ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ჩვეული სიტყვით ეთქვა: „მშობლიურო, ჩასვით გვერდში“. ამ ფრაზის გაგონება ყოველთვის ერთნაირად მაღელვებდა, რადგან „დილის გაზეთი“ ჩემი პირველი სამსახური იყო და დაჟინებით ისტორიკოსს უურნალისტკა საკუთარ შეცდომებზე უნდა მესწავლა. მოგვიანებით, როდესაც მედიაშეფასებისა და უურნალისტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩავაბარე, აღმოვაჩინე, რომ საგნების ნახევარი სწორედ თემურ მეტრეველის კაბინეტში მქონდა ნასწავლი, ხოლო ყველა პროფესიული ჩვევა, ურომლისოდაც დღემდე წარმოუდგენელი მგონია მუშაობა, იმ პერიოდიდან მომყვება, მათ შორის – უურნალისტის სახელმძღვანელოებში მოგვიანებით ამოკითხული Kill your darlings: ზედმეტი ფრაზები თუ პასაჟები, რომელთა დასაწერადაც შესაძლოა ღამეც კი გაათენე, საკუთარი ხელით უნდა წაშალო.

ასე კი ნამდვილად მოხდა...


თქვენ ახლა ამ ბლოგის განახვერებულ ვარიანტს კითხულობთ. ის, რაც წავშალე, მხოლოდ ჩემს მესსიერებას შემორჩება – ვწერდი იმაზე, თუ რატომ ვიცვლიდი დროდადრო პროფესიას და იმაზეც, რომ, ცვლილებების მიუხედავად, არჩევანისთვის არასოდეს მიღალატია, რადგან ისტორიკაც, უურნალისტკაც და ლიტერატურაც თბრობის ჟინით შეპყობილთა მთავარი თავშესაფრებია.

გამთენიისას delete-ის ღილაკმა შეიწირა ისიც, რომ ფრიდმენის მოყოლილ ამბავში ისტორიკოსი მხოლოდ იმით დაინტერესდებოდა, თუ როგორ შეცვალა განათლების იდეა თანამედროვე ტექნოლოგიებმა და ციფრულმა პლატფორმებმა; უურნალისტი სწორედ იმას დაწერდა, რისი წაკითხვაც ოცი წლის წინანდელ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ შეიძლება, ხოლო მწერალი... მწერალი საფლავში ჩაყვებოდა ჰატი სტაინბერგს – სამოცი წლის მარტონელა ქალს, რომელმაც მთელი ცხოვრება მასწავლებლობას მიუძღვნა და თავისი საყვარელი მოსწავლის სტატიებს საქალაქო აგროვებდა.

ვფიქრობ, ამ ყველაფრის მოყოლა უკეთესადაც შეიძლებოდა, რადგან მჯერა, მე უფრო მაგარი მასწავლებლები მყავდა, ვიდრე ტომას ფრიდმენს, მაგრამ რას იზამ – ზოგს მოწაფეებში უფრო უმართლებს.



# წიგნის კლუბი დამწყები მკითხველისთვის



გიტა თვალაძეშვილი

ოთხი წლის წინ მეორე კლასში ჩავატარე პრაქტიკის კვლევა თემაზე „მოქნილი/გაწაფული კითხვა და მისი როლი წიგნიერების კომპეტენციის განვითარებაში“. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ ერთ-ერთ ინტერვენციად წიგნის კლუბის შექმნა დავგეგმე. დავგეგმე განსაკუთრებული სიფრთხილით, რადგან საკლუბო მუშაობისთვის მოსწავლეთა ასაკი (7 წელი) შეუსაბამო მომეჩვენა. არ ვიცოდი, რა შედეგს მივიღებდით, თუმცა ვფიქრობდი, რომ ასეთი სამუშაო მოსწავლეებს წიგნს ნამდვილად შეაყვარებდა. მაშინვე დავიწყე შესაბამისი ლიტერატურისა თუ მასალის ძიება. ინტერნეტსივრცეში საკმაოდ მრავალფეროვანი მასალაა ამ საკითხზე, თუმცა პატარა მკითხველისთვის არც ისე ბევრი. ძიებისას „კარგი სკოლის“ საგანმანათლებლო პორტალზე აღმოვაჩინე საოცარი მასალა წიგნის კლუბზე, რომელიც ჩემი მუშაობისთვის მთავარი გეზის მიმცემი გახდა.

კლუბის შექმნის თაობაზე ჩემი გეგმა გავანდე კოლეგას და ერთობლივი მუშაობა შევთავაზე. მან სიხარულით აიტაცა ჩემი იდეა და სკოლის ბაზაზე კოორდინირებული მუშაობით ჩამოვყალიბეთ წიგნის კლუბი „წიგნიერი“, რომელშიც სურვილის მიხედვით გაწევრიანდა ორი კლასის 24 მოსწავლე.

**„კარგი სკოლის“ სახელმძღვანელოს დახმარებით და პირადი გამოცდილების საფუძველზე, მიმოვიხილავ რამდენიმე საკვანძო საკითხს, რომელთა გადაწყვეტაც მოგიწევთ, თუ დამწყები მკითხველისთვის წიგნის კლუბის შექმნას განიზრახავთ.**

## რა არის თავად წიგნის კლუბი?

მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელოში ვკითხულობთ, რომ „წიგნის კლუბი არის მკითხველთა ჯგუფი, რომლის წევრებიც დროის განსაზღვრულ პერიოდში ერთსა და იმავე წიგნს კითხულობენ და შემდეგ იკრიბებიან წაკითხულის განხილვის მიზნით. წიგნის კლუბი გულისხმობს წაკითხული წიგნის სიღრმისეულად განხილვას ინტერაქციულ ფორმატში, დისკუსიის სახით“.

დისკუსია ძირითადად მკითხველთა გამოხმაურებებს ეყრდნობა და არა მასწავლებლის შეხედულებებს.

მონაწილენი ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს პერსონაჟების, მოვლენების, ტექსტთან დაკავშირებული გამოცდილების შესახებ.

## წიგნის კლუბის იდეა

რამდენიმე მკითხველი თანხმდება კონკრეტული წიგნის წაკითხვის თაობაზე. შემდეგ კლუბის წევრები თავს იყრიან დათქმულ დროსა და ადგილას, რათა წაკითხული წიგნი განიხილონ და ერთმანეთს შთაბეჭდილებები გაუზიარონ. აქ წიგნის მოყვარული მოსწავლეები უკავშირდებიან ერთმანეთს, ინტერაქციულ ფორმატში ცდილობენ, უფრო ღრმად გაიგონ და გაიზიარონ ნაწარმოები, უფრო მძაფრად განიცადონ წაკითხვით მიღებული სიამოვნება.

**შექმენით საკლასო ბიბლიოთეკა, სადაც კლუბის წასაკითხ წიგნებთან ერთად იქნება სხვა ლიტერატურაც. ეს აღუძრავს მოსწავლეებს წიგნის დათვალიერების, გადამლის, გაცნობის სურვილს.**



საკლასო წიგნის კლუბი კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ მოსწავლეებმა ხშირად იკითხონ, სიღრმისეულად გაიაზრონ წაკითხული, მოახდინონ რეფლექსია და იმსჯელონ.

ურთიერთობა და თანამშრომლობა კლუბის მნიშვნელოვანი ელემენტებია. ეს ფორმატი მოსწავლეს ეხმარება დისკუსიის, წერისა და შემოქმედებითი უნარების ჩამოყალიბებაში.

კითხვის უნარ-ჩვევების ეფექტიანად განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ:

- 🍌 ბავშვებმა იკითხონ მათთვის საინტერესო, ასაკის შესაბამისი, ადეკვატური სირთულის წიგნები;
- 🍌 ბავშვებს მიეცეთ წასაკითხი წიგნების არჩევის საშუალება, რაც საგრძნობლად ზრდის კითხვის მოტივაციას;
- 🍌 ბავშვებმა ერთმანეთს გაუზიარონ მოლოდინები, შთაბეჭდილებები, აზრები და გრძნობები;
- 🍌 ხშირად იკითხონ მკაცრად სტრუქტურირებული სამეცადინო რუტინისგან თავისუფალ, ნახევრად ფორმალურ გარემოში.

საბოლოო მიზანი:

- 🍌 მოსწავლეებმა თანდათანობით შეძლონ წიგნის კლუბის დამოუკიდებლად მართვა: წიგნების შერჩევა, წაკითხვისთვის დროის განსაზღვრა, დისკუსიების წარმართვა და მათში ეფექტურად მონაწილეობა, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის შეფასება.

ამ შედეგის მისაღწევად წიგნის კლუბში მიმდინარე სამუშაო პროცესი შემდეგ საფეხურებად შეიძლება დაიყოს:

### პირველი საფეხური

მუშაობის ფორმატი:

მასწავლებელი წარმართავს დემონსტრირებასა და პრაქტიკას მთელ კლასთან.

ძირითადი აქტივობები:

- 🍌 მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს, როგორ მიმდინარეობს კარგი დისკუსია; იყენებს ხმამაღლა კითხვის და ხმამაღლა ფიქრის ტექნიკას.
- 🍌 მოსწავლეები ერთვებიან მასწავლებლის მიერ წარმართულ დისკუსიაში და იწაფებიან საკითხზე მსჯელობაში.

### მეორე საფეხური

მუშაობის ფორმატი:

მასწავლებელი უძღვება დემონსტრირებასა და პრაქტიკას მცირე ჯგუფებში.

ძირითადი აქტივობები:

- 🍌 ყურადღების ცენტრშია მოსწავლეთა მცირე სამოდელო ჯგუფი, რომელიც განიხილავს წაკითხულ წიგნს. გარშემო მსხდომი მოსწავლეები საუბრობენ მოდელირებული დისკუსიის

## წიგნის კლუბის ძირითადი მახასიათებლები

### რა არის წიგნის კლუბი?

- 🍌 წასაკითხ წიგნებს ირჩევენ მოსწავლეები;
- 🍌 მოსწავლეები კითხულობენ მრავალფეროვან დამატებით საკითხავებს;
- 🍌 წაკითხული ტექსტის შესახებ მსჯელობა ეფუძნება მოსწავლეთა მიგნებებს, შთაბეჭდილებებს, მოსაზრებებს;
- 🍌 დისკუსიის პროცესში შეკითხვებს ძირითადად მოსწავლეები სვამენ;
- 🍌 მასწავლებელი ძირითადად მუშაობს ჰეტეროგენულ ჯგუფებთან;
- 🍌 მკითხველთა ჯგუფების დაკომპლექტებისას უპირატესობა ენიჭება მოსწავლეთა ინტერესებს;
- 🍌 მოსწავლეები ერთვებიან წაკითხულ წიგნთან დაკავშირებით მრავალფეროვან აქტივობებში (წერა, კითხვა, ხატვა, დრამა და სხვა).

### რა არ არის საკლასო წიგნის კლუბი?

- 🍌 მოსწავლეები კითხულობენ მხოლოდ სახელმძღვანელო ტექსტებს;
- 🍌 წასაკითხ წიგნს მოსწავლეებს მასწავლებელი აძლევს;
- 🍌 განხილვა შემოიფარგლება მასწავლებლის მიერ დასმული ფრონტალური კითხვებით;
- 🍌 წაკითხული ტექსტის შესახებ მსჯელობა ეფუძნება მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებულ დასკვნებს;
- 🍌 მასწავლებელი ძირითადად მუშაობს მთელ კლასთან;
- 🍌 მოსწავლეები ძირითადად ასრულებენ ერთგვაროვან, რუტინულ სავარჯიშოებს.



სიის შესახებ, გამოთქვამენ შენიშვნებს და რეკომენდაციებს.

- 🍌 მასწავლებელი ცალკეულ ჯგუფებს მინიდისკუსიების მეშვეობით აჩვენებს წიგნში მნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების გამახვილებას.
- 🍌 მასწავლებელი ატარებს მართულ პრაქტიკას მცირე სადისკუსიო ჯგუფებთან.
- 🍌 მოსწავლეები კითხულობენ შერჩეულ წიგნებს და აწყობენ მათ განხილვას.
- 🍌 მასწავლებელი აწვდის უკუკავშირს და მიზნობრივ ინსტრუქციებს. ეწევა მონიტორინგს.
- 🍌 პერიოდულად ჯგუფები მთელ კლასს წარუდგენენ ანგარიშს წარმატებისა და პრობლემების, ასევე კითხვის ეფექტური სტრატეგიების შესახებ.

### მესამე საფეხური

მუშაობის ფორმატი:

მოსწავლეები მუშაობენ დამოუკიდებლად მცირე ჯგუფებში.

ძირითადი აქტივობები:

- 🍌 ტექსტთან მუშაობისას მოსწავლეები იყენებენ კითხვის სხვადასხვა სტრატეგი-

ასა და ვაგება-გააზრების ინსტრუმენტებს (კითხვის დასმა, შეჯამება, კავშირების დამყარება, მონიშვნებისა და ჩანაწერების გაკეთება, ვიზუალური სქემების შევსება და სხვა).

- 🍌 მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა ტიპის ნამუშევრებს წაკითხულ ტექსტზე დაყრდნობით (რეზიუმეები, შთაბეჭდილებები, ილუსტრაციები, ხელნაკეთი საგნები და სხვა).
- 🍌 მოსწავლეები ამზადებენ მასალებს და წარადგენენ წაკითხულ წიგნებს.
- 🍌 მასწავლებელი ეწევა მონიტორინგს და ეხმარება ბავშვებს უკუკავშირითა და რჩევებით.

კლუბის გეგმები მიზანმიმართული მუშაობისთვის შემდგენილი შეიძლება იყოს:

- 🍌 ვითანაშრომლოთ სკოლის ბიბლიოთეკასთან, გამომცემლობებთან (შესაძლოა, ისინი დაგვეხმარონ სხვა წიგნებითა და საკითხავი რესურსით).
- 🍌 გამოცდილების გაზიარების მიზნით შეიძლება დავუკავშირდეთ სხვა წიგნის კლუბებს და ვითანაშრომლოთ მათთან.
- 🍌 ჩავართოთ წიგნის კლუბის საქმიანობაში მშობლები. მოვიწვიოთ ისინი კლუბში გამართულ განხილვებსა და პრეზენტაციებზე. ვთხოვოთ,



თავადაც წარადგინონ თავიანთი საყვარელი წიგნები.

- 🍌 მოვიწვიოთ საინტერესო სტუმრები: ავტორები, კარგი მკითხველები, ილუსტრატორები, გამომცემლები და სხვა.
- 🍌 ვეწვიოთ სხვადასხვა ავტორს, გამომცემლობას. დავესწროთ წიგნებსა და კითხვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს (ფესტივალი, მხატვრული კითხვის საღამო და სხვა).
- 🍌 დავაინტერესოთ სკოლის ადმინისტრაცია, რათა მივიღოთ საჭირო რესურსები მხარდაჭერა. შევთავაზოთ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, თავადაც ჩაერთონ კლუბის საქმიანობაში როგორც მკითხველები.
- 🍌 მოსწავლეებთან ერთად მოვაწყოთ წიგნის შეგროვებისა და გაცვლის აქციები (მაგ., „აჩუქე წიგნი სკოლას“, „გავცვალოთ წიგნები“ და სხვა).
- 🍌 გამოვიყენოთ სოციალური ქსელები წიგნის კლუბის პოპულარიზაციისთვის, ონლაინ

დღიურებისთვის, ონლაინ დისკუსიებისთვის და სხვა.

### საორგანიზაციო საკითხები

კლუბის მუშაობა რამდენიმე საორგანიზაციო საკითხის გადაწყვეტასაც მოითხოვს:

- 🍌 სკოლის დირექციისგან აიღეთ ნებართვა კლუბური მუშაობის განსახორციელებლად.
- 🍌 მოსწავლეთა და მშობელთა დაინტერესებისთვის გამართეთ ეფექტური პრეზენტაცია, რომელზეც განიხილავთ ყველა მნიშვნელოვან საკითხს და აღუძრავთ მსმენელს ინტერესს კლუბში გასაწევრიანებლად.
- 🍌 მოიფიქრეთ კლუბის სახელწოდება, დევიზი, ლოგო და წესდება; ოფიციალურად, მუშაობად გაწერეთ კლუბის მუშაობის მიზნები, ფუნქციები, გაწევრიანების პროცედურები, მუშაობის განრიგი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები (ცოტა უფროს ასაკობრივ კატეგორიაში ამ ყველაფრის მოფიქრება მოსწავლეებთან ერთად შეიძლება).

წიგნის კლუბი,  
თუნდაც ადრეულ  
ასაკში, ერთ-ერთი  
საუკეთესო  
საშუალებაა,  
რომელიც  
ბავშვს ეხმარება,  
ჩამოყალიბდეს  
„კარგ მკითხველად“.  
გირჩევთ, თქვენც  
სცადოთ!

### ლოგო



### დევიზი

„იკითხე  
ბევრი  
და  
გახდი  
წიგნი-ერი!“



ჩამოწერეთ იმ ლიტერატურის ნუსხა, რომელზეც გინდათ იმუშაოთ მოსწავლეებთან ერთად წლის განმავლობაში. შერჩევას გაითვალისწინეთ მოსწავლეთა ასაკი, ინტერესები. შეეცადეთ, სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები შეარჩიოთ.

### განერილი თემატიკა

თემა	პერიოდი
1. რევზ ინანიშვილი – „ბიზო“ და სხვა მოთხრობები	ნოემბერი
2. ფრენკ ბაუმი – „ოზის ჯადოქარი“	დეკემბერი
3. იროდიონ ევლოშვილი – „უბედური ქორბუდა“ და სხვა	იანვარი
4. ასტრიდ ლინდგრენი – „ბულერბიელი ბავშვები“	თებერვალი
5. ჯანი როდარი – „ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში“	მარტი
6. არჩილ სულაკაური – „სალამურას თავგადასავალი“	აპრილი
7. როალდ დალი – „ჩარლი და შოკოლადის ქარხანა“	მაისი

- თვის პირველი შეხვედრისთვის მოამზადეთ წიგნების პრეზენტაცია მცირე ანოტაციებით და მიეცით მოსწავლეებს საშუალება, თავად აარჩიონ თვის წიგნი. ამით გაზრდით მათ მოტივაციას.
- წინასწარ მოიფიქრეთ და გაწერეთ თვის სამუშაო გეგმა.

### სამუშაო გეგმა:

- წიგნის შერჩევა და კითხვის დაწყება + დისკუსია, I შეხვედრა*
- შესაძლო ვარიანტების წარდგენა;
  - არჩევანის გაცემა;
  - წაკითხვის გეგმაზე შეთანხმება გარკვეულ ნაწილამდე;
  - წიგნის კითხვის დაწყება;
  - მცირე დავალებების მიცემა წასაკითხ ეპიზოდებზე (მაგ., კითხვა ნიშანთა სისტემით, საინტერესო ფრაზები, სალექსიკონო სიტყვები, პერსონაჟების ნიშან-თვისებები, მნიშვნელოვანი ფაქტები, ილუსტრაციები და სხვა).

- წიგნის წაკითხვა სხვა მონიშნულ ეტაპამდე + დისკუსია, II კვირა*
- ნამუშევრების პრეზენტაცია;
  - ტექსტის გააზრება;
  - ჩანაწერების გაცემა;
  - კომენტარების მომზადება განხილვისთვის;
  - ახალი ეპიზოდების განხილვა.

- წიგნის დასრულება და დამატებითი აქტივობები, III კვირა*
- წიგნის მიხედვით მაკეტების, პოსტერების, კოლაჟების, დიორამების, რუკების და სხვ. დამზადება;





- ნამუშევრების პრეზენტაცია;
- ბოლო შემჯავამებელი შეხვედრის დაგეგმვა და აქტივობების მოიფიქრება.

*წიგნის განხილვა და შემჯავამებელი პრეზენტაციები, IV კვირა*

- ნამუშევრების პრეზენტაცია;
- დისკუსია;
- წაკითხული წიგნის შეჯამება მიმართვის სახით – „გირჩევთ წაკითხოთ ეს წიგნი, რადგან...“  
(მუშაობის პროცესში მნიშვნელოვან დახმარებას გაგიწევთ GPRIDE-ის „გამომხაურების ბარათები“ და „გრაფიკული ორგანიზატორები“. თავადაც შეგიძლიათ მოიფიქროთ სხვადასხვა ტიპის აქტივობა მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით)

**გახსოვდეთ:**

- მნიშვნელოვანია ოთახის ისე მოწყობა, რომ მოსწავლეებისთვის გარემო იყოს კომფორტული, სასიამოვნო და საინტერესო (ხალიჩა, ბალიშები და ა.შ).
- შექმენით საკლასო ბიბლიოთეკა, სადაც კლუბის წასაკითხ წიგნებთან ერთად იქნება სხვა ლიტერატურაც. ეს აღუძრავს მოსწავლეებს წიგნის დათვალიერების, გადაშლის, გაცნობის სურვილს.
- კლუბის მუშაობის პროცესში ხშირად დაგეგმეთ გასვლითი აქტივობები, შეხვედრები

მწერლებთან, წიგნის ფესტივალზე სტუმრობა და ა.შ. ეს ძალიან მოსწონთ ბავშვებს.

- ყოველი წიგნის დასრულების შემდეგ მოიფიქრეთ სამახსოვრო საჩუქრები კონკრეტული თემატიკით (მაგ., ხელნაკეთი სანიშნები, სიგელები, მაისურები ფრაზებით, პერსონაჟებით და ა.შ).
- მოსწავლეთა ნამუშევრები გამოაკარით თვალსაჩინო ადგილას ან მშობლების ნებართვით გამოაქვეყნეთ გვერდზე, რომელსაც საგანგებოდ წიგნის კლუბის მუშაობის პოპულარიზაციისთვის შექმნით.

**ცოტა რამ შედეგადაც:**

მუშაობის პროცესი, კლუბის წევრების თქმით, იყო ყოველთვის საინტერესო, მრავალფეროვანი და სახალისო. გარდა ამისა, დადებითად აისახა მოსწავლეებზე, რადგან იმატა მათმა მოტივაციამ და არჩეული წიგნებისადმი ინტერესმა. დაიხვეწა მათი კითხვის პროცესიც. იმატა მშობელთა ჩართულობამაც. როგორც ბავშვები ამბობდნენ, მათი ოჯახის წევრებიც კი კითხულობდნენ მათთან ერთად და შემდეგ წაკითხულზე მსჯელობდნენ.

კლუბის წევრები დღემდე აგრძელებენ ასე მუშაობას, ეს კი საშუალებას მაძლევს, ვთქვა, რომ წიგნის კლუბი, თუნდაც ადრეულ ასაკში, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რომელიც ბავშვს ეხმარება, ჩამოყალიბდეს „კარგ მკითხველად“. გირჩევთ, თქვენც სცადოთ!



ძვირფასო მასწავლებლებო!  
ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნი:  
„ვწერ მასწავლებლისთვის“



mastsavlebeli.ge

14

# მასწავლებლის წიგნი

ვწერ მასწავლებლისთვის

გიორგი კაკელიძე  
დავით გორგილაძე  
ელიზბარ ელიზბარაშვილი  
დიანა ანჯიფიადი  
ნასტასია არაბული  
სალთომა ბენიძე  
ზვიად კვარაცხელია  
ალექსანდრე ლორთქიფანიძე  
ირმა თავალიძე  
ლევან ლორთქიფანიძე  
გურამ მეგრელიძე

მედიამ ვეფხვეთ  
წიგნი წადასრულებულია  
დასრულებულია  
მედიამ ვეფხვეთ  
წიგნი წადასრულებულია  
დასრულებულია



1855 წელს ვაგნერი, ლონდონში, მაცურებლის წინაშე წარსდგა როგორც დირიჟორი. მან ზეპირად შეასრულა ბეთჰოვენის ორი სიმფონია, რასაც მაცურებელი თავშეკავებით შეხვდა, რადგან იმ დროს უჩვეულო იყო ზეპირად დირიჟორობა. ვაგნერმა გაითვალისწინა მაცურებლის რეაქცია და მომდევნო კონცერტზე დირიჟორს წინ პარტიტურა ედო... და მსმენელმა იგი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა, მაგრამ როდესაც ვაგნერმა დატოვა სცენა, მაცურებელს შეეძლო შეემჩნია, რომ სადირიჟორო პულტზე იდო როსინის „სევილიელი დალაქის“ პარტიტურა, ისიც უკუღმა.

